გაზეთი დაარსებულია 1918 წელს,
ხუთშაბათი, 14 ივლისი, 2005 წელი.
№165 (5198)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცილისწამებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. ფასი 50 თეთრი.

## ტოტალური სიყრუე უნდა დაიძლიოს

„ზანა არის დღეს ისეთი ქვეყანა, სადაც საკუთარს — არც ასაკს, არც ცენზს, არც სიბრძნეს, არც ზნეობას, არც გამოცდილებას... დაფასება არა აქვს?

დიახ: არის ასეთი ქვეყანა, მას საქართველო ჰქვია!“..

... ტოტალური სიყრუის მაჯლაჯუნა დასწოლია ქვეყანას, როგორც მაღალფარდოვნად იტყვიან — ხელისუფლების სამსავე შტოს და სახელისუფლო ვერტიკალის ყველა რგოლსა და პოსტს... სიყრუე არის საშინაო პოლიტიკის ქვაკუთხედი — საყოველთაოდ წახალისებული და წაქეზებული...

ხოლო მეოთხე ხელისუფლება — მასმედია, საზოგადოების რუპორი, ამ ხალხთან ერთად, იმ მდგომარეობაშია, როგორიც მუხრან მაჭავარიანის ცნობილ ლექსშია დახატული: „ხალხს ხმა დაუკარგა მეფის (წაიკითხეთ — ხელისუფლების) სიყრუემა...“



ნურაფრისა გეშინდება — ისინი ვერაფერს ხედავენ, არაფერი ესმით და არც არაფერს იტყვიან.

იხ. მე-2 გვ.

## დღემდე ვერ შევიტყვე, ვინ შეადგინა გასაყრელი რვაასი კაცის სია

„ოცდაორი ფაკულტეტიდან ექვსი ფაკულტეტის დარჩენა ბუნებრივად იწვევს იქ მომუშავე პროფესორ-მასწავლებლების გამოდევნას და მათ უმუშევრად დატოვებას. უმუშევართა არმია კი სოციალურ ფონს კიდევ უფრო აუარესებს“...




იხ. მე-3 გვ.

## უმეცრებათა სამყაროში




„გაცილებით უფრო დიდი საშიშროება დაგვეუფლა — ზოგადი განათლებით თავმომწონე, მაგრამ სათანადო განსწავლულობას მოკლებული, სიტყვათა და ტერმინთა აბდაუბდა ხმარების მოყვარული, გრაფომანიის ჟინს აყოლილი პირების აქტიურობა, რომლებიც პრაქტიკულად „უმეცრების გამავრცელებელ საზოგადოებას“ ამკვიდრებენ საქართველოში“.

რა საშიშროება ემუქრება ამით აკადემიურ დამოკიდებულებას?

იხ. მე-3-6 გვ.

**სულიერება**

## „სვეტიცხოვლობაზე“ მონათლნენ

გუშინ აღინიშნა საეკლესიო დღესასწაული სვეტიცხოვლობა, რომელშიც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე მონაწილეობდა.

„სვეტიცხოვლობაზე“ ბავშვები მდინარეში მონათლეს. ამ ფოტოზე სწორედ ერთი ასეთი მომენტია აღბეჭდილი.



## ვინ არიან „უექველისტები“ და რატომ არ აპირებენ მათთან თამაშს ლეიბორისტები?

„გადაწყვეტილება მყარია. ჩვენ ამ კანონს, ალბათ, შევაცვლევინებთ. თუ არ შეცვლიან, მაშინ ჩვენ შევცვლით არა კანონს, არამედ ხელისუფლებას“.

როგორი მეთოდებით, ვისთან ერთად და ვისი ან რისი იმედით აპირებს ამის გაკეთებას ჩონდი ბაღათურია?



იხ. მე-3 გვ.

**ინფორმაცია**

### ნინო ბურჯანაძეს უგულავასი სჯერა...

პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეს გიგი უგულავა თბილისის მერობის ღირსეულ კანდიდატად მიაჩნია.

ბურჯანაძის თქმით, ის ყოველთვის სიმპათიით იყო განწყობილი უგულავასადმი და ამიტომაც, მერად მისი დანიშვნის თაობაზე პრეზიდენტის განაწყვეტილება, პარლამენტის თავმჯდომარისთვის მოულოდნელი არ ყოფილა.

— დარწმუნებული ვარ, გიგი უგულავა წარმატებული მერი იქნება და მისი მერობის დროს დედაქალაქში დადებითი პროცესები დაიწყება, — აღნიშნა ნინო ბურჯანაძემ.

მედია-ნიუსი

### ნოღაიდელი კმაყოფილია

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი ერთიანი ეროვნული გამოცდების მიმდინარეობით კმაყოფილია.

მისი შეფასებით, გამოცდები საქართველოში საკმაოდ წარმატებით მიმდინარეობს და ეს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოში განათლების სისტემის რეფორმირებას.

გუშინვე ნოღაიდელმა ახალი თანამდებობა მიულოცა პრეზიდენტის ადმინისტრაციის ყოფილ ხელმძღვანელს გიგი უგულავას, რომელიც გუშინწინ თბილისის მერად დაინიშნა.

### ერთი წავა და სხვა მოვა...

თბილისის ყოფილმა მერმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა გუშინ დილით თავისი სამუშაო კაბინეტიდან პირადი ნივთები წაიღო.

თბილისის ახალმა მერმა გიგი უგულავამ კი მერის რანგში თბილისის პრემიერთან თემურ ქურხულთან ერთად ჭავჭავაძის გამზირზე და სხვა უბნებში მიმდინარე გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა.

ზურაბ ჭიაბერაშვილის მიერ პოსტის დატოვების შემდეგ, თანამდებობიდან წასვლის შესახებ განცხადება დაწერა თბილისის მერიის, საკრებულოსა და მთავრობის აპარატის უფროსმა გივი ორდენიძემ.

თბილისის მერი ზურაბ ჭიაბერაშვილი ამ თანამდებობაზე 14 თვის განმავლობაში მუშაობდა. მის სახელს უკავშირდება ისანი-სამგორის ყოფილი გამგებლის ზურაბ ადამიას სკანდალურად მოხსნა, როდესაც ადამიამ მერს საათი აჩუქა.

ინტერპრესნიუსი

### შეცვლილი შემცვლელს აქებს...

თბილისის ყოფილი მერი ზურაბ ჭიაბერაშვილი სტრასბურგში ლანა ღოღობერიძეს შეცვლის და ევროსაბჭოში საქართველოს ელჩის თანამდებობას დაიკავებს.

თავად ლანა ღოღობერიძე ჭიაბერაშვილს დადებითად აფასებს და აცხადებს, რომ მიუხედავად დიპლომატიური განათლების უქონლობისა, თბილისის ყოფილ მერს სტრასბურგში მუშაობა არ გაუჭირდება.

ღოღობერიძის თქმით, დედაქალაქის ხელმძღვანელობის პერიოდში ჭიაბერაშვილი პრინციპულობით გამოირჩეოდა, რაც თანამდებობის პირის ერთ-ერთი დადებითი თვისებაა.

მედია-ნიუსი

### სააკაშვილის ახალი „მოჯამაგირე“

თბილისის მერის შეცვლაში დედაქალაქისთვის სასიკეთო პერსპექტივას ვერ ხედავენ თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ახალი მემარჯვენეები“.

„სანამ თბილისის მერი იქნება დანიშვნითი თანამდებობა, ვინც არ უნდა დაინიშნოს ამ თანამდებობაზე, იგი ყოველთვის იქნება სააკაშვილის მოჯამაგირე და არა თბილისელთა ინტერესების გამტარებელი“, — ასეთი განცხადება გააკეთა „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას ფრაქციის თავმჯდომარემ გიორგი მოსიძემ.

თუმცა, მისივე თქმით, ჭიაბერაშვილი დიდი ხნის შესაცვლელი იყო, რადგანაც მას მიაჩნია, რომ იგი სამარცხვინო მერი იყო.

### დენს დენი მიემატება

კომპანია „რაო ეესი“ „ხრამი 2“-ზე მასშტაბურ სარეაბილიტაციო სამუშაოებს იწყებს.

სამუშაოები, რომელიც 6 თვის განმავლობაში გასტანს, სადგურის ორივე 55-მეგავატიანი ჰიდროტურბინის, ელექტროგენერატორებისა და მაღალი ძაბვის გამანაწილებელი ქვესადგურის კაპიტალურ რემონტს მოიცავს. ამავე საპროექტო გეგმითაა გათვალისწინებული ძირითადი და ჩვეულებრივი ავტოტრანსფორმატორების, საშუალო და დაბალი ძაბვის დამხმარე დანადგარების, ტურბინის მილსადენის და სფერული საკეტის ტექნიკური რეაბილიტაცია. დაგეგმილია ჰიდროსადგურის სამანქანო დარბაზისა და გამანაწილებელი ქვესადგურის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებიც.

სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის ჰესის მმართველი კომპანია 1,8 მილიონი დოლარის დახარჯვას გეგმავს. ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაცია 2006 წლის თებერვლისთვის დასრულდება, რის შემდეგაც 45 მგვტ-დან 55 მგვტ-მდე გაიზრდება ჰიდროსადგურის გამომუშავების საშუალო სიმძლავრე.

ინტერპრესნიუსი

**საზღვარგარეთ**

ბრიტანეთის პოლიცია არ გამორიცხავს, რომ 7 ივლისის ტერაქტების შემსრულებლებს ჰყავდათ თანამზრახველები, რომლებიც ამჟამად ახალი დარტყმებისთვის ემზადებიან. დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჩარლზ კლარკი აცხადებს, რომ ქვეყანა ახალი ტერაქტებისთვის უნდა იყოს მზად.

* * *

ბულგარეთში, ბურგასის ნავსადგურის სიახლოვეს, ააფეთქეს ავტომობილი. დაიღუპა ორი წლის გოგონა, ორი ბულგარელი და ორიც გერმანელი ტურისტი კი დაიჭრნენ. მანამდე ერთი დღით ადრე ქვეყნის დასავლეთში, ასევე ავტომობილის აფეთქებისას, სამი კაცი დაიჭრა. პოლიცია კრიმინალური გარჩევების ვერსიას იძიებს.



* * *

კუნძულ კიუსიუს იაპონურ ქალაქში გამართულ ბაღჩეული კულტურების კონკურსზე გრან-პრი დაიმსახურა გიგანტურმა საზამთრომ, რომელიც 111 კილოგრამს იწონიდა. მსოფლიო რეკორდამდე, რომელიც 1990 წელს ამერიკაში დამყარდა, მას 7,8 კილოგრამი დააკლდა. 77



წლის აკინორი ტაკამიცუს, რომელმაც ეს ბაღჩეული „შვა“ მთელი ცხოვრება გიგანტური საზამთროები გამოჰყავდა.

* * *

პირველად აშშ-ს ისტორიაში კოსმოსური ხომალდის ეკიპაჟის მეთაური გახდა ქალი — მათემატიკის მასწავლებელი, ორი შვილის დედა ეილინ კოლლინზი. იგი ბავშვობიდანვე ოცნებობდა ასტრონავტობაზე. ზოგავდა ფულს მეცადინეობისთვის და მიაღწია კიდეც საწადელს.

## პროფესორ-მასწავლებელთა აქცია



საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გუშინ კავშირის „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასამბლეის“ და „დაუმორჩილებლობის კომიტეტის“ სარჩელთან დაკავშირებით გამწესრიგებელი სხდომა გამართა.

სასამართლო სარჩელის მიღება-არმიღების შესახებ გადაწყვეტილებას 25 ივლისს გამოაცხადებს.

გუშინდელი პროცესის შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლოს წინ პროფესორ-მასწავლებელთა გამოსვლა მიმდინარეობდა. კავშირის „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასამბლეა“ და „დაუმორჩილებლობის კომიტეტი“ საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიერ 8 ივნისს მიღებული ბრძანებულების გაუქმებას მოითხოვდნენ, რომლითაც უმაღლესი სასწავლებლების წესდება გაუქმდა.

მოსარჩელეები ამავდროულად საქმის განხილვის პერიოდში სადავო ნორმატიული აქტის მოქმედების შეჩერებასაც მოითხოვდნენ.

ინტერპრესნიუსი



## მზე ჩადის, მზე ხვალ ამოვა...

„ — მოდი აქანა, ძამა! საოცრება უნდა განახო!

... უყურე ახლა შენ, რა ფორმებს მიიღებს მზე. ხო გავს ახლა ქოთანს, ხო გავს სოკოს, ფიალას... — მიყვებოდა, თან თვალს არ აშორებდა დაისს“.

დღეს ნოდარ დუმბაძე 77 წლისა გახდებოდა.

იხ. მე-8 გვ.



ნოდარ დუმბაძე და გურამ გომართელი. გულრიფში.

**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

## ისევ სამცხე-ჯავახეთის პრობლემის შესახებ

უცნაური სიტუაცია იქმნება საქართველოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონის სომეხი მოსახლეობის პრობლემასთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, წინათაც არაერთგზის მიუმართავთ ამ თემისთვის და ყურადღება გაუმახვილებიათ ამ ფაქტორის გამოყენების უამრავ მაგალითზე. ამ თემით სპეკულირებდნენ რეგიონის ხელახლა მოწყობით დაინტერესებული სახელმწიფოებიც, და თვით საქართველოც. თუმცა, ეს ტენდენცია შენარჩუნებულია დღემდე და სწორედ „მისი წყალობით“ სომხეთის საზოგადოება სადღეისოდ განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს რაღაც „ვირტუალური რეალობისადმი“, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს საქმის ჭეშმარიტ მდგომარეობასთან.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ასეთი ცრუ ვერსიის გეგმაზომიერი შემუშავებისას, ამ პროცესით დაინტერესებული პრაქტიკულად ყველა მხარე, მათ შორის, დაპირისპირებულებიც, საბოლოო ანგარიშით მივიდნენ საერთო დასკვნამდე. ყოველი მხარის პოზიცია და ინტერესები, რა თქმა უნდა, სხვადასხვა იყო და დაპირისპირებულიც კი, მაგრამ იმ ნაწილში, რომელიც ეხებოდა სომეხ მოსახლეობას, ყველა შეთანხმდა, რომ ეს მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის პრობლემა იყო.

აი, ამ დღეებშიც მოსკოველმა პოლიტოლოგმა ანდრანიკ მიგრანიანმა, რომელიც, მეტი რომ არ ვთქვათ, საკმარისად კარგად არ იცნობს მხარეში შექმნილ ვითარებას, საჭიროდ მიიჩნია კიდევ ერთხელ დაემოწმებინა ყველასთვის ისედაც შესანიშნავად ცნობილი რუსული ვერსია იმის თაობაზე, რომ რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზა ახალქალაქში არის ამ მხარის სომეხი მოსახლეობის ეკონომიკურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების გარანტი. ასეთი განცხადება გააკეთა მან „რია „ნოვოსტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

არადა, ამ პოსტულატის პროვოკაციულობა აშკარაა: ჯერ ერთი, ეს საკითხი უკვე გადაწყდა სტამბოლის 1999 წლის სამიტზე და არის რუსეთის ფედერაციის და საქართველოს პრეროგატივა და მეორეც, ამ ბაზაში მუშაობდა სულ დაახლოებით 1500 კაცი. რეგიონის ასი ათასიანი სომეხი მოსახლეობის თუნდაც მხოლოდ ეკონომიკური პრობლემის დაყვანა ბაზაში მომუშავე რამდენიმე ასეული ჩვენი თანამემამულის დასაქმების საკითხამდე, მხოლოდ პოლიტიკური თამაშია და მეტი არაფერი.

ანალოგიური პოზიცია უკავია საქართველოს ხელმძღვანელობასაც. მიმდინარე წლის ივლისის დამდეგს, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის სპეციალური განკარგულებით, მიიღეს გადაწყვეტილება ქართული არმიისთვის „სომხური სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის“ შესყიდვის შესახებ. ახალგაზრდა ლიდერი ამით ცდილობდა ერთი გასროლით ორი კურდღლის მოკვლას: სომეხი მოსახლეობის უზრუნველყოფა გასაღების მეტად საჭირო ბაზრით და მათი საქმიანობის მჭიდროდ დაკავშირება ქართულ არმიასთან. თავის დროზე ამ ვარიანტის განხორციელებას წარუმატებლად ცდილობდა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს პირველი მეთაური ზვიად გამსახურდია.

იხ. მე-7 გვ.

◎ მთავრობა

# ახალი აეროპორტის მშენებლობას საფრთხე არ ემუქრება

**მთავრობის გუშინდელმა სხდომამ 25 საკითხზე იმსჯელა, მათ შორის პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტზე „ლადო ასათიანის სახელობის საქართველოს სახელმწიფო საბავშვო ბიბლიოთეკის საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბების შესახებ“, დსთ წევრ სახელმწიფოთა შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების პროექტის თაობაზე, ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროგრამა „ტასისის“ დასკვნითი 2006 წლის სამოქმედო გეგმის ფორმირებაზე და „IPAP“-ის განხორციელების სამთავრობო გეგმაზე.**

სხდომამ განიხილა, აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში არსებული ეროვნებათაშორისი ურთიერთობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სამსახურის შესაბამისი სამთავრობო დაწესებულების დაქვემდებარებაში გადაცემის საკითხი, იმსჯელა 1991-92 წლების მოვლენების დროს ბორჯომის რაიონის სოფელ დიდი მიტარბიდან და დაბა ბაკურიანიდან გადაადგილებული ოსი ეროვნების ოჯახებისთვის საქართველოში დაბრუნებასთან დაკავშირებით დახმარების აღმოჩენის თაობაზე...

მთავრობის სხდომაზე ფინანსთა მინისტრმა ალექსი ალექსიშვილმა განაცხადა, რომ თბილისის ახალი აეროპორტის მშენებლობას საფრთხე არ ემუქრება, თურქული კომპანია „ჩელების“ მიერ საქართველოს ხელისუფლებასთან გაფორმებული კონტრაქტი ისევ ძალაშია და კომპანია ვალდებულებათა ბოლომდე შესრულებას გეგმავს.

ფინანსთა მინისტრის მოსაზრებას ეთანხმება ეკონომიკის მინისტრი ირაკლი ჩოგოვაძეც, მას არ აქვს ინფორმაცია, რომ „ჩელებიმ“ უარი განაცხადა თბილისის ახალი აეროპორტის მშენებლობაზე.

რაც შეეხება პრეზიდენტის ბრძანებულებას, რომელიც შპს „ვარციხე 2005“-ის საკუთრებაში არსებული 95-პროცენტიანი წილის შპს „ვოთნეისისთვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადაცემას ითვალისწინებდა, მთავრობის სხდომაზე ეს ბრძანებულება გაუქმდა.

ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრების განმარტებით, რადგან თავის დროზე „ვარციხე 2005“-სა და „ჭიათურმანგანუმის“ პრივატიზებაში მონაწილე რუსულმა კომპანიამ „ევრაზჰოლდინგმა“ უარი თქვა ამ პროცესებში მონაწილეობაზე, საქართველოს ხელისუფლება იძულებული გახდა გაეუქმებინა პრეზიდენტის ეს ბრძანებულება.

მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი მიესალმა ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის მოსაგვარებლად ჩაქვში გამართული კონფერენციის გადაწყვეტილებებს. მისი თქმით, სამოქმედო გეგმის განსახორციელებლად, საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს კონკრეტული დავალებები მიეცათ.

„ჩვენ ველოდებით რეაქციას ცხინვალის დე-ფაქტო ხელისუფლებისგან საერთაშორისო თანამეგობრობისგან, განსაკუთრებით რუსეთისგან და იმედი გვაქვს, რომ სამშვიდობო პროცესი წარმატებულად განვითარდება“, – დასძინა ზურაბ ნოღაიდელმა.

**თამარ შაიშმელაშვილი**

◎ კოდორის ხეობა

# ხელისუფლებამ „მონადირის“ იარაღი უპატრონოდ მიატოვა

***კოდორის ხეობა, რომელიც აფხაზეთის დაბრუნების პოლიტიკაში მეტად სტრატეგიული ხეობაა, დღეს საზოგადოების ყურადღების მიღმაა დარჩენილი. ხელისუფლების მიერ ადგილობრივი მოსახლეობისაგან დაკომპლექტებული ბატალიონ „მონადირის“ გაუქმებას აჟიოტაჟი მოჰყვა. „მონადირესთან“ ერთად ხეობაში გაუქმდა, აგრეთვე პრეზიდენტის რწმუნებულის ინსტიტუტი და დღეს ამ ფუნქციას აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის წარმომადგენელი ასრულებს.***

***რა ხდება დღეს კოდორის ხეობაში და რამდენად დაცულია იგი? – ამ საკითხთან დაკავშირებით საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსი“ გულრიფშის რაიონის კოდორის ხეობაში აფხაზეთის მთავრობის რწმუნებულს მევლუდ ჯაჭვლიანს ესაუბრა.***



**– რამდენად სტაბილურია ვითარება კოდორის ხეობაში?**

– განსაკუთრებული არაფერი ხდება და სერიოზულ გართულებებს არ ველით. უბრალოდ, მოსახლეობა ბატალიონ „მონადირის“ გაუქმებით მეტად უკმაყოფილოა.

**– უკმაყოფილებას მოსახლეობა გამოთქვამს თუ კონკრეტულად ყოფილი ბატალიონის წევრები?**

– სწორედ მოსახლეობას აწუხებს თავისი უსაფრთხოება, რადგან ხალხი დღესდღეობით დაცული არ არის. ერთი თვეა, რაც ბატალიონი გაუქმდა და ხეობას კაციშვილი არ იცავს. ხეობაში შემოსვლა აფხაზსაც შეუძლია, რუსსაც, თათარსაც და ნებისმიერ დაუპატიჟებელ სტუმარს.

**– ბატალიონის გაუქმება რას გულისხმობს: მოსახლეობიდან იარაღი ამოღებულია?**

– ხეობაში თავდაცვის სამინისტროს 600-700 ერთეული იარაღიც კი არ არის ამოღებული. ბატალიონი გააუქმეს და ეს ყველაფერი უპატრონოდ მიატოვეს. ამჯერად ხეობაში სახელმწიფო იარაღია დარჩენილი, მოსახლეობაში კი კერძო იარაღი.

**– მოსახლეობა საპროტესტო გამოსვლებს ხომ არ აპირებს?**

– თუკი ასეთი რამ მზადდება, ეს ჩემთან არავის შეუთანხმებია, ამიტომ ვერაფერს გეტყვით. შემიძლია ვთქვა მხოლოდ ის, რომ ბატალიონის გაუქმების შემდეგ, წინა პერიოდთან შედარებით, ვითარება მეტად განსხვავებულია. გაურკვევლობაა იმასთან დაკავშირებით, აღდგება თუ არა ბატალიონი „მონადირე“. ირაკლი ალასანია გვპირდება, აღდგებაო, თავდაცვის მინისტრი კი ამას კატეგორიულად ეწინააღმდეგება... რა ხდება, ვერ გავიგე!

**– სოციალური თვალსაზრისით, როგორი მდგომარეობაა ხეობაში?**

– ახლად დანიშნული რეისი, რომელსაც უკრაინული თვითმფრინავი ასრულებს, კოდორის ხეობაში არ დაფრინავს. კოდორელები ძველებურად ვწვალობთ და გაჭირვებით დავდივართ იმ გზით, საიდანაც დავდიოდით. თუმცა სოციალური პრობლემები ხალხში იმდენად უკმაყოფილებას არ იწვევს, რაც ბატალიონ „მონადირის“ გაუქმებამ გამოიწვია.

**– მაინც, რატომ აღიქვეს ასე მტკივნეულად „მონადირის“ გაუქმება?**

– ხეობის დაუცველობის გარდა, მთავარი მიზეზი ისაა, რომ ყოფილი ბატალიონის სამასი მეომრის უკან სამასი ცოლი და სამასი შვილი დგას, რომელთაგან ზოგიერთი სტუდენტია. ამ ხალხს სხვა შემოსავალი არსაიდან ჰქონდა. ეს ადამიანები დასაქმებული იყვნენ, იღებდნენ ხელფასებს, რაც საუბედუროდ შეუწყვიტეს.

**– გავრცელდა ინფორმაცია თითქოს კოდორის ხეობაში აფხაზები აპირებენ შესვლას.**

– ეს ქვეყნის უშიშროების სამსახურებმა უფრო უნდა იცოდნენ.

**– თქვენმა სტრუქტურამ – რწმუნებულის აპარატმა სერიოზული თუ უმნიშვნელო სახეცვლილება განიცადა?**

– როგორც ცნობილია, კოდორის ხეობაში პრეზიდენტის რწმუნებულს აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის წარმომადგენლობა ჩაენაცვლა. აი, ამ წარმომადგენლობის ხელმძღვანელად ვმუშაობ. თუმცა შეიცვალა მხოლოდ სტატუსი, რადგან ჩემს ფუნქციაში იგივე საკითხები შედის, რაც ჩემი წინამორბედის ფუნქციაში შედიოდა. კარგი გეგმები მაქვს, მაგრამ არ ვიცი, რამდენად განვახორციელებ.

**– მაშინ, რა გეგმები გაქვთ?**

– ხეობაში მსურს გზების შეკეთება, სკოლების გარემონტება, ზამთრის პროდუქტის შეტანა. ეს ის ტრადიციული პრობლემებია, რაც კოდორის ხეობას ყოველთვის აწუხებდა.

**მედიანიუსი**

◎ ინფორმაცია

## საქართველოს ხელისუფლება ითხოვს

**საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთში, კერძოდ, გალის რაიონში ადამიანის უფლებათა დამცველი ოფისის გახსნას და სამოქალაქო პოლიციის შეყვანას ითხოვს.**

ქართული მხარე აღნიშნული ღონისძიებების გატარების აუცილებლობას გალის რაიონში შექმნილი რთული კრიმინოგენური ვითარებით და ქართველებზე გახშირებული თავდასხმებით ხსნის.

„აფხაზურმა მხარემ არაერთხელ განაცხადა, რომ ვითარების გამოსწორებას და კრიმინალთა თარეშის აღკვეთას დამოუკიდებლად შეძლებს. თუმცა, 9 ივლისს სამშვიდობო ჯარების საგუშაგოს სიახლოვეს სამგზავრო ავტობუსებზე განხორციელებულმა ყაჩაღურმა თავდასხმამ ნათლად აჩვენა, რომ აფხაზურ მხარეს დანაპირების შესრულება არ შეუძლია. შექმნილ ვითარებაში ქართული მხარე აუცილებლად მიიჩნევს გადამწყვეტი ზომების მიღებას და რეგიონში წესრიგის დამყარებას“, – ნათქვამია კონფლიქტების მოგვარების საკითხში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ გუშინ გავრცელებულ განცხადებაში.

აფხაზეთის ტერიტორიაზე ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვის მიზნით, ქართული მხარე მსოფლიო თანამეგობრობას, საერთაშორისო ორგანიზაციებს და გაეროში საქართველოს მეგობარი ქვეყნების ჯგუფს დახმარებასა და თანადგომას სთხოვს.

## კახა სიხარულიძე – ელჩად ჩეხეთში

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის სალომე ზურაბიშვილის განცხადებით, ზურაბ ჭიაბერაშვილს ევროსაბჭოში საქართველოს ელჩად, ხოლო საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილის კახა სიხარულიძის ჩეხეთში საქართველოს ელჩად დანიშვნას პარლამენტმა პრობლემები არ უნდა შეუქმნას.

ზურაბიშვილის განმარტებით, თბილისის ყოფილი მერის ზურაბ ჭიაბერაშვილისა და კახა სიხარულიძის ელჩებად მივლინების გადაწყვეტილება მთავრობამ და პრეზიდენტმა ერთობლივად მიიღეს.

ზურაბიშვილისთვის ჯერჯერობით უცნობია, ვინ დაიკავებს კახა სიხარულიძის ადგილს საგარეო საქმეთა სამინისტროში.

**ინტერპრესნიუსი**

◎ გვეხმაურებიან

# ტოტალური სიყრუე უნდა დაიძლიოს

**„ჩვენ გვინდა, გადავაქციოთ ჩვენი უმაღლესი განათლების დაწესებულებები ჭეშმარიტად ეროვნული განათლების კერებად, რომლებიც, იმავდროულად, უნდა იდგნენ უმაღლესი საერთაშორისო სტანდარტების დონეზე. მაგრამ ეს უნდა მოხდეს არა ტრადიციულად ჩამოყალიბებული სამეცნიერო და საგანმანათლებლო სტრუქტურების ნაჩქარევი დაშლით, არამედ ამ სტრუქტურების გამოცდილი სპეციალისტების მიერ გატარებული გააზრებული და გონივრული რეფორმების შედეგად. რეფორმირების სხვა გზა გამოიწვევს ჩვენში ტრადიციულად არსებული მაღალი მეცნიერული და საგანმანათლებლო დარგების ნგრევას და ჩვენი სამშობლოს მრავალთა შორის ერთ-ერთ პროვინციულ ქვეყნად გადაქცევას“ (თამაზ გამყრელიძე, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 6.07.05)**

კაცობრიობის ისტორია მაღლა და მაღლა მიმავალი ერთი უწყვეტი კიბეა – ყოველი მომდევნო საფეხური წინას „დამსახურებაა“, უწინამავლოდ არ იქნება...

ამ გამოცდილ ისტორიულ ჭეშმარიტებას მემკვიდრეობითობა ჰქვია.

მაგრამ რა ხდება მაშინ, როცა ახალი წინა საფეხურს უარყოფს?

საზოგადოდ – ღმერთმა განსაჯოს! საქართველოს ისტორიის არაერთი მაგალითით კი – არის „ვაება და კბილთა ღრჭენა“...

რატომ? – იმიტომ, რომ როგორც მთელი კაცობრიობის, ისე კერძო ერის სიბრძნე მემკვიდრეობითია; საზოგადოდ, სიბრძნე მემკვიდრეობითობაშია და, როგორც კი ეს კანონი ბუნებისა ირღვევა, იქ სიკეთე არ ისადგურებს...

ყველა დროსა და ყველა ქვეყანაში უპირველესად „თვისთა ბრძენთა“ ჰკითხავდნენ და უსმენდნენ, არად ჩაგდებას და „არამკითხე მოამბეობას“ არ აკადრებდნენ.

ამ მკვიდრ კანონზე იდგა ჩვენი ხალხიც; განა მისი სიბრძნე არ არის: „ბრძენი სიტყვა ითქვა, – ბრძენო ყურო, სადა ხარო?!“

ისე ის უსაშველოდ დამაშვრალი კითხვა რომ დავსვათ, – „მაინც რამ გადაარჩინა საქართველო?“ – დიდი ორჭოფობა არ დაგვჭირდება პასუხისათვის:

– იმ ბიბლიურმა შეგნებამ, რომ „სიბრძნით იშენების სახლი და გულისხმისყოფით აღემართების. და მეცნიერებით აღივსებიან საუნჯენი ყოვლითა სიმდიდრითა პატიოსნითა და კეთილითა“...

– და იმ წარუვალი ჭეშმარიტებით, რომელიც ქადაგებს:

„მეფეთა (იგულისხმეთ – ხელისუფლება) თუ სიყვარული საღმრთოისა მეცნიერებისა ჰქონდეს, განცოცხლდეს ყოველი მეცნიერი და აღეშენოს ქვეყანაი; და თუ არა ჰქონდეს სიყვარული საღმრთოისა მეცნიერებისაი, წარწყმიდონ უმეცართა ქვეყანაი და მიეცნენ ყოველნი ბოროტის-მოქმედნი აქა ჭირსა და განსაცდელსა და მერმე სატანჯველსა ჯოჯოხეთისასა უკუნისამდე“.

ახლა საკაცობრიო ცივილიზაციას გლობალური განვითარების ისეთი ციებ-ცხელება უდგას, არათუ საკუთარს უვლიან, სხვათა სიბრძნეზე ნადირობენ ხვალინდელ დღეზე მზრუნველი ქვეყნები.

განა არის დღეს ისეთი ქვეყანა, სადაც საკუთარს – არც ასაკს, არც ცენზს, არც სიბრძნეს, არც ზნეობას, არც გამოცდილებას.. დაფასება არა აქვს?

დიახ: „არის ასეთი ქვეყანა, მას საქართველო ჰქვია!“..

საგანმანათლებლო რეფორმის ავ-კარგზე, ანუ განათლებისა და მეცნიერების ბედზე დღევანდელ საქართველოში იმდენი ითქვა და დაიწერა, ტოტალური სიყრუე რომ არა, რაღაც საერთო სადინარს იპოვიდა და ფონს გაიყვანდა ქრონიკული კრიზისის მორევში ჩამხრჩვალ ქვეყანას.

სხვათა მცდელობას რომ თავიც დავანებოთ, განა შესაძლებელია სხვა რომელიმე ქვეყანაში შესჯახებოდა სიყრუის კედელს განგაშის ზარი ისეთი საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწისა, როგორიც აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძეა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი?



ნურაფრისა გეშინდება – ისინი ვერაფერს ხედავენ, არაფერი ესმით და არც არაფერს იტყვიან

მას ხომ სულ ახლახან – შესაბამისად მისი ღირსებისა და ტიტულატურისა – მიანდეს ქართული მეცნიერების ბედის გადაწყვეტა. ნუთუ იმისთვის, რომ არათუ დაეჯერებინათ, არც მოესმინათ?!

როგორ დავიჯეროთ, რომ რომელიმე ქვეყანაში არ მოუსმენდნენ საკუთარ თამაზ გამყრელიძეს?

მეტიც, დარწმუნებული ვიყოთ, ბატონ თამაზს რომ ენებებინა და რომელიმე ევროპული ქვეყნის განათლებისა და მეცნიერების შესახებ გამოექვეყნებინა მსგავსი შენიშვნა, დიდი პატივით მიიწვევდნენ რჩევისათვის და მადლიერებას საქვეყნოდაც გამოხატავდნენ.

მაშ, ჩვენ რაღა გვემართება?

რა და – ტოტალური სიყრუის მაჯლაჯუნა დასწოლია ქვეყანას, როგორც მაღალფარდოვნად იტყვიან – ხელისუფლების სამსავე შტოს და სახელისუფლო ვერტიკალის ყველა რგოლსა და პოსტს... სიყრუე არის საშინაო პოლიტიკის ქვაკუთხედი – საყოველთაოდ წახალისებული და წაქეზებული...

ხოლო მეოთხე ხელისუფლება – მასმედია, საზოგადოების რუპორი, ამ ხალხთან ერთად, იმ მდგომარეობაშია, როგორიც მუხრან მაჭავარიანის ცნობილ ლექსშია დახატული: „ხალხს ხმა დაუკარგა მეფის (წაიკითხეთ – ხელისუფლების) სიყრუემა...“

განა შემაშფოთებელი არ არის, რომ ურიდად აცხადებს კანცელარიის ჩინოსანი: – ჩვენ პრესისათვის არა გვცალია...

სწორედ ტოტალური სიყრუეა შესაფერისი ფონი იმისათვის, რომ „ერთგული“ ფიგურების გარდა ქვეყანაში არავინ არ ჩანდეს – არც დიდი და არც პატარა...

სწორედ ტოტალური სიყრუეა სადაგი ატმოსფერო იმისათვის, რომ თავისუფლად სუნთქავდეს ეჭვი, ჭორი, ცილისწამება და უნდობლობა...

სწორედ ტოტალური სიყრუე მასაზრდოებელი ნიადაგი იმისა, რომ სამეცნიერო-საგანმანათლებლო რეფორმა მაინცდამაინც სიცრუის, უზნეობისა და უკანონობის, პიროვნულ-ოჯახურ-კლანური ინტერესების ხიმინჯებზე კოკოლავდება...

სწორედ სიყრუე არის ის ნიადაგი, რომლის საფუძველზეც სრულიად შეუფერებელ სფეროში – უმაღლესი განათლების სისტემაში, კერძოდ, დედაუნივერსიტეტის მიმართ – აღმოცენდა გაუგებარი ძალადობა და ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცისკენ სწრაფვის კეთილშობილურ იდეას ოდიოზურ პირებთან გაიგივებისა და საზოგადოებრივი დისკრედიტაციის საფრთხე დაემუქრა...

სამარცხვინოა ქვეყნის ამგვარი მდგომარეობა XXI საუკუნეში, თუნდაც – ვაგლახ! – განვითარებადი ერქვას მას.

სამარცხვინოა, ქვეყანას ამდენი პროფესიონალი ჰყავდეს – აქ დარჩენილი თუ უკვე გაქცეული – და არაპროფესიონალები კანონებს მათი შესაძლებლობების გამოყენებისათვის კი არა, მათ „ჩამოსალაბორანტებლად“ იგონებდნენ.

ამ პროცესებსა და შედეგებზე საუბარს აზრი აღარა აქვს; ეს იმ უახლოესი დროისათვის გადავდოთ, როცა ტოტალური სიყრუე დაძლეული იქნება.

ამით იმის მტკიცე რწმენას გამოვხატავთ, რომ კიდევ ერთი ქამთატეხაც ვერაფერს დააკლებს იმ „თეთრ ტაძარს“, რომელშიც დიდმა ილიამ და დიდმა ივანე ჯავახიშვილმა „ღრმად ჩარგეს ძირი თავისუფლების“ და მომავლის სამსახურად კვლავაც დაბრუნდებიან მასში უსამართლოდ გაძევებულნი – ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით.

დავიწყეთ ცნობილი ქართველი მეცნიერის, აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის კონკრეტული გაფრთხილებით და დავასრულებთ ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსის უფრო ზოგადი მითითებით საუნივერსიტეტო პოლიტიკის საქვეყნო მნიშვნელობის შესახებ:

**„უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენები პოზიტიურ ან ნეგატიურ გავლენას ახდენს მოსახლეობაზე დიდი ხნის განმავლობაში. ის, რაც კეთდება ამ სფეროში მართვის, თანადგომისა თუ შეზღუდვის მეშვეობით, თავს იჩენს მხოლოდ რამდენიმე თაობის შემდეგ. ჩვენ ვტკბებით განათლების ადრინდელი მიღწევებით, წარმატებული ღონისძიებებით და გადაწყვეტილებებით, მაგრამ ტვირთად გვაწევს სახელმწიფოს დაუდევრობები და არასწორი (არასამართლებრივი) ჩარევები, რომელთა ინიციატორებს უკვე ვეღარ ვაგებინებთ პასუხს. თუმცა ისტორია თვითონ აკისრებს მათ მარადიულ პასუხისმგებლობას“. (კარლ იასპერსი).**

***P.S.* *ჩვენს ეპოქაში მოვლენები ისეთი სისწრაფით ვითარდება, რომ, დაე, დაუსახელებელი ადრესატები ისტორიის იმედად ნუ იქნებიან!..***

**ავთანდილ არაბული**

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA
ჯგუფი
Group

ოპოზიცია

# ლეიბორისტები „უეჭველისტებთან“ თამაშს არ აპირებენ

**ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობენ, სერიოზული ოპოზიცია არ გვყავსო. ამას თითონ განიცდიან კიდეც. არადა, თავის მხრივ, აქტიურობით ყოველთვის გამოირჩეოდა რამდენიმე ოპოზიციური პარტია, როგორც პარლამენტარის, ისე უმანდატოები. ხელისუფლების წარმომადგენლებს ამგვარი განცხადებების საფუძველი შეიძლება მართლაც ჰქონდეთ. ისინი ხედავენ, როგორ იქმნება და იშლება სხვადასხვა პარტიები და მოძრაობები, ამით გამოდგა არაერთი ცდა გაერთიანებისა. მაგრამ, როგორც ჩანს, სამი მთლად ასე არ არის. ახლახან რამდენიმე ოპოზიციურმა პარტიამ კოალიციური მოძრაობის შექმნა გადაწყვიტა, მიზნებს დაისახა და განსახორციელებლად უკვე ნაბიჯებიც გადადგა. ერთ-ერთი მათგანი ლეიბორისტული პარტიაა. ვითარებაში უკეთ გასარკვევად პარტიის ერთ-ერთ ლიდერს ჯონდი ბაღათურიას შევხვდით.**

***— ბატონო ჯონდი, რატომ გადაწყვიტეთ კოალიციური მთავრობის შექმნა?***

— იმისათვის, რომ სახელმწიფო და საზოგადოება თავიდან აიცილონ ერთპარტიული დიქტატურა, ძალადობა, ჩაგვრა, გამოძალვა, სახელმწიფო რეკეტი, უსამართლობა და [illegible], თავისუფლების შეზღუდვა. საჭიროა მთელი ოპოზიციის, მთელი საზოგადოების კონსოლიდაცია და ერთობლივი ძალისხმევა, რათა ყოველივე ამის წინააღმდეგ ყველანი ერთად გამოვიდეთ.



ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარის შალვა ნათელაშვილის თანხმობა, რომ მზად ვართ ჩამოვაყალიბოთ კოალიციური მთავრობა, ჩვენმა მეგობარმა პოლიტიკურმა პარტიებმა ძალზე სერიოზულ და მნიშვნელოვან განაცხადად აღიქვეს. ლაპარაკი იმაზე, რომ დავსხდეთ და დღესვე პორტფელები გადავინაწილოთ, — არასერიოზულია. ამჟამად გამოთქმულია მზადყოფნა კოალიციურ მთავრობაზე.

ქვეყნისთვის ასეთ მძიმე ვითარებაში მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა, ურთიერთკონკურენციის პირობებშიც კი, ისწავლონ ერთმანეთთან თანამშრომლობა, უნდა იბრძოლონ სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისთვის, ქვეყნის განვითარებისთვის და არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური, მორალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობიდან გამოსვლისთვის. ოპოზიციური ძალები უნდა გაისარჯონ, რათა გამოვიდნენ ვიწროპარტიული, ინტრიგანული კარჩაკეტილობიდან და ისწავლონ ერთმანეთთან თანამშრომლობა.

***— რომელი პოლიტიკური პარტიები თუ მოძრაობები შედიან ამ გაერთიანებაში?***

— ყველა ძირითადი.

***— რომელია თქვენთვის ძირითადი?***

— საპარლამენტო ოპოზიციიდან კონსულტაციებში მონაწილეობენ: კონსერვატორები, მემარჯვენეები და რესპუბლიკელები, არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიებიდან „სახალხო ფორუმს“ ვუყურებთ როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოძრაობას თავისი გამოცდილებით, ინტელექტუალური რესურსით, პროგრამითა და პოლიტიკური ფიგურებით. ასევე სერიოზულ პიროვნებად მიგვაჩნია გია მაისაშვილი, მას საინტერესო პროგრამა აქვს, თუმცა ამ პროგრამას მუშაობა და კარგად შესწავლა უნდა.

***— რა არის გაერთიანების ძირითადი მიზანი?***

— უმძიმესი მდგომარეობიდან ქვეყნის გამოყვანა. ქართველმა ერმა, ერთხელ და სამუდამოდ, უნდა იცხოვროს ნორმალურ სახელმწიფოში. ასე ცხოვრების გაგრძელება აღარ შეიძლება.

***— რა მექანიზმებით აპირებთ ამ ყველაფრის განხორციელებას?***

— პირველი მძლავრი მექანიზმი — ეს არის პოლიტიკური პარტიების და საზოგადოების ერთობა. კარგია თუ პარლამენტში შეიქმნება საპარლამენტო უმრავლესობა, როგორც დამატებითი მექანიზმი ხელისუფლების ძალადობისგან თავის დაცვისთვისაც და კონტრშეტევისთვისაც, ვფიქრობ, ეს სერიოზული წინადადებაა.

***— ხშირად ამგვარი გაერთიანებები უსიცოცხლოა. ისინი ლიდერთა ამბიციებს ეწირებიან. ამ შემთხვევაში იგივე შედეგს ხომ არ მიიღებთ?***

— ყოფილი საარჩევნო ბლოკები, რომლებიც, სწორად ბრძანებთ, შემდეგ იშლებოდნენ და ერთმანეთს ჭამდნენ [illegible] ჩანს. აქედან გამომდინარე, ცხადია, ეს გაერთიანება მყარი იქნება. აქედანვე ვამბობთ იმასაც, რომ როგორც კი ნეიტრალიზებული იქნება დიქტატურის საფრთხე და ხელისუფლება შეიცვლება, შემდეგ, ყველა საწყის ეტაპზე დაბრუნდება და არჩევნებში მონაწილეობას ცალ-ცალკე მიიღებს.

***— მომავალ შუალედურ თუ ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობაზე თქვენმა პარტიამ უარი განაცხადა, თუმცა შემდეგ გადაწყვეტილება შეცვალა, რატომ?***

— გადაწყვეტილება არ შეგვიცვლია. ჩვენ განვაცხადეთ, რომ დღევანდელი კანონის პირობებში შეუძლებელია არჩევნების ჩატარება, საერთოდ, ამ პროცესში მონაწილეობა. თუ კანონს არ შეცვლიან, მაშინ ჩვენც არ შევიცვლით გადაწყვეტილებას. ჩვენ გვყავს ერთპარტიული ცესკო. დღევანდელი კანონით კი თბილისის საკრებულოში მარტო ნაციონალური მოძრაობა მოხვდება. ეს წინასწარ გადაწყვეტილია. ამიტომ ჩვენ „უეჭველისტებთან“ თამაშს არ ვაპირებთ.

***— მართლა?***

— გადაწყვეტილება მყარია. ჩვენ ამ კანონს, ალბათ შევაცვლევინებთ. თუ არ შეცვლიან, მაშინ, ჩვენ შევცვლით არა კანონს, არამედ ხელისუფლებას. როგორი მეთოდებით მოხდება ეს, ამას თავად იხილავენ.

**ესაუბრა ლელა ხვადაგიანი.**

ავს თუ ავი არ ვუწოდე...

# უმეცრებათა სამყაროში

## ანუ რა საშიშროება ემუქრება აკადემიურ დამოკიდებულებას

**„ივისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ხელდღური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით [illegible] უკადრისობაზე უსაძაგლესია,“ — წერდა ილია. ამ დროს, როდესაც ილია ჭავჭავაძე დემოკრატიის პრინციპის წახდენის საშიშროებაზე გვაფრთხილებდა, საკუთრივ იმაზე, რომ „სიტყვისა და აზრის თავისუფლება“ არ შეიძლება ნიშნავდეს „ტყუილის თავისუფლებას“, საქართველოში წერა-კითხვის უცოდინარი ძალიან ბევრი იყო. სწორედ ამ მდგომარეობის აღმოსაფხვრელად შეიქმნა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“.**

დღეს წერა-კითხვის დაუფლების საკითხი, საბედნიეროდ, აღარ დგას, მაგრამ, ჩანს, გაცილებით უფრო დიდი საშიშროება დაგვეუფლა — ზოგადი განათლებით თავმომწონე, მაგრამ სათანადო განსწავლულობას მოკლებული, სიტყვათა და ტერმინთა აბდაუბდა ხმარების მოყვარული, გრაფომანიის ჟინს აყოლილი პირების აქტიურობა, რომლებიც პრაქტიკულად „უმეცრების გამავრცელებელ საზოგადოებას“ ამკვიდრებენ საქართველოში. ამის ფაქტებს წააწყდებით არა მარტო სამეცნიერო-ლიტერატურულ ალმანახში, არამედ ფართო პრესის ფურცლებზეც.

უმეცრების გამავრცელებელი ერთ-ერთი პირი გახლავთ ვინმე თამაზ ჩაჩავა, რომელმაც, როგორც ჩანს, გამოიყენა რა გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციის ნდობა, თვალი დაგვივსო ყოველგვარ აკადემიურ ზღვარს გადასული პუბლიკაციებით.

გასული წლის გაზაფხულზე გალაკტიონისადმი მიძღვნილ წერილში („ლს“, 2004, №13) ჩაჩავამ განაცხადა: „...უეცრად არაჩვეულებრივი სიღრმის მონოგრაფიას წავაწყდი, — ვ. ჯავახაძის „უცნობი“ მიძღვნილი ტაბიძისადმი.“ (გვ. 5, სვეტი 2). (აქ და შემდეგ ჩაჩავას ტექსტი ჩვენი კორექტურის გარეშე იქნება წარმოდგენილი — ი. მ.).

ჯავახაძის „უცნობი“ მონოგრაფია არა არის, არამედ ბიოგრაფიული წიგნია. მონოგრაფია ერთი საკითხისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ნაშრომია, იქნება ეს შესრულებული ერთი, თუ მეტი ავტორის მიერ. ჩაჩავას კი, ალბათ, ის სმენია, რომ „მონო“ ერთს ნიშნავს და „გრაფო“ — წერას, ხოლო რასაც ერთი კაცი დაწერს, მონოგრაფია გონია. არ იფიქროთ, რომ უნებლიე შეცდომა მოუვიდა, წერილის ბოლოს იგივეს გაიმეორებს: „ულრმესი მადლობა მინდა გადავუხადო ვ. ჯავახაძეს მისი ბრწყინვალე მონოგრაფიისათვის „უცნობი“.

წერილი მრავალი გაუგებრობითაა აღსავსე, მაგალითად, გალაკტიონის ლექსები, თურმე, როდესაც „ამღელვარდებიან და აელვარდებიან, ცათა ქვესკნელის სუფთა ჰაერს შეისუნთქავენ“ (გვ. 5, სვ. 4). როგორც ჩანს, უჩვეულო შესიტყვებების შექმნაში გალაკტიონს ასეთი უკულმართობითაც ებაძებიან!

ამჯერად, ყურადღებას მხოლოდ თარგმანთან მიმართებაში გავამახვილებ. აი რას წერს აქ ჩაჩავა: „რაც შეეხება მის (გალაკტიონის — ი. მ.) თარგმანს, [illegible] ... მოჩენაა.“ აქვე ჩაჩავა აკეთებს კომენტარს: „უნივერმაღის დირექტორის ქვეშ იგულისხმება პირი, რომელსაც იმდროინდელმა ლეჩკომბინატმა გამოუყო ცალკე პალატა, მაშინ, როცა გ. ტაბიძე მესამე პაციენტად დააწვინეს ორსაწოლიან პალატაში.“ (გვ. 6, სვ. 3; გვ. 7, სვ. 4).

იქნებ ჯობდა, ვინმეს ეთქვა მისთვის, თუ როგორ იხვეწებოდა გალაკტიონი, მთარგმნეთო, ან მ. კვესელავას ნააზრევი წაეკითხა ამასთან კავშირში გალაკტიონისადმი მიძღვნილ მის „პოეტურ ინტეგრალებში“ (თბ., 1977, გვ. 196).

**გაცილებით უფრო დიდი საშიშროება დაგვეუფლა — ზოგადი განათლებით თავმომწონე, მაგრამ სათანადო განსწავლულობას მოკლებული, სიტყვათა და ტერმინთა აბდაუბდა ხმარების მოყვარული, გრაფომანიის ჟინს აყოლილი პირების აქტიურობა, რომლებიც პრაქტიკულად „უმეცრების გამავრცელებელ საზოგადოებას“ ამკვიდრებენ საქართველოში.**

რატომ შეურაცხყოფენ გალაკტიონის მთარგმნელს, იქნება ის აწ განსვენებული ივანე ქვაჩახია, თუ ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორი, დონალდ რეიფილდი, რომელმაც გალაკტიონი ინგლისურენოვან სამყაროს თავისი თარგმანით, და არა მარტო თარგმანით, გააცნო?

იმავე წლის შემოდგომით კი ჩაჩავამ შექსპირის შემოქმედება და რეზო თაბუკაშვილის მიერ თარგმნილი სონეტები მიმოიხილა და განაცხადა:

„თაბუკაშვილს არც კი სჭირდებოდა ორიგინალში ჩახედვა, რადგან მისი სულიერი განცდის სამყარო, შექსპირის სამყაროს შეესაბამებოდა მთლიანად... გადავშლი სონეტებს, ვკითხულობ ორივე ენაზე. ვადარებ და დრო და დრო თარგმანი ორიგინალზე მეტად მომწონს.“ („ლს“, №43, 2004, გვ. 11, სვ. 1).

თუ კაცი ჩაჩავას დაუჯერებს, გამოდის, რომ პროფ. დ. რეიფილდი, გალაკტიონის ხარჯზე ცალკე პალატაში გამოჭიმული, უნივერმაღის დირექტორია, ხოლო შექსპირის მთარგმნელი რ. თაბუკაშვილი (მაპატიოს მისმა სულმა) — შექსპირზე უკეთესია.

ამდენად, საკვირველი არაფერი უნდა იყოს იმაში, თუ ასეთ უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას წინ აღუდგება და შექსპირის შემოქმედებასა და მთარგმნელობითი საქმიანობის [illegible] („ლს“, №49, №51, 2004).

[illegible] ახალ წარმატებულ წაკითხვას. ამავე დროს, მე გარკვეულწილად დავზოგე და არასაკმარისად ვამხილე თავად ჩაჩავა. მან კი ჩემი წერილის საპასუხოდ გამოაქვეყნა სტატია „არცოდნას არცოდნა ჰქვია“ („ლს“, №17, №18, №19, 2005). ძნელია, ავტორმა უკეთესი სათაური მოუძებნოს საკუთარ მასალას, ვიდრე ეს ჩაჩავამ გააკეთა. მაგრამ ვაი, რომ მისი „ნამოღვაწარი“ არა მხოლოდ არცოდნა, არამედ უმეცრებაა, და ამ ორ ცნებას შორის დიდი განსხვავებაა. ასეთ შემთხვევაზე იტყვიან: „მიუშვი კაცი ნებასა, გადაეყრება სნებასა.“ მართალია, ჩაჩავას ლექსებისა თუ სტატიების კითხვა ჩემი საქმე არაა, მაგრამ შექსპირისა და თარგმანის საქმის აბუჩად აგდება პრესის საშუალებით საგანგებოდ მავალდებულებს. ამჯერად, შევეცდები ჩაჩავას 2005 წლის პუბლიკაციებში გაცხადებული კადნიერება, უმეცრება და თაღლითობა გამოვამზეურო, თუნდაც ნაწილობრივ.

XIX საუკუნის რუსული ლიტერატურული კრიტიკის კორიფეს, ბ. ბელინსკის (1811-1848), ჩაჩავა „გონებაჩლუნგს“ უწოდებს. აი მისი შეფასებაც: „გაზეთში დაბეჭდილი სტატია (იგულისხმება ჩემი სტატია — ი. მ.) იწყება გონებაჩლუნგი, საბჭოთა კრიტიკის ფავორიტის, ბანალური ბელინსკის ციტირებით, რომელსაც ასე უხდება ბიბლიოთეკის თაროებზე ძილი, რადგან გამოღვიძებული, ყოველთვის რაღაცას შეუსაბამოს ამბობს. ამჯერად, თითქოს, „ნიჭიერი მთარგმნელი გაცილებით უფრო იშვიათი მოვლენაა, ვიდრე ორიგინალური და დამოუკიდებელი პოეტი.“ ამ დროს, თითქმის ყველა მართლაც ორიგინალური და დამოუკიდებელი პოეტი ნიჭიერი მთარგმნელია.“ („ლს“, №17, 2005, გვ. 14, სვ. 2).

მართალია, ჩაჩავა ბელინსკის „გონებაჩლუნგს“ უწოდებს, მაგრამ წარმოიდგინეთ, ბელინსკი რომ მის „ნააზრევს“ კითხულობდეს, რას იტყოდა...

გასაოცარი ის არის, რომ ამ აზრების ავტორი გვიცხადებს: „ახლა კი იმის შესახებ, რომ რატომ მომწონს რ. თაბუკაშვილის შექსპირის სონეტების თარგმანი... უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ რ. თაბუკაშვილი მთარგმნელი არ არის, რ. თაბუკაშვილი ძალზე დიდი რანგის პოეტია.“ („ლს“, №18, 2005, გვ. 15, სვ. 1).

იხ. მე-4 გვ.

ინფორმაცია

### ლარის კურსი სტაბილურია

**2005 წლის ივნისში, ისევე როგორც მთლიანად მიმდინარე წლის პირველ ნახევარში, საქართველოს სავალუტო ბაზარი განსაკუთრებული სტაბილურობით ხასიათდებოდა. აშშ დოლარის მოთხოვნა-მიწოდება თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე და მის გარეთ რაიმე სერიოზული დისბალანსით არ გამოირჩეოდა.**

**საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის დავით ამაღლობელის შეფასებით, ლარის გაცვლითი კურსის ფიქსირებული რეჟიმიდან თავისუფლად მცურავ რეჟიმზე გადასვლის შემდეგ, მიმდინარე წლის იანვარ-ივნისში ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის ყველაზე დაბალი რყევადობის (გამოისახება გაცვლითი კურსის სტანდარტული გადახრის კოეფიციენტით) 0.9 პროცენტიანი მაჩვენებელი დაფიქსირდა.**



**უკანასკნელი შვიდი წლის მანძილზე, აღნიშნული პარამეტრი ყოველწლიურად 2.1 პროცენტიდან 15.1 პროცენტამდე მერყეობდა. საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის განცხადებით, ლარის გაცვლითი კურსის უმნიშვნელო დიაპაზონში რყევა მომავალშიც შენარჩუნდება.**

### ჭიაბერაშვილი ყველაზე კარგი მერი იყო...



**„ჭიაბერაშვილი ყველაზე კარგი მერი იყო აქამდე არსებულ მერებს შორის და მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ მის გადაწყვეტილებას არ ვეთანხმები, საბოლოო ჯამში, მის საქმიანობას დადებითად ვაფასებ“, — აცხადებს რესპუბლიკელი თინათინ ხიდაშელი.**

**მისივე თქმით, მას ჭიაბერაშვილის თანამდებობიდან გათავისუფლება არ გაკვირვებია, რადგან ამის შესახებ ინფორმაცია ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინათ გავრცელდა.**

**„უკვე კარგა ხანია ჭიაბერაშვილის გადაყენებაზე ვრცელდება ჭორები და როგორც წესი, ასეთი სახის ჭორები ტყუილად არ ვრცელდება. ისიც აღსანიშნავია, რომ არც ერთ ჩინოსანზე არ ულაპარაკიათ იმდენი, რამდენიც ჭიაბერაშვილზე“ — აღნიშნა თინათინ ხიდაშელმა.**

**მისივე აზრით, პრეზიდენტის მიერ ჭიაბერაშვილის თანამდებობიდან გათავისუფლებას კონკრეტული მიზეზი აქვს. „მიმაჩნია, რომ ზურაბ ჭიაბერაშვილი საბოლოო ჯამში ვერ გახდა მათი კაცი. მერის გადადგომის თაობაზე სხვა მოსაზრებებიც მაქვს, მაგრამ ჯერჯერობით დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ“, — აცხადებს თინათინ ხიდაშელი.**

### ბაღაფში თავპატიჟს იდებს



**„თუკი აფხაზეთისთვის ტვირთების გადაზიდვის ტარიფები ხელსაყრელი იქნება და რკინიგზის ინფრასტრუქტურა 1200 სამუშაო ადგილს გაითვალისწინებს, მაშინ რკინიგზის გახსნაზე დავთანხმდებით“, — აცხადებს აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტი სერგეი ბაღაფში.**

**მისი თქმით, რკინიგზის გახსნა მომგებიანი აფხაზეთისთვის იმდენად არ არის, რამდენადაც სომხეთისთვის, საქართველოსთვის და რუსეთისთვის.**

**ბაღაფში აცხადებს, რომ ფსოუ-ენგურის რკინიგზის შესწავლა მხოლოდ მას შემდეგ დაიწყება, რაც რიგ დოკუმენტს მოეწერება ხელი.**

**სეპარატისტთა ლიდერმა ქართული მხარე რკინიგზის გახსნის მოლაპარაკებებიდან აფხაზური მხარის ჩამოშორების მცდელობაში დაადანაშაულა, მიზეზად კი საქართველოს საზღვაო-სასაზღვრო ძალების მიერ ბიჭვინთასთან 3 ივლისს თურქული სატვირთო გემის დაკავების ფაქტი დაასახელა.**

### მოქალაქეობა — ინვესტიციების სანაცვლოდ

**„მზად ვართ, რუს ბიზნესმენებს აფხაზეთის მოქალაქეობა მივცეთ, თუ ისინი აფხაზეთის ეკონომიკაში 2 მლნ დოლარზე მეტ ინვესტიციას განახორციელებენ, — აცხადებს თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტი სერგეი ბაღაფში.**

**მისი თქმით, ნორმალურია, როცა ნებისმიერ ინვესტორს სურს, მეტი მოგება ნახოს.**

**„აფხაზეთში მიწები, მსხვილი და მოქმედი ობიექტები არ გაიყიდება, ხოლო სხვა ობიექტების გაყიდვა მხოლოდ პარლამენტის გადაწყვეტილებით მოხდება. ყველა შეთანხმება აფხაზეთში მოქმედი კანონის შესაბამისად განხორციელდება“, — აცხადებს ბაღაფში.**

**მედიანიუსი**

### სასმელი წყალი არ დაბინძურებულა



**ნინოწმინდაში №100 ჭაბურღილიდან ამოფრქვეულ ნავთობს, სასმელი წყლის დაბინძურება არ გამოუწვევია.**

**გუშინ „კანარგო ჯორჯიას“ ოფისში საგარეჯოს რაიონის სოფელ ნინოწმინდაში სასმელი წყლის მომარაგების სისტემისა და სასოფლო სამეურნეო ნაკვეთების ჰიგიენური მონიტორინგის მიზნით, ლაბორატორიული ანალიზის შედეგების პრეზენტაცია მოეწყო.**

**ინტერპრესნიუსი**

თვალსაზრისი

# დღემდე ვერ შევიტყვე, ვინ შეადგინა გასაყრელი რვაასი კაცის სია

## ამბობს პრეზიდენტის მრჩეველი იგორ კვესელავა

**ის, რაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხდება, გულგრილად ვერავის დატოვებს. ქართველ მოღვაწეთა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ რეფორმამ უნივერსიტეტში უხეში შეცდომებით მიმდინარეობს, რომ ე.წ. ბოლონიის პროცესის ქართულ სინამდვილეში დამახინჯებულად გადმოტანით, სამეცნიერო და სასწავლო პროცესების გამიჯვნით უნივერსიტეტის ავტონომია ისპობა და ის კოლეჯს დაემსგავსება... უფრო მეტიც, ისინი ამბობენ, რომ უნივერსიტეტი დღეს წიწამურია, სადაც „მესამედ მოკლეს“ ივანე ჯავახიშვილი, გაუქმდა არა მხოლოდ მისი სახელობის, არამედ აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძის, კონსტანტინე გამსახურდიას კაბინეტები.**

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაუმორჩილებლობის კომიტეტი ყველა პოლიტიკურ გაერთიანებას მოუწოდებს, დადგეს უნივერსიტეტის თანამშრომლების გვერდით და შეუერთდეს მათ აქციებს. ისინი ფიქრობენ, რომ პრეზიდენტის 8 ივნისის ბრძანებულების გამოცემის შემდეგ უნივერსიტეტი, ფაქტობრივად, უკვე ლიკვიდირებულია.**

**ამ საკითხზე ვესაუბრეთ პრეზიდენტის მრჩეველს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ იგორ კვესელავას.**

— ყველა რეფორმას აქვს დადებითიც და უარყოფითიც, — გვითხრა მან, — რასაც ვერც ერთი ქვეყანა ვერ ასცდება. ამიტომ რეფორმების ჩატარების პროცესიც მტკივნეულია.

პირადად მე, ვეთანხმები მოსაზრებას, რომ უნივერსიტეტში რეფორმა მეტად მტკივნეულად მიმდინარეობს. უნივერსიტეტის სივრცეში პარლამენტის მიერ მიღებული კანონის უფრო მშვიდობიანად განხორციელება შეიძლებოდა, როდესაც სამინისტროს მოსაზრება გარკვეულწილად დაემთხვეოდა უნივერსიტეტის პოზიციას. მაშინ არც უნივერსიტეტი გაიყოფოდა მოწინააღმდეგეებად და მომხრეებად. თუმცა რეფორმა ყველას უნდა — მომხრეებსაც და მოწინააღმდეგეებსაც.

***— პარლამენტის მიერ უმაღლესი სკოლის შესახებ კანონის მიღებამდე იგი არ მოსწონდა საზოგადოების გარკვეულ ნაწილსაც.***

— გეთანხმებით, მაგრამ ეს პროექტი დაიხვეწა და საზოგადოების დიდი ნაწილისთვის მისაღები აღმოჩნდა. კანონი არსებობს და ვერ დავეთანხმები მის მოწინააღმდეგეებს, რომ იგი ცუდია. მთავარია, როგორ განვახორციელებთ მას საგანმანათლებლო სივრცეში. ეს თანდათან, ეტაპობრივად უნდა მოხდეს, და არა — ნაუცბათევად. არამგონია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უნივერსიტეტს აჩქარებდეს, არც სხვა უმაღლესი სასწავლებლები ჩქარობენ.

***— მაგრამ ოპონენტები რატომ ამბობენ, რეფორმა ნაჩქარევად მიმდინარეობსო?***

— ამ მხრივ სადავო, ვფიქრობ, ფაკულტეტების შემცირება უნდა იყოს. ერთბაშად, ოცდაორი ფაკულტეტის ექვსამდე დაყვანა, ბუნებრივია, მტკივნეულია, როცა შეიძლებოდა ამ პროცესის ეტაპობრივი განხორციელება და თავიდან, პირველ ეტაპზე, ვთქვათ ოცდაორი ფაკულტეტიდან ნახევარი მაინც დარჩენილიყო. ექვსი ფაკულტეტის დარჩენა კი ბუნებრივად იწვევს იქ მომუშავე პროფესორ-მასწავლებლების გამოდევნას და მათ უმუშევრად დატოვებას. უმუშევართა არმია სოციალურ ფონს კიდევ უფრო აუარესებს და საზოგადოებას პრობლემებს უქმნის. ამიტომ სახელმწიფომ ხელი კი არ უნდა შეუწყოს უმუშევრობის ზრდას, არამედ იბრუნოს ამ პრობლემის მოგვარებაზე.

***— თქვენი საუბრიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ რეფორმის არსებითი შეცდომა იყო რვაასი მეცნიერი თანამშრომლის სამუშაოდან გათავისუფლება?***

— უშეცდომო არც პიროვნებაა, არც მინისტრი და არც რექტორი. ამ ადამიანების განთავისუფლება, ვფიქრობ, მაინც გაუფრთხილებლად მოხდა. დღემდე ვერ გამიგია, უნივერსიტეტმა აიღო საკუთარ თავზე და რვაასი კაცის სია შეადგინა თუ ეს ყველაფერი სამინისტროს მითითებით გაკეთდა? შეცდომად ვუთვლი უნივერსიტეტსაც და სამინისტროსაც, რომ მათ ვერ მოახერხეს ამ ადამიანებთან საერთო ენის გამონახვა, რამაც არეულობა გამოიწვია.

არადა, შეიძლებოდა პრობლემის უმტკივნეულოდ მოგვარება, ამ ადამიანებთან წინასწარ გასაუბრება, რეფორმის არსში უკეთ გასარკვევად, მათი შემზადება, და არა რვაასი კაცის დათხოვნის შესახებ ბრძანებულების გამოკვრა.

***— ბატონო იგორ, რეფორმა სათანადოდ რომ არ მიმდინარეობს, ამაზე მეტყველებს თუნდაც მის წინააღმდეგ ცნობილ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა გამოსვლები...***

— მართალია, რეფორმას ცნობილი მეცნიერებიც ეწინააღმდეგებიან, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ისინი უნივერსიტეტში უმრავლესობას წარმოადგენენ. არ იფიქროთ, საქმეს ისე წარმოვსახავდე, თითქოს გარკვეულად სიტუაცია ჩაწყნარებულია, პირიქით, მგონია, რომ ამ ყველაფერს შეურიგებელი ოპოზიციის სული ასდის, მას თითქოს თვალი დაუხუჭავს, ქვეყანაში მიმდინარე ძვრების დანახვა არ სურს.

მე, როგორც ტექნიკური უნივერსიტეტის კათედრის გამგე, პროფესორი, მშვენივრად ვხედავ ქვეყანაში მიმდინარე ძვრებს, მაგრამ არც რეფორმის თანამდევ შეცდომებზე ვიხუჭავ თვალს. უშეცდომო ამქვეყნად მხოლოდ უფალია.

***— ოპონენტები, რეფორმას არაეროვნულს უწოდებენ, რის შედეგადაც, ძირითადად, ჰუმანიტარული დარგები დაზარალდა. ამბობენ, რომ სტრუქტურული რეორგანიზაციის შედეგად ის კაბინეტები და კათედრები უქმდება, რომლებიც დაკავშირებულია უნივერსიტეტის დამაარსებელთა სახელებთან, ეროვნულ ღირებულებებთან.***

— მე თვითონ უნივერსიტეტელი ვარ. აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას ასპირანტი ვიყავი და უნივერსიტეტში შესვლისას ახლაც მაჟრჟოლებს. ჩემთვის მთავარი ის კი არ არის, კაბინეტს ვაჟა-ფშაველას, რუსთაველის ან გალაკტიონ ტაბიძის სახელი რომ ჰქვია, მთავარია, ეს კაბინეტი რას აკეთებს ეროვნული მეცნიერებისათვის, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას,



გალაკტიონის ღვაწლს სტუდენტებამდე მიტანისათვის. ისეთი კაბინეტის არსებობას, სადაც ნაშრომები არ იქმნება და შემოქმედებითი ღვწა, დისკუსია არ მიმდინარეობს, სჯობს, საერთოდ არ გვქონდეს.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ ამ კაბინეტებში მეცნიერული მუშაობა არ მიმდინარეობს?***

— რა თქმა უნდა, ასე არ ვფიქრობ, მაგრამ მინდა, რომ უნივერსიტეტში სწორედ ასეთი კაბინეტები იყოს. თუ რეფორმა ამ კაბინეტების მუშაობის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად, მაშინ მივესალმები, მაგრამ თუ პირიქით — მისი დანგრევა-მოსპობა განუზრახავს, ბუნებრივია, არ მომეწონება.

***— დაუფინანსებლად, ცხადია, კაბინეტი ვერ იმუშავებს, დაიხურება, ხომ მეთანხმებით?***

— გრანტს მუშაობის გაუმჯობესებაში იძლევიან, თუ გრანტის მიმცემი მხარე ამ მუშაობას დაინახავს, ხელფასი ჩვენი მუშაობის შედეგის გამოხატულებაა.

გულახდილად უნდა გითხრათ, რომ არა მარტო უნივერსიტეტში, არამედ სხვა უმაღლეს სასწავლებლებშიც არიან ისეთი მეცნიერები, რომელთაც 10-15 წლის მანძილზე ნაშრომი არ დაუწერიათ, ანუ მეცნიერებამ დაიძინა, მოკვდა და წინ არ წავიდა. ამის შედეგად ვიღებთ სპეციალისტს, რომელიც მზად არ იქნება ხვალინდელი დღის შესაქმნელად.

ამიტომ ცოდნა უნდა გადახალისდეს, მეცნიერება თავის კალაპოტს დაუბრუნდეს. ამაში უზარმაზარი როლი სახელმწიფომ უნდა იტვირთოს. აკადემიკოსს 400 ლარიც არა აქვს ხელფასი, როცა ვილაც დეპარტამენტის უფროსს 1500 ლარს აძლევენ. ასე რომ, პროფესორი აღარ პროფესორობს, არც აკადემიკოსი აკადემიკოსობს. საზოგადოებაში მათი ადგილი ნოლამდე დავიდა. ამიტომ ამ მხრივ ვითარება უნდა გამოსწორდეს. ამ მიმართულებით უნივერსიტეტის მოძრაობას გვერდით დავუდგებით, ოღონდ მას პოლიტიკური ხასიათი არ უნდა მიეცეს. გადამრბენ პოლიტიკოსებს მინდა ვთხოვო, დიალოგის გზით შეთანხმებას მივაღწიოთ. დარწმუნებული ვარ, ქალბატონი რუსუდან ლორთქიფანიძე ამაზე უარს არ იტყვის. სხვა სასწავლებლებიდანაც მზად ვართ ამ პროცესში ჩავერთოთ, ერთობლივად ვიმსჯელოთ, რათა ჩვენი საყვარელი უნივერსიტეტი არ დაზარალდეს.

**საუბრის დასასრულს, ბატონმა იგორმა ქართველ ბიზნესმენებს, მეცენატებს მოუწოდა საკუთარ თავზე აიღონ უნივერსიტეტის კაბინეტების დაფინანსება. მისი თქმით, სულ რაღაც ექვსიოდე კაბინეტისთვის სახსრების გამოძებნა მათ არ უნდა გაუჭირდეთ. თუ ასეთი ადამიანები გამოჩნდებიან, ამ კაბინეტებში სამეცნიერო კვლევა გაგრძელდება, — ამბობს პრეზიდენტის მრჩეველი.**

**ვფიქრობ, ეს აზრი მაინც სახარბიელო არ არის, რადგან ქველმოქმედება უფრო ერთჯერადი ხასიათისაა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი კი თავისი ისტორიითა და მნიშვნელობით იმსახურებს სახელმწიფო — საბაზისო დაფინანსებას.**

**თამარ შაიშმელაშვილი**

# დასვენებით ნუ დაიღლებით

## ვიბანაოთ თუ არ ვიბანაოთ?

**ტერიტორიულმა სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციებიდან მიღებული მასალების დედაქალაქ ანალიზის საფუძველზე მომზადდა ინფორმაცია შავი ზღვის სანაპირო წყლის ხარისხობრივი მაჩვენებლების შესახებ:**

შავი ზღვის სანაპირო ზოლს ძირითადად დასახლებული ადგილების საკანალიზაციო სისტემების, აგრეთვე სამრეწველო საწარმოების, საყოფაცხოვრებო, სამეურნეო-პროფილაქტიკური და სხვა სამრეწველო ობიექტების ნახმარი წყლები აბინძურებს. ეს წყლები, უმეტესად, გაუწმენდავად ჩაედინება ზღვის სანაპირო ზოლში. მდინარეების კიდევ უფრო არიულებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, კეთილმოუწყობელი ნაგავსაყრელების და სხვა ობიექტების ტერიტორიებიდან ჩამონადენი წყლები და ასევე ზღვის სანაპირო ზოლში განთავსებული დასასვენებელი ადგილების სანიაღვრე კანალიზაციის წყლები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ზღვის წყალმოსამარაგებელ რაიონში ჩაედინება, ან ზოგჯერ უშუალოდ პლაჟის ტერიტორიაზე. წარმოდგენილი მასალების მიხედვით, ზღვის სანაპირო წყლის ნიმუშების გამოკვლევის შედეგები ზოგადად არ აკმაყოფილებს „მოსახლეობის წყალმოხმარების ადგილებში ზღვის სანაპირო წყლის დაცვა-გაბინძურებისაგან" სანიტარიული წესებითა და ნორმებით დადგენილი მოთხოვნების ნორმატიულ სიდიდეებს, კერძოდ, ლაქტოზადებითი ნაწლავის ჩხირების მაჩვენებელი 5 შემთხვევაში: ქ. ქობულეთში – სანატორიუმ „საქართველოსთან", გამგეობასთან – 2-ჯერ, საავადმყოფო-პოლიკლინიკასთან, ხელვაჩაურში (მახინჯაურთან).

ნავთობპროდუქტი აღმოჩნდა ბათუმში ზღვის წყლის აღებულ ყველა ნიმუშში, მაგრამ შედეგები ნორმის ფარგლებშია.

პათოგენურ მიკრობებზე გამოკვლევები ჩატარდა ქობულეთსა და ოზურგეთში (ურეკი). აღებულ ყველა ნიმუშში, საბედნიეროდ, შედეგების მიხედვით, ისინი წყალში არ აღმოჩნდა.

**დავით მესხიშვილი** – სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის უფროსი: ვიმეორებ, დარღვევები არის, მაგრამ ყოველივე ეს არ ნიშნავს, რომ შავ ზღვაში ბანაობა არ შეიძლება.

ბატონმა დავითმა შაბათს გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე განაცხადა: ეს სამსახური წყლის დაბინძურების დონის შესამოწმებლად სისტემატურად აწყობდა და აწყობს რეიდებს, მაგრამ განსაკუთრებით ელოდნენ ცხელი დღეების დადგომას, რათა გამოყენებული მაქსიმალურად იმოქმედონ ყოფილიყო.

ეპიდემიოლოგი ვერ განვიცხადო, – თქვა მან, – რომ წყლის სარეპუტალობის და ბანაობის მხრივ თბილისში მდგომარეობა დაძაბულია. ლისის ტბაზე ბანაობა უნდა გამოირიცხოს. რაც შეეხება მდინარე ვერეს, იმდენად წყალი დანაგვიანებულია, რომ მის შემოწმებას აზრი ნამდვილად არ ჰქონდა, შეიძლება აქ მობანავე ბავშვებს ნაწლავების სხვადასხვა სახის ინფექცია განუვითარდეს, რადგან მდინარეში ჩაედინება ფეკალური სითხე. ამიტომ კატეგორიულად მივმართავ მშობლებს, აკრძალონ თავიანთ პატარებს მდინარე ვერეში ბანაობა.

თბილისის ზღვა, ლაგუნა-ვერე, კუს ტბა თბილისელთა დასვენებისა და გართობის ადგილებია.

რაც შეეხება შავ ზღვას, აქ სხვადასხვა ადგილებიდან წყალი დაბინძურებულია და არა მთელ სანაპირო ზოლზე.

ბათუმში ოდნავ მეტია ნავთობი წყალში, ქობულეთში კი უნდა მოვერიდოთ სანატორიუმ „საქართველოსთან", გამგეობასთან და ხელვაჩაურში. თუმცა, ვიმეორებ, ეს არ ნიშნავს, რომ ბანაობა არ შეიძლება, როგორც წესი, ზღვა ადგილ-ადგილ ბინძურდება, და არა ერთბაშად და მთლიანად. ასე არსად არ ხდება, ეს არის არასახელმწიფოებრივი მიდგომა საკითხისადმი და აბსურდი. არავის არ უნდა მიეცეს უფლება, შეცდომაში შეიყვანოს არა მარტო ადგილობრივი მოსახლეობა, არამედ დამსვენებლებიც. არ ვიცი, ვის ინტერესებს ემსახურება ასეთი განცხადების გაკეთება.

სანიტარიული ინსპექციის მუშაკები ყოველდღიურად იღებენ სინჯებს მთელ სანაპირო ზოლში და აწარმოებენ კვლევას. არ არის გამორიცხული, ორი-სამი დღის შემდეგ გამოვიდე და სხვანაირი განცხადება გავაკეთო. ყოველ შემთხვევაში, დღეს შავი ზღვის წყლის მდგომარეობა სტაბილურია და მთელ სანაპირო ზოლზე ბანაობა ნებადართულია. სინჯების და კვლევების ჩატარება, რა თქმა უნდა, კვლავ გაგრძელდება, რის შესახებაც ინფორმაციას ოპერატიულად მოგაწვდით.

**ნაზი ყაჯრიშვილი**

## შადრევანმა გოგონას კაბა დაუსველა

ცისფერთვალება, თმახუჭუჭა გოგონამ დედას კაბის კალთა ძალუმად მოქაჩა და ხელი შადრევნისკენ გაიშვირა.

– დედა იქ წამიყვანე რა, სურათიც გადამიღე, მერე კარუსელზეც ხომ მომიყვან?

რა გაეწყობოდა, ქალი დაჰყვა პატარა ანას ნებას და ყველა სურვილი შეუსრულა, თუმცა შადრევანმა გოგონას კაბა დაუსველა.

*– ქალბატონო, ხშირად დადიხართ ვაკის პარკში?* – შევეკითხე უცნობს.

– დადიოდა, როგორ არა. აქვე ვცხოვრობ და ბავშვს ყოველ დილით და საღამოს აქ ვასეირნებ. ჰაერი კარგია, ბავშვი კარგად ერთობა. წლეულს სამწუხაროდ არა მაქვს, სადმე დასასვენებლად წავიდეთ. ზაფხული აქვე, ვაკის პარკში გავატარებთ.

თვითონ მოხუცებული გახლდათ. სკამზე მშვიდად იჯდა და მოთამაშე ბავშვებს გაჰყურებდა.

*– როგორ ისვენებთ, ბატონო, მოგწონთ აქაურობა?*

– ისე, ნემსებურად ვისვენებ. ზოგჯერ 11 ნომერ ტროლეიბუსზე ავჯდები და იაფად მოვივლი ვაკის პარკამდე. შემოვალ აქ და სიმშვიდე, ოღმეა და მაღალმა მწვანე ხეებმა თითქოს ცოტათი დაამძიმეს, მაგრამ მაინც კარგია. ვაკის პარკს სიცხისაგან თავს ვაფარებ.

*– დასასვენებლად არ მიბრძანდებით?*

– ეხ, კი მინდა, მაგრამ აბა, ჩემი პენსიით სად უნდა წავიდე. საქართველოს კურორტებზე ახლა ისეთი სიძვირეა, მე რას შევწვდები. გზის ფულად არ მეყოფა 28 ლარი. სოფელში წავიდე და იქაც უჭირთ, არ მინდა, ვინმეს ტვირთად დავაწვე. ისევ აქ ჩამოვალ ხანდახან, გავგრილდები და სულს მოვითქვამ.

ახლა, ამ სიცხეში, თბილისის პარკები და სკვერები მშველელად მოევლინება იმ ადამიანებს, ვინც სხვადასხვა მიზეზის გამო ქალაქიდან ვერ გადის და მთელი ზაფხული თბილისში უნდა გაატაროს. ბევრთაგან ვაკის პარკი მართლაც გამორჩეულია თავისი სილამაზით, სიფართოვით, სხვადასხვა გასართობი ატრაქციონებით.

შეიძლება ახლანდელმა ახალგაზრდობამ არც კი იცის, რომ ვაკის პარკის ტერიტორია წინათ ჭაობიანი ცარიელი ადგილი ყოფილა. შემდეგ ამ ტერიტორიას სასროლეთად იყენებდნენ, ხოლო უფრო გვიან პლანეროდრომად. პარკის გაშენება 1946 წელს დაუწყიათ. მისი მშენებლობა თურმე დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, მაგრამ დე-



დაქალაქის მოსახლეობის მისწრაფებამ, გადაექციათ ეს ადგილი დასვენებისა და კულტურული მომსახურების კერად, სძლია ყოველგვარ სირთულეს და პარკი 1957 წელს გაიხსნა.

პარკის მთლიანი ტერიტორია 210 ჰექტარს შეიცავს, რაც მისი ადგილმდებარეობის მიხედვით ოთხ ნაწილად იყოფა. თვით პარკი 25 ჰექტარი ფართობით, პლატო-პარკით, ტყე-პარკით, ნაყოფის მომცემი მცენარეებით და ბოლოს კუს ტბით, სადაც გაშენებულია წიწვოვანი და ფოთლოვანი მცენარეები.

პარკის ტერიტორიაზე თავის დროზე ათასობით ხე და ბუჩქი დარგეს – ამათგან 100 ძირი კავკასიური მუხის ნერგი და ქ. ნალჩიკიდან ჩამოტანილი 60 ძირი ვერცხლის ნაძვია. პარკის ფლორა მდიდარია სხვადასხვა მცენარეთა კოლექციით.

კარგი ჰაერი, სიმწვანე, სხვადასხვა სახეობის გასართობი ატრაქციონებით ვაკის პარკი თავს იწონებს და დამსვენებლებიც არ აკლია.

ცოტა მოშორებით, ქალაქის მშვენებად გადაიქცა ღია მუზეუმი, რომელსაც 50 ჰექტარი უკავია და საქართველოს მხარეთა თავისებურ კოლორიტს წარმოადგენს – მისი ყველა კუთხის ზნე-ჩვეულების ჩვენებით. ახლახან აქ ღია ცის ქვეშ საინტერესო კონცერტი გაიმართა, სადაც სწორედ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულებმა თავიანთი ხალხური სიმღერები და ცეკვები წარმოადგინეს. კონცერტს უამრავი თბილისელი დაესწრო და დიდად კმაყოფილნიც დარჩნენ.

ვაკის პარკის მშვენებაა წყალვარდნილი და შადრევანი, რომლის ირგვლივ თავმოყრილი დიდი თუ პატარა სიცხეში გულს იგრილებს და თავისუფალ დროს მშვენივრად ატარებს.

**ლალი ქინქლაძე**

**ხავარ ლომაძის ფოტო**

## არც მთა უნდათ და არც ზღვის ტალღები, არც გარუჯვა და სუფთა ჰაერი

**ქართველმა მინისტრებმა, თითქოს პირი შეკრესო, ერთხმად განაცხადეს უარი საზაფხულო არდადეგებზე. მათი პასუხები წვეთი წყალივით ჰგავს ერთმანეთს...**

**მოუსმინეთ მათ და თავად დარწმუნდებით, თუ რა მოუცლელობა შეჰყრიათ ჩვენს პატივცემულ მინისტრებს. თურმე არც მთა უნდათ და არც ზღვის ტალღები, არც გარუჯვა და სუფთა ჰაერი...**

**ვანო მერაბიშვილი, შინაგან საქმეთა მინისტრი:** წელს იმდენი საქმეა, რომ დასვენებას ვერ შევძლებ. რაც შეეხება ოჯახს, მეუღლე და ბავშვი ზაფხულს ბორჯომში, საკუთარ სახლში გაატარებენ.

**ეთერ ასტემიროვა, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი:** ბოლო თორმეტი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ დავისვენე, როცა ნანული შევარდნაძემ ისრაელში გამაგზავნა, სადაც ოცდაერთი დღე დავყავი. ძალიან კარგად მახსენდება იქ გატარებული დრო. წლეულს ისეთი დატვირთული რეჟიმი მაქვს, რომ დასვენებისთვის ვერ მოვიცლი, ყოველდღიურად მარტო ექვსასამდე განცხადების გაცნობა და ხელის მოწერა მიწევს.

**კახა ლომაია, მეცნიერებისა და განათლების მინისტრი,** თვლის, რომ ეს მისი პირადი ცხოვრების დეტალია, რომლის აფიშირებასაც არ აპირებს...

**მიხეილ სვიმონიშვილს, სოფლის მეურნეობის და სურსათის მინისტრს,** დიდი ხანია დაავიწყდა, რას ნიშნავს დასვენება. მისთვის ეს მხოლოდ ერთი-ორი საათით განმარტოებასთან ასოცირდება. წელს ის წყალდიდობებით დაზარალებულ სოფლებში სიარულს ვერ აუდის და რომელ არდადეგებზეა საუბარი? მხოლოდ მეუღლეს და ბავშვს გააგზავნის ცოტა ხნით ლეჩხუმში, იქიდან დაბრუნების შემდეგ კი კოჯორში ან კიკეთში გაუშვებს.

**გიორგი გაბაშვილისთვის, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრისთვის,** შარშანდელთან შედარებით, რომელიც საბერძნეთში გამართულ ოლიმპიადაზე გაატარა, წლევანდელი ზაფხული ნაკლებ საინტერესო იქნება. მით უმეტეს, მას ვერ გადაუწყვეტია, სად დაისვენებს, ან საერთოდ, მოახერხებს თუ არა ამისათვის დროის გამონახვას...

**ზურაბ ხაინდრავამ? — ზოგა ხაინდრავამ, სახელმწიფო მინისტრმა,** აბსოლუტური გულწრფელობით გაგვანდო თავისი საზაფხულო არდადეგების გეგმა. იგი ოჯახთან ერთად ყოველთვის ისვენებდა ჯერ ლიკანში, ხოლო შემდეგ აჭარაში, ზღვაზე და ამ ტრადიციას არც წლევანდელ საზონზე უღალატებს.

ზოგი მინისტრი კი იმდენად დაკავებული აღმოჩნდა, რომ კომენტარისთვისაც ვერ მოიცალა. არადა, მათი ასეთი მოუცლელობის შემხედვარეს ქვეყანაში ყველაფერი უკვე კარგად დაწყობილი უნდა გვქონდეს.

**ლელა მანავლიშვილი**

## გესტუმრეთ „ლაგუნა-ვერეს!"

**„ლაგუნა-ვერე" – პოპულარული დასასვენებელი ადგილი, ზაფხულის ხვატისგან სულის მოსაბრუნებელი ოაზისი. დილიდან საღამომდე არ წყდება აქ ფუსფუსი, ვარჯიშობენ, ძალასა და ენერგიას იკრებენ და ორგანიზმს იკაჟებენ ჩვენი სახელოვანი სპორტსმენები, აუზებში ხშირად შეხვდებით უცხოელ ტურისტებსაც.**

**იშვიათი გამონაკლისის გარდა, დღიდან ამოქმედებისა, საწყლოსნო სპორტულ კომპლექსს მუშაობა არასოდეს შეუწყვეტია, თუმცა იყო ბევრი ხელისშემშლელი გარემოებაც, გაჭირვებაც... დრო კი სწრაფად გადის... 27 წელი არც ძალიან ბევრია და არც ცოტა, აქ სათქმელიც და გასაკეთებულიც ბევრი აქვთ.**

დღეს შაბათია, კომპლექსში ხალხი არ ილევა. მოსაცდელში ვზივარ და ვაკვირდები აქაურობას. დიდი ხნის წინ აქ ბიჭი დამყავდა... დირექტორი კაბინეტში იშვიათად შემოდის, საერთოდ არ არის კაბინეტის კაცი, – გამუდმებით აუზთან ტრიალებს, რომ რაიმე ინციდენტი არ მოხდეს, – მიკონკრეტებს მორიგე.

*– ცხელა, ახლა მისწრებაა ცურვა,* – ვეუბნები გოგონას, რომელიც, ვატყობ, ნერვიულობს, თურმე, მეგობარი გოგონა იგვიანებს.

– კარგია, მაგრამ ძვირია!

*– ძვირია? ხალხი მაინც სავსეა, განსაკუთრებით ბევრნი არიან ახალგაზრდები. როგორც ჩანს, თქვენ უფრო ახერხებთ ფულის შოვნას.*

– მშობლები გვაძლევენ... ძირითადად შეძლებული ოჯახებიდან დადიან. არ უნდა ვამბობდე, მაგრამ ასეა. ხალხს ძალიან უჭირს, ბევრს უნდა აქ სიარული, მაგრამ... სხვაგან უფრო ძვირია, აქ კომფორტი და მაქსიმალური ყურადღებაა.

ამასობაში დირექტორიც მოვიდა და ჩვენი საუბარი შეწყდა.

**მცირე დოსიე: ვლადიმერ გოიაშვილი, საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი, სპორტკომპლექსს „ლაგუნა-ვერეს" უცვლელი დირექტორი, სპორტის ოსტატი და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი წყალბურთში.**

– ჩვენი საცურაო აუზი, არ მომერიდება ამის თქმა, თბილისელებისთვის განსაკუთრებულად საყვარელი დასასვენებელი ადგილია, – ამბობს ბატონი ვლადიმერი, – 400 ათასამდე პატარა თბილისელმა სწორედ აქ ისწავლა ცურვის ანბანი. დღეს უკვე



მესამე თაობა მოდის, და ჩვენ ეს ძალიან გვახარებს, საერთოდ კი 10 მილიონზე მეტ ადამიანს მოვემსახურეთ.

საბაზრო ეკონომიკის რელსებზე გადასვლა, როგორც ბევრ სხვა საწარმოში, აქაც გასჭირვებიათ. – მიუხედავად ამისა, მაინც ვცდილობთ პრესტიჟის შენარჩუნებას – არავითარი მაგარი სასმელი, კარგი სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები, მაქსიმალური ყურადღება – აი, ის ორიენტირი, რომლითაც ყოველდღიურად ვხელმძღვანელობთ. ბიუჯეტში ერთ მილიონ 200 ათასი ლარი გვაქვს შეტანილი ამ ხუთ წელიწადში. რომელი სპორტული ორგანიზაცია იხდის ამდენს? ჩვენთვის მთავარი წყალია, მაგრამ გადასახადსაც იმდენს ვიხდით, რამდენსაც მოგებაზე ორიენტირებული ორგანიზაციები. რატომ? ჩვენ ხომ არაფერს ვაწარმოებთ? – უკვირს ბატონ ვლადიმერს. დღეს ძალიან დიდი პრობლემაა სკოლიოზი ბავშვებში. სამწუხაროდ, შესაძლებლობა არ გვაქვს, რომ ხელმოკლე ოჯახებს დავეხმაროთ, ცოტა მეტი შეღავათი დავაწესოთ, მარტო 50-70 ათას ლარს კომუნალურ გადასახადს ვიხდით...

სპორტული ღონისძიებები აქ ყოველთვის უფასოა, არის ოლიმპიური მზადების ბაზა.

– ვინაიდან ფული არსაიდან შემოგვდიოდა, კომპლექსს კი კაპიტალური რემონტი ესაჭიროებოდა, ბანკიდან სესხად ავიღეთ 250 ათასი დოლარი. თანხა 5 წელიწადში უნდა დავფაროთ. გვინდა, ბავშვებსაც და მოზრდილებსაც საამო გარემო შევუქმნათ და ზამთარშიც სასიამოვნო იყოს ცურვა. იანვარში დავიწყეთ და მაისში დავამთავრეთ სარემონტო სამუშაოები. ყველაფერი ევროპული სტანდარტების დონეზე მოვაწყვეთ. არის დახურული და ღია საცურაო აუზები, მომხმარებელს ფართო არჩევანის შესაძლებლობა აქვს. გვაქვს საუნა, მასაჟისა და კოსმეტიკის კაბინეტები, სატრენაჟორო დარბაზი.

კომპლექსის ხელმძღვანელთა ინიციატივით დაინერგა მომსახურების ახალი ფორმები, ოსტეოქონდროზით, სკოლიოზით და სხვა ავადმყოფობით შეწუხებულებს აქ უმაღლესი კატეგორიის სპეციალისტები მკურნალობენ.

როგორც ჩანს, არც ქველმოქმედება ავიწყდებათ, შეღავათით სარგებლობენ დევნილები, სამხედრო აკადემიის კურსანტები, მრავალშვილიანი ოჯახები და ის მოზარდები, რომელთა გამოსაჯანმრთელებლად წყლის პროცედურები აუცილებელია.

ახლახან შეღავათი დაუწესდათ ზაფხულში თბილისში დარჩენილ ბავშვებსაც.

– ბავშვებისთვის ზამთარშიც კი ორ აუზს ვამუშავებთ, უშუქობის დროს დიზელ-გენერატორი გვშველის, როცა გაზი არ არის, მაზუთს ვყიდულობთ და მაინც ვცდილობთ, გაუჩერებლად ვიმუშაოთ...

*– ბატონო ვლადიმერ, ცნობილი სახეებიდან ვინ დადის ყველაზე ხშირად?*

– კახი კავსაძე. რაც თავი მახსოვს, სულ დადის, გიორგი თარგამაძე, ცნობილი ჟურნალისტი „იმედიდან", თვითონ ხომ ძალიან წესიერი კაცია, როგორც ჩანს, ჯანსაღი ცხოვრების წესი ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი.

*– ჩვენი პრეზიდენტი არ მოდის ხოლმე?*

– როგორ არა, დადიოდა, მაგრამ ხომ ხედავთ, ირგვლივ რამდენი მშენებლობაა, შენობებით დაიფარა აქაურობა, დაცვას ცოტა გაუჭირდა, ამიტომ ვეღარ დადის, სამაგიეროდ, ქალბატონი სანდრა და პატარა ედუარდი სისტემატურად დადიოდნენ. ბოლოს რომ იყვნენ, ედუჩი სექტემბრამდე დაგვემშვიდობა.

**წყალი, მზე, ჰაერი – უამისოდ წარმოუდგენელია ზაფხული, გარუჯვა, ჯანსაღი კანი და კარგი განწყობა... ესტუმრეთ „ლაგუნა-ვერეს" და, თუ შესაძლებლობა გაქვთ, ნურც ერთს ნუ მოიკლებთ.**

**ნაზი იმნაიშვილი**

## თან ბაყაყების „ორკესტრს" უსმენენ

**ავზნიანმა გაზაფხულმა, როგორც იქნა, თავი მოიდრიკა და ზაფხულის მხურვალე დღეებს ასპარეზი დაუთმო. თბილისელები ახლა სიცხის გამო აწუწუნდნენ. მათთვის, ვინც ჯერ კიდევ თბილისშია და დასასვენებლად არ გამგზავრებულა, კუს ტბაზე თუნდაც ერთი შაბათ-კვირის გატარება სწორედ მისწრებაა.**

მეც, უამრავი ადამიანის მსგავსად, ერთი კვირადღე კუს ტბის მყუდრო და მშვიდ გარემოში გავატარე. აქ მოსახვედრად ყველაზე იაფი და ხელმისაწვდომი ტრანსპორტი ძველი, ჯერ კიდევ კომუნისტების დროს აგებული საბაგიროა. სამწუხაროდ, კუს ტბაზე ასვლის მსურველებს იგი ხშირად დაკეტილი ხვდება. იშვიათად, რომ ვინმემ ამის გამო შინ, ოჯახურ გარემოში დაბრუნება გადაწყვიტოს. იქვე, საბაგიროს მახლობლად, კერძო ტაქსების რიგია, თუ ამჯერად მაინც გაგიმართლებთ და ღვთისნიერ მძღოლს წააწყდებით, ტბაზე ორ ლარადაც ახვალთ.



ფიჭვებისა და ნაძვების სურნელით გაჟღენთილმა თბილმა და რბილმა ჰაერმა ტბაზე ასვლისთანავე სიმშვიდე მომგვარა. თრიალეთის ქედის მთების ძირში პატარა, საყვარელი ტბა გარინდულიყო. მხურვალე მზის სხივები ჭუჭყიან, ბლანტ ზედაპირს მაინც მომხიბვლელად აბრჭყვიალებდა. „კუს ტბა" ამ ადგილისთვის დიდი ხნის წინათ, სწორედ კუების სიმრავლის გამო დაურქმევიათ. ახლა კი ამ უწყინარი ცხოველს იშვიათად თუ წააწყდება ვინმე, ისიც – უფრო ტყის სიღრმეში, ფიჭვნარსა თუ ნაძვნარში.

ჩვენმა მშფოთვარე და ევროპული ყოფა-ცხოვრების მიმბაძველმა დრომ კუს ტბის მყუდრო და მშვიდ სამყაროშიც ბევრი რამ ახლებურად მოაწყო, თუმცა ძველიც არ ეძლევა დავიწყებას: ახლა აქ ერთმანეთის გვერდით არის თანამედროვე და ძველმოდური, ახლადაშენებული და დანგრეული შენობა-ნაგებობები, კერძო და სახელმწიფო საკუთრება. ახალი, კეთილმოწყობილი ფასიანი საფეხბურთო მოედნების გვერდით ძველი, გაპარტახებული სტადიონიც განაგრძობს არსებობას. იგი თუმცა უფასოა, მაგრამ იქ თამაშს ალბათ არავინ მოინდომებს. ტბის ერთ ნაწილშიც კეთილმოწყობილ, ფასიან სანაპიროს, უპატრონოდ მიტოვებული, ალაგ-ალაგ დაჭაობებული ადგილები ენაცვლება. ამას ისევ ფეშენებელური რესტორნის საკუთრებაში მყოფი ბრტყელი ქვემოთ მოკირწყლული, ლამაზად მოფილაქნებული ნაპირი მოსდევს. ტერასებზე ღია ცის ქვეშ გამოტანილ მაგიდებს მზით გარუჯული გოგო-ბიჭები უსხედან. მათთან საუბრის გაბმა არ გამჭირვებია. კუს ტბაზე გატარებულმა ერთმა დღემ თითოეულ მათგანს უდიდესი სიხარული მიანიჭა, მაგრამ მიაჩნიათ, რომ უმჯობესია, ტბის მთელი სანაპირო ზოლი იყოს კეთილმოწყობილი.

ტბა საკმაოდ პატარაა და, როდესაც მის ერთ ნაპირზე ბაყაყები ყიყინებენ, ბუნებრივია, მეორე, კეთილმოწყობილ ნაპირსაც ჩრდილი ადგებაო, ამიტომაც სხვების მსგავსად, არც მათ უბანავიათ.

თუმცა ნებადართულია, დამსვენებელთა უმეტესობა ტბაში ბანაობას, მის ზედაპირზე ველოსიპედებით, ნავებით ან კატერებით სეირნობას ამჯობინებს.

გოგო-ბიჭები მალე წამოიშალნენ და კუს ტბის შემოსასვლელში ჰოთდოგების ჯიხურს მიაშურეს. როგორც ჩანს, მოშივდათ და რესტორნის ძვირადღირებულ მენიუს, უფრო ხელმისაწვდომი, მოდური და თანაც გემრიელი ჰოთ-დოგი ამჯობინეს.

ბევრი აქ მზის ამოსვლისთანავე მოდის, ტბას გარშემო რამდენჯერმე შემოურბენს, ცოტას წაივარჯიშებს და უსათუოდ ფიჭვნარსა და ნაძვნარს მიაშურებს. ამ ადამიანებს ჩრდილოეთის მხრიდან ტბის თავზე წამომდგარი ტყით დაბურული მთებიც მრავალჯერ დაულაშქრიათ. უცხოელი ტურისტებიც ხშირად ამოდიან აქ.

კუს ტბის მშვიდმა და მყუდრო სამყარომ თავის წიაღში დიდხანს დამაყოვნა. „ჩვენ მივდივართ, რეპორტიორობას თუ მორჩი, გაგიყოლებთ", – დამიძახეს ტბაზე შემთხვევით გაცნობილმა 19-20 წლის გოგონებმა.

მართლაც, შუადღე შეუმჩნევლად გაპარულიყო, დრო მწუხრის დადგომისკენ მიისწრაფოდა. საბაგირო ისევ არ მუშაობდა, შემთხვევა ხელიდან არ გავუშვი, თანხმობის ნიშნად გოგონებს თავი დავუქნიე. სულ მალე ნაცრისფერი „ჯიპი" ხმაურიანი, პოლიტიკური ბაქანალიებით ნერვებდაჭმული ქალაქური ცხოვრებისკენ მიგვაქანებდა.

**ლელა ჟოლიკიშვილი**

**სურათზე: დიდებულია გრილი წყალი.**

**ლევან ლომაძის ფოტო**

### ◎ ინფორმაცია

## „კავკასიონს" არემონტებენ...

**მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზ „კავკასიონზე" სარემონტო სამუშაოები დაიწყო.**



**„საქრუსენერგოს" გენერალური დირექტორის მოადგილის შოთა მაისურაძის განმარტებით, სარეაბილიტაციო ჯგუფმა უშუალოდ ანძის დაზიანების ადგილამდე მისვლა მოახერხა, თუმცა გზის პრობლემა ისევ არსებობს და დაზიანებული ხაზის დათვალიერება ვერტმფრენით მიმდინარეობს. ამიტომ როდის დასრულდება აღდგენითი სამუშაოები, ძნელი სათქმელია. შესაძლოა, სარემონტო სამუშაოებზე დაახლოებით 2 მლნ დოლარი დაიხარჯოს.**

**დაზიანებული უბანი სვანეთში, მდინარე კლიჩის ხეობაში მდებარეობს და მის აღდგენას აქამდე უგზოობა აფერხებდა.**

**ელექტროგადამცემი ხაზი „კავკასიონი" დიდთოვლობის გამო მარტში დაზიანდა. მას შემდეგ საქართველოში ელექტროენერგია რუსეთიდან აღარ შემოდის.**

**მაისურაძის პროგნოზით, ელექტროენერგიის იმპორტი სავარაუდოდ ოქტომბრის დასაწყისში აღდგება.**

**მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზ „კავკასიონის" სიმძლავრე დღე-ღამეში 12 მლნ კილოვატსაათია.**

## თქვენ ოღონდ ისწავლეთ!

**ფონდი „ინტერნიუსი" აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით აწყობს სამკვირიან საერთაშორისო „საზაფხულო სატელევიზიო ბანაკს" ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი ბავშვებისთვის – 18 მოსწავლისათვის. ისინი საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში ჩატარებულ კონკურსზე შეირჩნენ.**

**სატელევიზიო ბანაკი იხსნება დღეს, კურორტ ჩაქვში, სანატორიუმ-სასტუმრო „ოაზისში".**

**ბავშვები შეისწავლიან ტელეჟურნალისტიკის საფუძვლებს – რეპორტაჟის მომზადების ხელოვნებას, დაეუფლებიან პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს ტელეგადაღებაში კომპიუტერულ და ვიდეომონტაჟში.**

**ტრენინგებს გაუძღვებიან „ინტერნიუსის" საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ოფისების გამოცდილი პროდიუსერები, უცხოეთიდან მოწვეული კონსულტანტები.**

**ბანაკი უზრუნველყოფილია ტელეწარმოებისათვის აუცილებელი ყოველგვარი ტექნიკით. ამასთანავე, ბავშვებს გართობისა და დასვენებისათვის ყველანაირი პირობა ექნებათ.**

**ბანაკში მომზადებული მოსწავლეები სექტემბრიდან საბავშვო ტელეპროგრამის „ჩვენი ექსპრესის" წარმოებაზე იმუშავებენ.**

**„ჩვენი ექსპრესი" USAID-ის მიერ დაფინანსებული სამწლიანი საერთაშორისო პროექტია, რომელიც 2004 წლიდან ხორციელდება. 25-წუთიანი ტელეპროგრამა საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში მომზადებული სიუჟეტებისაგან იქმნება და გადაიცემა სამივე ქვეყნის ტელეარხებით.**

**პირველი გადაცემა 2005 წლის 21 იანვარს გავიდა ეთერში. საქართველოში „ჩვენი ექსპრესის" ტრანსლირებას უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ტელევიზია – პროგრამას ორ კვირაში ერთხელ, პარასკევობით გადასცემს.**

**მედიანიუსი**

## სავალუტო ბირჟის ბრუნვა შემცირდა

**თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის ბრუნვა მიმდინარე წლის პირველ ნახევარში 23 მლნ. ლარით შემცირდა და 82,5 მლნ. დოლარი შეადგინა.**

**როგორც ინტერპრესნიუსს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა დავით ამაღლობელმა განუცხადა, 2005 წლის პირველ ნახევარში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სავალუტო ბირჟაზე 17,5 მლნ. დოლარი შეიძინა და 17,2 მლნ. დოლარი გაყიდა.**

**„გასული წლის პირველ ნახევარში ბირჟაზე დაფიქსირებული ბრუნვის მაღალი მაჩვენებელი მეტწილად საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებულმა დიდი მოცულობის ინვესტიციებმა განაპირობა", – განაცხადა ამაღლობელმა.**

**რაც შეეხება ევროს ბრუნვის დინამიკას, 2004 წლის პირველ ნახევარში ამ მაჩვენებელმა 730 ათასი ევრო შეადგინა, მიმდინარე წლის ანალოგიურ პერიოდში ეს მაჩვენებელი 1,9 მლნ. ევროს გაუტოლდა, აქედან 1,1 მილიონის მოცულობის გარიგება ივნისში დაიდო.**

## რუსთავიდან საჩხერის ბატალიონში

**გუშინ დილით რუსთავიდან საჩხერის ბატალიონში 60 რეზერვისტი გაემგზავრა. რეზერვისტები საჩხერეში სამი კვირის განმავლობაში დარჩებიან და საბრძოლო გადამზადებას ადგილზე გაივლიან.**

**რეზერვისტთა ბატალიონში რუსთავისა და ქვემო ქართლის სხვადასხვა სამსახურების უფროსებთან ერთად რიგითი მოქალაქეებიც არიან. ბატალიონის მეთაური ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილე კახა ბარათაშვილია. როგორც ინტერპრესნიუსთან საუბარში ერთ-ერთმა რეზერვისტმა, რუსთავის ცენტრალური საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა პაპუნა ბახტაძემ განაცხადა, ხელახალი საბრძოლო გადამზადება ყველა მამაკაცისთვის აუცილებელია, რათა საჭიროების შემთხვევაში ქვეყანას გამოადგნენ.**

**აღსანიშნავია, რომ წელს რეზერვისტთა ბატალიონი რუსთავიდან პირველად გაემგზავრა. რეზერვისტები გამგზავრების წინ საკმაოდ ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილნი.**

**ინტერპრესნიუსი**

№ 165. ხუთშაბათი, 14 ივლისი, 2005 წელი.

◎ ვაზუსტებთ

# ვის რაში სჭირდება?!

## ქართველია თუ არა ირანის ახალი პრეზიდენტი?

**ამ რამდენიმე დღის წინათ დამირეკეს ირანიდან მეგობარმა ფერეიდნელმა ქართველებმა და მისაყვედურეს — „რასა წერთ თქვენს გაზეთში „ჯორჯიან ტაიმსში", რომ ჩვენი ახალი პრეზიდენტი ქართველია და თანაც მჭედლიშვილიაო, მაგ გვარის კაცი ფერეიდნელ ქართველებში მიმსდღეში არა გვყოლია" და სხვ.**

მოვინახულე გაზეთი „ჯორჯიან ტაიმსი" (№ 025, 30 VI, 2005) და ელდა მეცა — დიდი ასოებით სათაური „როგორც ამბობენ, ირანის ახლად არჩეული პრეზიდენტი ქართველია — გვარად მჭედლიშვილი".


როგორც ამბობენ, ირანის ახლადარჩეული პრეზიდენტი ქართველია — გვარად მჭედლიშვილი

ავტორი თამარ ასლანიკაშვილი ამას არ დასჯერდა და თავისი „აღმოჩენა" გაამდიდრა იმით, რომ იქვე მიაწერა — „ძირძველი ლაზია თურქეთის პრემიერ მინისტრი, მისი მეუღლე და შვილიშვილიც". თავისი სტატიის ბოლოში ავტორი კვლავ უბრუნდება თურქეთს და პრემიერის შვილიშვილზე წერს — „ერდოგანის (სწორეა ერდოღანი) შვილიშვილს კი იმდენად უყვარს თავისი ისტორიული სამშობლო საქართველო, რომ თითქმის უაქცენტოდ მეტყველებს „გურჯულად"!

საინტერესოა, თუ თავად ელაპარაკა ქალბატონი თამარი ერდოღანის შვილიშვილს, რომელიც თურმე უაქცენტო ქართულით ლაპარაკობდა, მისი სახელი მაინც გაეცნო ჩვენთვის. ისიც საინტერესოა, სად წაიკითხა, ან ვინ უთხრა მას თურქეთის პრეზიდენტის შესახებ? ამით რისი თქმა სურს... დაფიქრებულა მაინც, თავის ფანტაზიას რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს?

რაც შეეხება ირანის ისლამური რესპუბლიკის „მეცხრე პრეზიდენტს ქართული ფესვები აქვს"! რომ აცხადებს ავტორი სტატიისა, საიდან მოიტანა, ან ვინ უთხრა?! მაშინ, როდესაც ირანში მაცხოვრებელმა ქართველებმა ე.წ. „ფესვების" შესახებ პირველად გაიგეს მისი „გურჯობა", თანაც მისი მჭედლიშვილობა.

ისიც აღსანიშნავია, რომ გვარი მჭედლიშვილი ფერეიდნელ ქართველთა შორის არასდროს არ ყოფილა მოხსენიებული.

თანაც პრეზიდენტის სიტყვიდან ციტატა „ჩვენ ერთი ერი, ერთი ოჯახი ვართ"! — ეს ეკუთვნის მრავალეროვანი ირანის მუსულმანური რელიგიის აღმსარებელ მოსახლეობას, და არა მოგონილ „ფესვებს".

ასევე „იგი ტიპური მამლუქების შთამომავალიაო!" საკვირველია, „ჯორჯიან ტაიმსის" რედაქციის თანამშრომლებმა, რომელთაც წაიკითხეს წინასწარ ეს ე.წ. სტატია, ნუთუ არ იცოდნენ, რომ ირანში მამლუქობა არასდროს არ ყოფილა?! ან სად ნახა მამლუქის ტიპი? ესეც საინტერესოა.

ავტორი განაგრძობს, რომ ახმადინეჯადის წინაპრის გვარი მჭედლიშვილი გახლავთ. ამის შესახებ იგი ხმამაღლა არასოდეს საუბრობსო. ქალბატონო თამარ, თუ პრეზიდენტი ამის შესახებ არასდროს არ საუბრობს, ვისგან გაიგეთ, ან რისი თქმა გინდოდათ ამით?

იცით თუ არა, რომ ამ სიცრუით ვნება მიაყენეთ საქართველო-ირანის, ასევე თურქეთის კეთილმეზობლურ ურთიერთობებს, რომელსაც ოფიციალურად არც ერთი მხარე არ გამოეხმაურება! მაგრამ, ბუნებრივია, რეაგირება იქნება. თუმცა, როგორც ჩანს, თქვენთვის ამას მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს!..

**ნოდარ კოჭლაშვილი,**
**საქართველო-ირანის მეგობრობის საზოგადოების თავმჯდომარე.**

# ლონდონში აფეთქებები ბრიტანელებმა განახორციელეს





**ლონდონში მომხდარი აფეთქებების გამომძიებელი ბრიტანელი პოლიციელები დარწმუნებული არიან, რომ ტერორისტული აქტები განახორციელეს ბრიტანეთში დაბადებულმა ამ ქვეყნის ქვეშევრდომებმა.**

გარდა ამისა, პოლიციელთა ვარაუდით, ოთხი ტერორისტიდან სულ ცოტა სამი იყო კამიკაძე, რომლებიც დაიღუპნენ აფეთქებების დროს. თუ ვარაუდი დადასტურდა, ეს გახდება პირველი ასეთი შემთხვევა თანამედროვე ბრიტანეთის ისტორიაში.

უშიშროების სამსახურების წყაროები აღნიშნავენ, რომ სამი დაღუპული დაიბადა ბრიტანეთში მცხოვრებ პაკისტანელთა ოჯახებში. რაც შეეხება მეოთხე მოთარეშეს, რომელმაც ააფეთქა ავტობუსი, სპეცსამსახურების სპეციალისტები ჯერჯერობით არ არიან დარწმუნებული იმაში, რომ ამ ადამიანს თავის მოკვლაც სურდა.

სავარაუდოდ, აცხადებენ წყაროები, მთელ ამ ოთხეულს ხელმძღვანელობდა ერთი ადამიანი, რომელმაც ბრიტანეთის ტერიტორია დატოვა ტერაქტების განხორციელების წინ.

პოლიციის წარმომადგენელთა თქმით, 7 ივლისს ყველა მოთარეშე მატარებლით ჩავიდა ლონდონის კინგს-კროსის ვაგზალში დაახლოებით დილის 8 საათისა და 30 წუთისთვის, და ისინი დააფიქსირეს სათვალთვალო კამერებმა.

სამი მოთარეშე წარმოშობით ჩრდილოეთ ინგლისის იორკშირის საგრაფოდან იყო. აფეთქებების ადგილებში გამოძიების დროს იპოვეს ამ ადამიანების სახელზე გაცემული დოკუმენტები.

ერთ-ერთი მოთარეშის მშობლებს მიაჩნიათ, რომ მათი ვაჟი დაიკარგა უგზო უკვლოდ, რის შესახებაც შეატყობინეს პოლიციას.

მას შემდეგ, რაც მოხდა მოთარეშეთა იდენტიფიცირება, პოლიციამ განახორციელა ჩხრეკა ქალაქ ლიდსის ექვს სახლში — სამ სახლში ცხოვრობდნენ აფეთქებების მოწყობაში ეჭვმიტანილი პირები. ისინი გასულ ოთხშაბათს ჩავიდნენ ლიდსიდან ქალაქ ლუტონში, სადაც მათ შეუერთდა მეოთხე მოთარეშე, შემდეგ კი ყველამ ერთად საგარეუბნო მატარებლით ჩააღწია ლონდონამდე.

ლიდსსა და ლუტონში ჩხრეკის დროს იპოვეს ასაფეთქებელი მოწყობილობა და დააპატიმრეს ერთ-ერთი მოთარეშის ნათესავი, რომელიც გაგზავნეს ლონდონში დასაკითხად. სავარაუდოდ, ამ ადამიანმა მოამარაგა ოთხი ტერორისტი ასაფეთქებელი ნივთიერებით და დეტონატორებით.

# ქუჩის ბრძოლები ბელფასტში

**„ორანჟისტების" მორიგი პარადი ბელფასტში ქუჩის ბრძოლებით დასრულდა. შეტაკებები კათოლიკეებს, პროტესტანტებსა და პოლიციელებს შორის დაიწყო მაშინ, როცა წესრიგის მცველებმა სცადეს გაეფანტათ ადამიანები, რომლებიც ხელს უშლიდნენ კათოლიკურ რაიონებში პარადის მსვლელობას.**



წინასწარი მონაცემებით, შეტაკებების შედეგად დაშავდა 60 პოლიციელი და ორი ჟურნალისტი. მსხვერპლისა და სამოქალაქო მოსახლეობაში დაშავებულთა შესახებ, ჯერჯერობით არ იტყობინებიან.

კათოლიკეებმა პოლიციელებს დაუშინეს ცეცხლგამჩენი ნარევით სავსე ბოთლები და პეტარდები. ამის პასუხად, პოლიციელებმა შეკრებილთ რეზინის ტყვიები ესროლეს და მათ გასაფანტად გამოიყენეს წყალსატყორცნები და ხელკეტები.

ბელფასტსა და მთელ ჩრდილოეთ ირლანდიაში გაძლიერებულია უშიშროების ზომები. პოლიციელები აცხადებენ, რომ ყოველგვარ უწესრიგობას უმკაცრესად აღკვეთენ.

„ორანჟისტთა" ორდენი, რომელიც დაფუძნდა ჯერ კიდევ XVII საუკუნის დამლევს და სახელი ეწოდა ინგლისელი პროტესტანტი მეფის ვილჰემ მესამე ორანელის კათოლიკეებზე ჯეიმს მეორეზე გამარჯვების პატივსაცემად, ყოველწლიურად აწყობს საზაფხულო პარადების მთელ სერიას.

მთელი XX საუკუნის განმავლობაში ორდენი მხარს უჭერდა იმას, რომ პროვინცია დარჩენილიყო დიდი ბრიტანეთის შემადგენლობაში, მაშინ როცა, კათოლიკეთა უმრავლესობას სურს ჩრდილოეთ ირლანდიის შეერთება ირლანდიის რესპუბლიკასთან.

# ტერორისტი-კამიკაძე თავს დაესხა ამერიკელთა არმიის ავტოკოლონას

**თავდასხმის შედეგად დაიღუპა 24 ერაყელი, მათ შორის 10-13 წლის ასაკის შვიდი ბავშვი და ერთი ამერიკელი ჯარისკაცი. გარდა ამისა, დაიჭრა 20 კაცი, რომელთა შორის ორი ამერიკელი სამხედროა.**

ტერორისტული აქტი განხორციელდა ბაღდადის სამხრეთ-აღმოსავლეთ გარეუბანში გამავალ ჩქაროსნულ ავტოსტრადაზე. წინასწარი მონაცემებით, დანაღმული ავტომანქანა, რომელსაც კამიკაძე მართავდა, აფეთქდა გზაზე გაჩერებული ამერიკელთა ავტოკოლონის მახლობლად, რომელიც ბავშვებით იყო გარშემორტყმული. ისინი ამერიკელ ჯარისკაცებს ტკბილეულს სთხოვდნენ.

აფეთქება იმდენად მძლავრი იყო, რომ გამოიწვია ხანძარი მახლობლად მდებარე შენობებში. ამერიკის სამხედრო წარმომადგენლის თქმით, კამიკაძის ავტომანქანა ასაფეთქებელი ნივთიერებით იყო „სავსე".

# ავსტრალია ჯარებს ავღანეთში გზავნის

**ავსტრალია დააბრუნებს ავღანეთში სამხედრო კონტინგენტს, რათა დაეხმაროს თავის მოკავშირეებს „ალყაიდას" წინააღმდეგ ბრძოლაში, განაცხადა ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ჯონ ჰოვარდმა.**

პრემიერის თქმით, ავსტრალიელთა სამხედრო ნაწილები ავღანეთში ჩავლენ სექტემბერში და ჯერჯერობით, მათ თავიანთი მთავრობისგან მხოლოდ ერთწლიანი მანდატი მიიღეს.

2001 წელს, ავღანეთში ომის დაწყების დროს, ავსტრალიამ იქ გაგზავნა 1500 სამხედრო, რომლებიც მონაწილეობდნენ საომარ მოქმედებებში და პოლიციის ოპერაციებში. კონტინგენტი გამოიყვანეს 2002 წელს. ახლა ავღანეთში მხოლოდ ერთი ავსტრალიელი ოფიცერი მსახურობს.

ავსტრალიის მინისტრთა კაბინეტის მეთაურის მიერ მიღებული ასეთი გადაწყვეტილება აიხსნება რთული საერთაშორისო ვითარებით და ამ ქვეყნის უახლოესი მოკავშირეების — შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, აგრეთვე ავღანეთის მთავრობის თხოვნით.

ავსტრალიელი სამხედროები ერაყის კამპანიაშიც მონაწილეობდნენ. მიმდინარე წლის დამდეგს ჰოვარდმა განაცხადა, რომ ერაყში გაგზავნის დამატებით 450-კაციან კონტინგენტს, რის შედეგადაც იქ ავსტრალიელ სამხედროთა საერთო რიცხვი 1400-მდე გაიზრდება.

# ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს მიღებას მაგისტრატურაში 2005-2006 სასწავლო წლისათვის შემდეგ ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე (საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო სექტორები)

**1. ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი**

***1.01. მექანიკა-მათემატიკა*** – *უწყვეტ გარემოთა მექანიკა; ასტრონომია; ინფორმატიკა; ფუნქციათა თეორია და ფუნქციონალური ანალიზი; დიფერენციალური განტოლებები; მათემატიკური სტატისტიკა; ფინანსური მათემატიკა; მათემატიკური ლოგიკა; მათემატიკური ანალიზი; ტოპოლოგიაალგებრა; გამოყენებითი და გამოთვლითი მათემატიკა.*

***1.02. გამოყენებითი მათემატიკა და კომპიუტერული მეცნიერებები*** – *ლინგვისტური ინფორმატიკა; კიბერნეტიკა; კიბერნეტიკული მოდელირება და მენეჯმენტის ინფორმაციული ტექნოლოგიები; რთული სისტემების კომპიუტერული მართვა და დაგეგმარება; მათემატიკური და კომპიუტერული მოდელირება; ოპერაციათა გამოკვლევა; ოკეანის, ატმოსფეროს და ეკოლოგიური პროცესების მათემატიკური მოდელირება; მონაცემთა დამუშავება და გადაწყვეტილებათა მიღების საინფორმაციო სისტემები; მულტიმედიური ტექნოლოგიები; კომპიუტერული მეცნიერებები და განათლება; ინფორმაციის დაცვა კომპიუტერულ სისტემებსა და კორპორაციულ ქსელებში.*

***1.03. ფიზიკა*** – *ატომური და ბირთვული ფიზიკა; ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკა; თეორიული ფიზიკა; მყარი სხეულების ფიზიკა; ბიოლოგიური ფიზიკა; გეოფიზიკა; რადიოფიზიკა და ელექტრონიკა; მიკრო და ნანოელექტრონული სისტემები; ფიზიკური მასალათმცოდნეობა; პლაზმის ფიზიკა; ფიზიკური პროცესების კომპიუტერული მოდელირება.*

***1.04. ქიმია*** – *ფიზიკური ქიმია (ზედაპირული მოვლენების ქიმია; ფიზიკურ-ქიმიური კვლევის მეთოდები; კოლოიდური ქიმია); არაორგანული ქიმია; ქიმიური კინეტიკა (აირადფაზური პროცესების ქიმიური კინეტიკა; კონდენსირებული ფაზის გარდაქმნის დინამიკა; ქიმიური ფიზიკა); ორგანული ქიმია ( ორგანული სინთეზი; ბუნებრივნაერთთა ქიმია და ექსპერტიზა; ნავთობისა და ბუნებრივი აირების ქიმია და ექსპერტიზა); მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმია (მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმია; პოლიმერული მასალების ტექნოლოგია და ექსპერტიზა); ბიოორგანული ქიმია (ბიოორგანული ქიმია; კვების პროდუქტებისა და სამკურნალო საშუალებათა ექსპერტიზა; ქიმიური ბიოტექნოლოგია); ელემენტორგანულ ნაერთთა ქიმია და ქიმიური მასალათმცოდნეობა (ქიმიური მასალათმცოდნეობა; ელემენტორგანული ქიმია); გარემოს ქიმია და კონტროლი (გარემოს კონტროლი; ანალიზური ქიმია; ეკოქიმიური ექსპერტიზა).*

***1.05. გეოგრაფია*** – *ფიზიკური გეოგრაფია და გარემოს მდგრადი განვითარება; გეომორფოლოგია-გეოეკოლოგია; ნიადაგების გეოგრაფია და დაცვა; კარტოგრაფია და გეოინფორმატიკა; წყლის რესურსების და წყალდიდობის რისკის მართვა; გამოყენებითი მეტეოროლოგია, ატმოსფეროს ეკოლოგია; ოკეანოგრაფია, ზღვის ეკოლოგია; საქართველოს გეოგრაფია; გარემოს დინამიკა.*

***1.06. ბიოლოგია*** – *ფიზიოლოგია; ბიოქიმია და ბიოტექნოლოგია; ბიოფიზიკა; ბოტანიკა; გენეტიკა; ეკოლოგია; ზოოლოგია; იმუნოლოგია და მოლეკულური პათოლოგია; მიკრობიოლოგია; მცენარეთა ბიოლოგია; უჯრედის მოლეკულური ბიოლოგია; ჰიდრობიოლოგია; სიმსივნის უჯრედული ბიოლოგია; ტოქსიკოლოგია; ჰემატოლოგია და ტრანსფუზიოლოგია; უჯრედის და განვითარების ბიოლოგია; ბიოინფორმატიკა; სტრუქტურული ბიოლოგია; ნეირომეცნიერება; შემეცნებისა და ქცევის ნეირობიოლოგია.*

***1.22. გეოლოგია*** – *გეოლოგია და მინერალური რესურსები; გამოყენებითი გეოფიზიკა.*

*ბიოგეოგრაფია*; გარემოს მართვა*; დაპროგრამების ტექნოლოგიები*.*

**2. ჰუმანიტარული ფაკულტეტი**

***2.07. ფილოსოფიის მიმართულება*** – *ფილოსოფია (მეცნიერების ფილოსოფია და ლოგიკა; ფილოსოფიის ისტორია; პრაქტიკული ფილოსოფია); რელიგიათმცოდნეობა და თეოლოგია (რელიგიათმცოდნეობა; თეოლოგია და რელიგიის ფილოსოფია).*

***2.09. ისტორია – მსოფლიო ისტორია*** *(ძველი ქვეყნების ისტორია; შუა საუკუნეების ისტორია; ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია; აზიისა და აფრიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია; რუსეთის ისტორია; საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ისტორია; კავკასიის ისტორია);* ***ხელოვნებისა და არქიტექტურის ისტორია; დემოგრაფია; საქართველოს ისტორია; არქეოლოგია; ეთნოლოგია; მუზეუმმცოდნეობა.***

***2.10. ფილოლოგია*** – *ქართული ლიტერატურა (ძველი ქართული ლიტერატურა; ახალი ქართული ლიტერატურა; უახლესი ქართული ლიტერატურა; ქრისტიანული ქართული სიტყვიერების ისტორია; ფოლკლორისტიკა); ენათმეცნიერება; თარგმანთმცოდნეობა; კავკასიური ენები; სლავური ენები; რუსული ლიტერატურა; ბერძნულ-რომაული ფილოლოგია (კლასიკური ფილოლოგია; ბიზანტინისტიკა; ახალი ბერძნული ფილოლოგია); სარედაქციო-საგამომცემლო საქმე; კომპარატივისტიკა.*

***2.12. დასავლეთ ევროპის ენები და ლიტერატურა*** – *ანგლისტიკა; გერმანისტიკა; რომანისტიკა (ფრანგული ენა; ესპანური ენა; იტალიური ენა); ამერიკანისტიკა; ინგლისური, როგორც გლობალური ენა.*

***2.13. აღმოსავლეთმცოდნეობა*** – *არაბული ფილოლოგია; ირანული ფილოლოგია; თურქული ფილოლოგია; ებრაულ-არამეული ფილოლოგია; სომხური ფილოლოგია; ასირიოლოგია; ახლოაღმოსავლეთის ქვეყნებისა და ისლამის ისტორია; იაპონიის ისტორია.*

***2.20. ხელოვნება და ჰუმანიტარული პროფესიები*** – *კინო-ტელე ხელოვნება; საზოგადოებრივ ურთიერთობათა კოორდინაცია; ნატიფი ხელოვნება; კულტურულ-სახელოვნებო ურთიერთობები; მხატვრული თარგმანის ხელოვნება (ინგლისური და ქართული ენები).*

*კულტურის მეცნიერებები**

**3. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი**

***3.05. სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფიის მიმართულება*** – *სოციალური და პოლიტიკური გეოგრაფია; ეკონომიკური გეოგრაფია და მიწის მენეჯმენტი.*

***3.07. სოციოლოგიის მიმართულება*** – *სოციოლოგია.*

***3.08. ფსიქოლოგია*** – *პიროვნება და სოციალური ფსიქოლოგია; სკოლის ფსიქოლოგია; შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგია; განათლების მეცნიერებები; ბიზნესის ფსიქოლოგია; პოლიტიკური ფსიქოლოგია; კლინიკური ნეიროფსიქოლოგია.*

***3.09. პოლიტოლოგიისა და პოლიტტექნოლოგიების მიმართულება*** – *პოლიტიკური მეცნიერება; პოლიტიკური მართვა და საჯარო პოლიტიკა.*

***3.11. ჟურნალისტიკის ფაკულტეტი*** – *პრესის ჟურნალისტიკა; საერთაშორისო ჟურნალისტიკა; ტელე-რადიო ჟურნალისტიკა; ჟურნალისტიკა.*

***3.15. საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება*** – *საერთაშორისო ურთიერთობები.*

*კონფლიქტების ანალიზი და მართვა*; სწავლების მეთოდიკა* (ფიზიკა; მათემატიკა; ქართული ენა და ლიტერატურა; ისტორია); სამხრეთ კავკასიის რეგიონული პოლიტიკა* (ინგლისურენოვანი განყოფილება); გენდერი*.*

**4. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი**

***4.16. ეკონომიკა*** – *საერთაშორისო ეკონომიკა; ეკონომიკური თეორია; სტატისტიკა; მაკროეკონომიკა; აღრიცხვა, ანალიზი, აუდიტი; ადამიანური რესურსების ეკონომიკა; აგრარული ეკონომიკა; ფინანსები და საბანკო საქმე; ეკონომიკური პოლიტიკა.*

***4.17. მენეჯმენტი და მიკროეკონომიკა*** – *მენეჯმენტი; ფირმის ეკონომიკა; მენეჯმენტი სოციალურ სფეროში; ეკონომეტრიკა; საერთაშორისო მენეჯმენტი; ეკონომიკური საინფორმაციო სისტემები მენეჯმენტში; საინფორმაციო სისტემები ბიზნესში.*

***4.18. კომერცია და მარკეტინგი*** – *სამრეწველო პროდუქციის ექსპერტიზა და ხარისხის მენეჯმენტი; კომერციული ლოგისტიკა; მარკეტინგი; სავაჭრო საქმე; სასურსათო პროდუქტების ექსპერტიზა და ხარისხის მენეჯმენტი (მცენარეული წარმოშობის პროდუქტების ექსპერტიზა და ხარისხის მენეჯმენტი; ცხოველური წარმოშობის პროდუქტების ექსპერტიზა და ხარისხის მენეჯმენტი; სასმელების ექსპერტიზა და ხარისხის მენეჯმენტი); ტურიზმის ბიზნესი.*

***4.19. საერთაშორისო ბიზნესი*** – *საერთაშორისო ბიზნესი; ბიზნესის სამართალი; საერთაშორისო საფინანსო-საბანკო ბიზნესი; ბუნებათსარგებლობის ეკონომიკა.*

**5. იურიდიული ფაკულტეტი**

***5.14. იურიდიული***

***5.15. საერთაშორისო სამართლის მიმართულება***

*ევროპული სამართალი* (გერმანულენოვანი და ინგლისურენოვანი განყოფილებები)*

*შენიშვნა: *ინტერდისციპლინარული სამაგისტრო სპეციალობები და მოდულები*

***მაგისტრატურაში შემსვლელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები***

1. პირადი განცხადება რექტორის სახელზე, სამაგისტრო სპეციალობების პრიორიტეტული თანმიმდევრობისა და მისი კოდების ზუსტად მითითებით (ფორმა №69 გაიცემა მიმღებ კომისიაში);

2. უმაღლესი განათლების დიპლომი (დედანი) დანართითურთ და მათი შესაბამისი თითო ასლი;

3. მაგისტრატურის კონკურსანტის ანკეტა (ფორმა №39მ გაიცემა მიმღებ კომისიაში);

4. სამი ფერადი ფოტოსურათი ზომით 3 სმ X4 სმ.;

5. მოქალაქის პირადობის მოწმობის (პასპორტის) ასლი;

6. სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების დამადასტურებელი საბუთი (სავალდებულოა ვაჟებისათვის).

7. მაგისტრატურის მისაღებ კონკურსში მონაწილეობისათვის საორგანიზაციო გადასახადის (20 ლარი) ქვითარი (გადახდა ხდება თსუ-ის 1 კორპუსის №1 სალაროში);

საბუთები მიიღება **2005 წლის 29 აგვისტოდან 3 სექტემბრის** ჩათვლით სპეციალური განრიგის მიხედვით.

**საბუთები მიიღება** თსუ-ის I კორპუსის №93 ოთახში, 14-დან 20 საათამდე.

ცნობებისათვის მიმართეთ ტელ. 29-08-46, 25-27-56.

კონკურსზე დაშვებული კონკურსანტები ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ საკონკურსო გამოცდაზე დაუგვიანებლივ და თან იქონიონ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა. ***პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გარეშე კონკურსანტის გამოცდაზე დაშვება არ მოხდება!***

სპეციალობაში საკონკურსო გამოცდები ჩატარდება **5-9 სექტემბერს** თსუ-ის I კორპუსში; ჩარიცხვა — **16 სექტემბრამდე.**

სწავლა მაგისტრატურის პირველ კურსზე დაიწყება **2005 წლის 19 სექტემბრიდან.**

***თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის მიმღები კომისია.***

# დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

**სს „საქართველოს სახალხო ბანკის" ხელმძღვანელობას**

ჩვენ ჩავატარეთ სს „საქართველოს სახალხო ბანკის" („ბანკი") წლის ფინანსური ანგარიშგების, კერძოდ 2004 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბალანსის, მოგება-ზარალის, კაპიტალში ცვლილებების და ფულის მიმოქცევის უწყისის აუდიტი. ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია ბანკის ხელმძღვანელობა. ჩვენ პასუხისმგებლები ვართ ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტორული შემოწმების საფუძველზე, გამოვხატოთ მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით.

ჩვენ აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რომელიც მოითხოვს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს. აუდიტი ითვალისწინებს მტკიცებულებების შემოწმებას ტესტის საფუძველზე ფინანსური ანგარიშგების თანხებისა და ახსნა-განმარტებების დადასტურების მიზნით. აუდიტი, აგრეთვე, გულისხმობს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული აღრიცხვის პრინციპებისა და მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებების სისწორის შეფასებას, აგრეთვე, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შეფასებას მთლიანად. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტი საკმარისი საფუძველია ჩვენი მოსაზრების გამოსახატავად.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად, აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასახავს ბანკის ფინანსურ მდგომარეობას 2004 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მისი საქმიანობის შედეგებს პერიოდისათვის, რომელიც დასრულდა 2004 წლის 31 დეკემბერს.

**ინდივიდუალური აუდიტორი**
**რ. ხარაზიშვილი.**

**ბალანსი**
**2004 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

| | შენიშვნები | 2004 |
|---|---|---|
| **აქტივები** | | |
| ნაღდი ფული და თანხები ეროვნულ ბანკში | 10 | 21256 |
| ფულადი სახსრები სხვა ბანკებში | 11 | 9459 |
| ფასიანი ქაღალდები | 12 | 0 |
| ფიზიკური და იურიდიული პირების სესხები | 13 | 17375 |
| ლიკვიდური ფასიანი ქაღალდები | 14 | 40 |
| ძირითადი საშუალებები | 15 | 10026 |
| სხვა აქტივები | 16 | 3734 |
| **მთლიანი აქტივები** | | **61890** |
| **ვალდებულებები** | | |
| დეპოზიტები და მიმდინარე ანგარიშები | 17 | 36173 |
| სხვა ვალდებულებები | 18 | 14421 |
| **მთლიანი ვალდებულებები** | | **50594** |
| **კაპიტალი** | | |
| სააქციო კაპიტალი | 19 | 10 822 |
| გაუნაწილებელი მოგება | | 474 |
| **სულ კაპიტალი** | | **11296** |
| **მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები** | | **61890** |

**მოგება-ზარალის ანგარიში**
**2004 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

| | შენიშვნები | 2004 |
|---|---|---|
| საპროცენტო შემოსავალი | 2 | 2559 |
| პროცენტული ხარჯი | 3 | -341 |
| **წმინდა პროცენტული ხარჯი** | | 2218 |
| წმინდა საკომისიო შემოსავალი | 4 | 7909 |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი | 5 | 122 |
| **მთლიანი მოგება ოპერაციებიდან** | | 8031 |
| საოპერაციო ხარჯები | 6 | -7972 |
| **მოგება გადასახადების გადახდამდე** | | 2277 |
| მოგების გადასახადი | 7 | |
| **რეზერვი აქტივების შესაძლო დანაკარგზე** | | 1803 |
| **მოგება პერიოდის განმავლობაში** | | 474 |

**განცხადება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — „იოსკიჩის" ლიკვიდაციის შესახებ**

სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს" 2005 წლის 30 ივნისის № 1-31468 ბრძანების შესაბამისად მიმდინარეობს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „იოსკიჩის" ლიკვიდაციის პროცესი.

დაინტერესებული პირებისგან პრეტენზიები მიიღება სალიკვიდაციო კომისიის მიერ განცხადების გამოქვეყნებიდან 30 დღის ვადაში, მისამართზე: ქ. საჩხერე, თამარ მეფის ქ. № 16.

სალიკვიდაციო კომისია.

საადვოკატო ფირმა „იურისპრუდენცია", მდებარე ქ. თბილისში, ჩიტაიას ქ. № 3-ში, სთხოვს ივანე ვასილის ძე ივანიუკის მემკვიდრეებს გამოცხადდნენ იურისპრუდენციაში. გამოუცხადებლობის შემთხვევაში სახლი ჩაირიცხება სახელმწიფო ფონდში.

◎ პოლიტიკური მიმოხრის ენა

# წყობილებიდან დიქტატორებიც გამოდიან და დემოკრატებიც

*ნებისმიერი პოლიტიკოსის, თუნდაც ქვეყნის პირველი პირის ცხოვრებაში, ხანდახან, დგება ჟამი, როდესაც იგი წყობილებიდან გამოდის, — ტრიბუნაზე ურტყამს მუშტს (ზოგჯერ ფეხსაცმელსაც, ნიკიტა ხრუშჩოვის მსგავსად), იქნევს ხელს ან იშვერს თითს კონკრეტული მეტოქის ან ადამიანთა ჯგუფის მიმართულებით. პოლიტიკური ეთიკის ნორმები ყველას შეახსენებს, რომ უძნელეს სიტუაციაშიც კი საჭიროა თავშეკავება, ნერვების მოთოკვა, დიალოგის წყნარ კალაპოტში გადაყვანა, მაგრამ არის სიტუაციები, როდესაც, უბრალოდ, შენს თავს აღარ ეკუთვნი...*

*მე მხედველობაში არა მყავს მხოლოდ ისეთი მკაცრი, დიქტატორული ლიდერები, როგორებიც იყვნენ, მაგალითად, ნაპოლეონი, ჰიტლერი, მუსოლინი, სტალინი, სადამი, რომლებიც ხშირად პირიდან ცეცხლსა ჰყრიდნენ (ზოგჯერ, იქნებ, სრულიად სამართლიანადაც). ლაპარაკია თანამედროვე დემოკრატიული, ცივილიზებული ქვეყნების პირველ პირებზეც. ისინიც ჩვეულებრივი ადამიანები, ჩვეულებრივი დედის შვილები არიან და, ალბათ, მათაც ეპატიებათ დროებითი აღელვება, ხანმოკლე ამბიციების გამოხატვა, მით უმეტეს, მაშინ, როცა საქმე ეხება არა პირად, არამედ საქვეყნო პრესტიჟს, საქვეყნო სახელს. უბრალოდ, წარმოიდგინეთ ჯორჯ ბუში 2001 წლის 11 სექტემბრის, ან ტონი ბლერი 2005 წლის 7 ივლისის ტერაქტების შემდეგ...*

## საფლავიდანაც ამოგთხრით!



**დიახ, 7 ივლისს, ლონდონის ცენტრში, მეტროპოლიტენში, სულ რაღაც ნახევარი საათის განმავლობაში, გაისმა სამი მძლავრი აფეთქება (ამდენივე აფეთქება, ოღონდ მცირე სიმძლავრის, მოხდა მიწის ზემოთაც). 12 ივლისს დიდ ბრიტანეთში იდგა საყოველთაო გლოვის დღე. ამ პერიოდისთვის დაღუპული გახლდათ 52 კაცი, 700 დაზარალებული და 35 უგზო-უკვლოდ დაკარგული. ეს ტერაქტი საკუთარ თავზე აიღო „ალ-ყაიდამ“, რომელსაც დიდი ბრიტანეთი, ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ, მიაჩნია მუსულმანური სამყაროს უდიდეს მტრად.**

11 ივლისს ტონი ბლერი სიტყვით გამოვიდა დიდი ბრიტანეთის პარლამენტში. მისი განცხადებით, აუცილებლად შეგროვდება უტყუარი მტკიცებულებები ამ უბედურების დამგეგმავთა და განმახორციელებელთა წინააღმდეგ და საკადრისად დაისჯება ყველა; უშუალოდ ტერორისტებს კი პრემიერმა პირდაპირ მიახალა: — ჩვენ მაინც მოგძებნით, საფლავიდანაც კი ამოგთხრითო!

ისე, 2001 წლის ნიუ-იორკის ტერაქტის მომწყობებს ჯერ ამერიკამაც ვერ მიუზღო საკადრისი, და რას გააკეთებს დიდი ბრიტანეთი, ჯერჯერობით, ძნელი სათქმელია. თვით ლონდონში 800 ათასი მუსულმანი ყოფილა, რომელთაც იგივე ტონი ბლერი დიდი სიფრთხილით ესაუბრა. რას ვიზამთ, იქნებ ნამეტანმა გაცხარებამ უარესიც მოიტანოს.

ერთი დამახასიათებელი დეტალი: როგორც ნიუ-იორკის, ისე ლონდონის ტერაქტების შემდეგ რუსეთს გულში ეცინება: — როცა ჩვენთან ანგრევდნენ და ხოცავდნენ, თქვენ ჩეჩენთა გამოხტომებს პირფერულად ეძახდით განმათავისუფლებელ ბრძოლასო. ახლაც დასავლეთში გყავთ შეფარებული ახმედ ზაკაევიო (ზელიმხან იანდარბიევი შარშან მოკლეს რუსებმა კატარში). ჰოდა, ახლა მაინც გადმოგვეცით, ხომ დარწმუნდით, — „ალ-ყაიდამ“ დაგარტყათ და ეგ „ალ-ყაიდა“ აფინანსებს ჩეჩნებსაცაო. არადა, ვინ იცის, იქნებ დიდი ბრიტანეთი სულაც იმიტომ „ააფეთქეს“, რომ მან იმხანად შოტლანდიაში მიიწვია „დიდი რვეული“, მათ შორის რუსეთიც...

**ბონდო გულიაშვილი**

# განცხადება ღია (ორეტაპიანი) ტენდერის ჩატარების შესახებ

**1. ბოლნისის რაიონის გამგეობა (მისამართი: ქ. ბოლნისი, სულხან-საბა ორბელიანის ქ. №106, რაიონის გამგეობის შენობა, „საქართველოს ბანკის“ ბოლნისის ფილიალი“ ა/ა 3303000001) აცხადებს ღია (ორეტაპიან) ტენდერს ბოლნისის რაიონის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2005 წელს განსახორციელებელი მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მავნე გარემო ფაქტორების ზემოქმედების უფასო გამოვლენასა და სამედიცინო-პროფილაქტიკური ღონისძიებების შემუშავების მომსახურების შესასყიდად და იწვევს ღია (ორეტაპიან) ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.**

**შესასყიდი მომსახურების მოკლე აღწერილობა:**

**ბოლნისის რაიონის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მავნე გარემო ფაქტორების ზემოქმედების უფასო გამოვლენის პროგრამა.**

**1. კვების სტატუსის შესწავლა;**
**2. ჰიპო და ავიტამინოზების მიკროსიმპტომების გამოვლენა;**
**3. სისხლის საერთო ანალიზი;**
**4. გლუკოზის და ქოლესტერინის განსაზღვრა სისხლში;**
**5. ელექტროკარდიოგრამა;**
**6. შარდის საერთო ანალიზი;**
**7. წყალში მძიმე მეტალების განსაზღვრა;**
**8. მძიმე მეტალების განსაზღვრა თმაში;**
**9. საკვებ პროდუქტებში მძიმე მეტალების განსაზღვრა;**
**10. რესპონდენტთა კვების სტატუსისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესასწავლი კითხვარების შემუშავება და დაბეჭდვა.**

**2. მიწოდების სასურველი ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 დღე.**

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ **2005 წლის 29 ივლისიდან 2005 წლის 4 აგვისტომდე შემდეგ მისამართზე: ბოლნისის რაიონის გამგეობა (მისამართი: ქ. ბოლნისი, სულხან-საბა ორბელიანის ქ. №106, რაიონის გამგეობის შენობა, III სართული).**

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირისთვის:**

ა) ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ბ) ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი პირები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდადებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

გ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

დ) ცნობას, ადგილობრივი საგადასახადო ინსპექციიდან საბიუჯეტო დავალიანების შესახებ;

ე) სახელმწიფო ლიცენზიას ზემოაღნიშნული გამოკვლევის მომსახურებაზე.

**ფიზიკური პირისთვის:**

ა) ცნობას, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობას ადგილობრივი საგადასახადო ინსპექციიდან საბიუჯეტო დავალიანების შესახებ;

დ) სახელმწიფო ლიცენზიას ზემოაღნიშნული გამოკვლევის მომსახურებაზე.

5. პირველადი სატენდერო წინადადება, როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირისათვის უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) პრეტენდენტის სრული დასახელება, რეკვიზიტებისა და საკონტაქტო ტელეფონის მითითებით;

ბ) ინფორმაცია არსებული მატერიალურ-ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაციის შესახებ;

გ) ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სახის მომსახურების ნუსხა, მოკლე აღწერილობით, შესრულების ვადების და დამკვეთის მითითებით.

6. საკვალიფიკაციო შერჩევისას პრიორიტეტი მიენიჭება დაინტერესებული იურიდიული პირის გამოცდილებას ანალოგიური სახის მომსახურების შესრულებაზე.

7. იურიდიული პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

8. შერჩეულ პრეტენდენტებს ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ (ვადები ეცნობებათ მათი პრეტენდენტად დამტკიცების შემდეგ წერილობით), მისამართზე: **ბოლნისის რაიონის გამგეობა (მისამართი: ქ. ბოლნისი, სულხან-საბა ორბელიანის ქ. №106, რაიონის გამგეობის შენობა, III სართული).**

**დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ ტელეფონებზე: (899) 55-07-46.**

**სატენდერო კომისია.**

◎ აკადემია

## მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო პროგრამებში

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია გაერთიანებულია საერთაშორისო ორგანიზაციებში, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ფართომასშტაბიან საერთაშორისო პროგრამებს აფინანსებენ.**

ამას წინათ საქართველოში იმყოფებოდა საერთაშორისო ორგანიზაცია „იკარდას“ გენერალური კოორდინატორი, დოქტორი რაჯ პაროდა, რომელმაც მოინახულა მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში გახსნილი გენეტიკური რესურსების ბანკი, აგრეთვე ის ნათესები, რომლებიც ჩართული არიან საერთაშორისო კვლევის პროგრამებში.

დოქტორი პაროდა აკადემიაში შეხვდა კვლევითი ინსტიტუტების დირექტორებს, მოადგილეებსა და წამყვან სპეციალისტებს. მან საინტერესო ინფორმაცია გაგვაცნო საქართველოში „იკარდასა“ და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ. ბოლოს აღნიშნა, რომ ამჟამად იხილება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელების მიერ წარდგენილი საკითხი სამთო მიწათმოქმედების საერთაშორისო პროგრამებში საქართველოს შესაბამისი ინსტიტუტების ჩართვის შესახებ.

ამ ღონისძიების განხორციელება კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება საქართველოს სოფლის მეურნეობის აღორძინება-განვითარების საქმეში.

**აკადემიის პრესცენტრი.**

◎ მუზეუმი

## მიმდინარეობს ფონდების აღწერა

**საქართველოს ეროვნულ მუზეუმში შემავალი ფონდების აღწერა მიმდინარეობს. ამჟამად 1200-ზე მეტი ექსპონატია აღწერილი.**

**ექსპონატების პასპორტიზაციის პროცესი ჯერ კიდევ 2001 წელს დაიწყო, თუმცა მალევე შეწყდა და მხოლოდ ეროვნული მუზეუმის შექმნის შემდეგ განახლდა.**

როგორც ეროვნული მუზეუმის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში აცხადებენ, ექსპონატთა აღწერა ყველა მუზეუმში ერთდროულად მიმდინარეობს. ამ დროისათვის მონაცემთა სრული ბაზა მხოლოდ ხელოვნების მუზეუმის 1200 ექსპონატის შესახებ არსებობს.

სრული ინფორმაცია ნივთის ისტორიასთან ერთად საილუსტრაციო მასალას და ექსპონატის სადაზღვევო თანხის მითითებასაც გულისხმობს. აღწერას მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლები ახორციელებენ.

**მედიანიუსი**

**განცხადება**

**დამფუძნებლის გადაწყვეტილებით შპს „კვინტა“ ცხადდება ლიკვიდირებულად. პოტენციურ კრედიტორებს, რომლებსაც გექნებათ პრეტენზიები საზოგადოების მიმართ, გთხოვთ, გვაცნობოთ მისამართზე: ქ. თბილისი, ბაღდადის ქ. № 12, ტელეფონი 77-44-79.**

◎ ინფორმაცია

## ბრეგაძე — „ნაციონალების“ „ჯილა“



**შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე და თბილისის ყოფილი პრემიერი ბიძინა ბრეგაძე დედაქალაქის ისნის რაიონში მაჟორიტარად იყრის კენჭს.**

**როგორც „მედიანიუსს“ უმრავლესობის წევრმა მარიკა ვერულაშვილმა განუცხადა, ბრეგაძე „ნაციონალური მოძრაობის“ ღირსეული კანდიდატურაა და ისნის რაიონში ოპოზიციონერ კონკურენტებთან შედარებით, გამარჯვების დიდი შანსი აქვს.**

**„ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ბრეგაძემ მოსახლეობის მხარდაჭერის მოპოვება და გამარჯვება შეძლოს. ღირსეული კანდიდატურები გვეყოლება სხვა რაიონებშიც, თუმცა ჯერჯერობით არ არის გადაწყვეტილი, ვის წარვადგენთ სხვა მაჟორიტარულ ოლქში“, — განაცხადა მარიკა ვერულაშვილმა.**

**მანვე უარყო მოსაზრება, თითქოს მმართველი პარტია ოპოზიციის მიერ კანდიდატების დასახელებას ელოდება და მხოლოდ მას შემდეგ წარადგენს საკუთარ კანდიდატებს.**

**„სხვათა შორის, ჩვენ არც ის გვაშინებს, რომ ოპოზიცია საკუთარ კანდიდატურებს ერთიანი ძალებით დაუჭერს მხარს, რადგან „ნაციონალურ მოძრაობას“ შესწევს ძალა, ყველა რაიონში წარადგინოს ისეთი პიროვნებები, რომელთაც მოსახლეობა მხარს დაუჭერს“, — აღნიშნა მარიკა ვერულაშვილმა.**

**სავარაუდოდ, ბრეგაძის კონკურენტები ისნის რაიონში „მემარჯვენეების“ წევრი გიორგი მოსიძე და ედპ-ელი გიორგი გოგნიაშვილი იქნებიან.**

## საფრანგეთმა უარი გვითხრა...



**საქართველოდან ლტოლვილებს საფრანგეთის ხელისუფლება პოლიტიკურ თავშესაფარზე უარს ეუბნება, რაც საგარეო საქმეთა მინისტრს სალომე ზურაბიშვილს დადებით მოვლენად მიაჩნია.**

**„ეს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების დადებითი შეფასებაა, — აცხადებს სალომე ზურაბიშვილი. მისივე თქმით, მსგავსი გადაწყვეტილება მოჰყვა საქართველოს გამოყვანას იმ ქვეყნების სიიდან, რომელთა ხელისუფლებების პოლიტიკაც ადამიანის უფლებათა დაცვას საფრთხეს უქმნის.**

**მინისტრის განცხადებით, საფრანგეთში ვერ ხედავენ იმის საფუძველს, რომ საქართველოდან ლტოლვილებს თავიანთ ქვეყანაში პოლიტიკური თავშესაფარი მისცენ.**

**საფრანგეთის დევნილთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა დაცვის ოფისმა გამოაქვეყნა იმ ქვეყნების სია, რომლებიც ადამიანის უფლებათა ცნობაში საიმედო სახელმწიფოებადაა მიჩნეული. ესენი არიან: უკრაინა, საქართველო, ბოსნია და ჰერცეგოვინა, მწვანე კონცხის კუნძულები, ხორვატია, განა, ინდოეთი, მალი, მავრიკია, მონღოლეთი და სენეგალი.**

## კიდევ ბარე ორი დაწერს...



**თბილისის მერის ზურაბ ჭიაბერაშვილის თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ კიდევ ოთხმა თანამდებობის პირმა დაწერა განცხადება გადადგომის შესახებ.**

**ამჟამად განცხადებები დაწერილი აქვს ვიცე-პრემიერს უჩა გელაშვილს, ქალაქის საკრებულოსა და მთავრობის აპარატის უფროსს გივი ორდენიძეს, ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის ხელმძღვანელს არჩილ მესტვირიშვილს და საფინანსო სამართველოს უფროსს გიორგი ქადაგიძეს.**

## გიგი უგულავა მართლმადიდებლობას აგინებს?..



**ლეიბორისტული პარტია უარყოფითად აფასებს ხელისუფლების მიერ განხორციელებულ საკადრო გადაადგილებებს და თბილისის ახალ მერს აკრიტიკებს.**

**„სოროსის ფონდის ერთ-ერთი ლიდერი, „კმარას“ ინსტრუქტორი და იდეოლოგი გიგი უგულავა მერის თანამდებობაზე ბოკერია-თარგამაძის ლობირებით დაინიშნა. ჩვენ არასოდეს დავუჭერთ მხარს ამ დაჯგუფების მიერ დანიშნულ და მართლმადიდებლობის მაგინებელ მერს“, — განაცხადა საკრებულოს ფრაქცია „ლეიბორისტის“ ლიდერმა გიორგი გუგავამ.**

**ლეიბორისტები გიგი უგულავას მართლმადიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლაში ადანაშაულებენ და საბუთად 2002 წელს მისი რედაქტორობით გამოსული ჟურნალი „ზღვარი“ მოჰყავთ, რომელშიც რამდენიმე სტატია ბუდიზმს მიეძღვნა.**

**ლეიბორისტები აპროტესტებენ ზურაბ ჭიაბერაშვილის ევროსაბჭოში ელჩად დანიშვნასაც.**

**„ჭიაბერაშვილი ევროსაბჭოში კი არ უნდა მიდიოდეს, მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე უნდა იყოს აღძრული და ჩვენებებს უნდა აძლევდეს პროკურატურაში იმ კრიმინალური დანაშაულების გამო, რომელიც მან თბილისის მერის თანამდებობაზე ყოფნის დროს განახორციელა“, — განაცხადა გიორგი გუგავამ.**

**ლეიბორისტები ჭიაბერაშვილს საბიუჯეტო თანხების არამიზნობრივად განკარგვასა და მერიიდან თანამშრომელთა უკანონოდ გათავისუფლებაში ადანაშაულებენ.**

**მედიანიუსი**

◎ ავს თუ ავი არ ვუწოდეთ...

# უმეცრებათა სამყაროში

## ანუ რა საშიშროება ემუქრება აკადემიურ დამოკიდებულებას

**(მესამე გვერდიდან)**

თუ აცხადებს, რომ ყველა პოეტი მთარგმნელია, რ. თაბუკაშვილმა, როგორც „ძალზე დიდი რანგის პოეტმა“, რა დააშავა? ის რატომ არ აღიარა ჩაჩავამ მთარგმნელად? როგორც ჩანს, თ. ჩაჩავამ საკუთარი უმეცრების კორიანტელში ვერ გადაამოწმა ურთიერთგამომრიცხავი აზრები, უფრო ზუსტად, ეს მის ძალებს აღემატება, რაშიც მისი ყოველი წერილი გვარწმუნებს.

ბელინსკის, ზოლას, დრაიზერსა, თუ დიდ ფიზიოლოგ პავლოვს, ისევე როგორც სხვებს, აბუჩად აიგდებს. მათთან ერთად მეც მერგო პატივი დაწუნებისა. მაგრამ, მე რომ ჩაჩავას მოსაწონი ვიყო, საკუთარი თავის ნამდვილად შემრცხვებოდა.

თუმც, ეს ყოველივე რა სახსენებელია ის შეფასებასთან, რაც მან თავად შექსპირს არგუნა წილად: „...რ. თაბუკაშვილის თარგმანები ორიგინალს აჭარბებენ პოეტიზმით, დრამატიზმითა და შემართებით.“ („ლს“, №17, 2005, გვ. 14, სვ. 2).

ნახეთ, რამდენი აუცილებელი რამ ჰკლებია ბუმბერაზ შექსპირს, და თქვენ წარმოიდგინეთ, ეს ყოველივე რომ ჩაჩავას მიერაა მხოლოდ შენიშნული, ისიც ქართულ თარგმანთან მიმართებაში.

შექსპირი ნოვატორულად ცვლიდა ინგლისურ პოეტურ ენას და ამსხვრევდა თავად ხედვისა და აღქმის ბორკილებს, რამაც უფლება მისცა მას საგრძნობლად გაემარტივებინა სონეტების ენაც. ამ დროს, თაბუკაშვილს არა აქვს პრეტენზია, იყოს ქართული ენის ნოვატორი, ან საკუთარი ხედვის ახალი სამყარო შემოგვთავაზოს. თაბუკაშვილი სწორად ირჩევს თოთხმეტმარცვლიან ლექსს, პოეტური აღქმის რომანტიულ ფორმას და დახვეწილი ლექსით ხოტბას ასხამს მშვენიერებასა და კეთილშობილებას. ეს უკანასკნელი, ბუნებრივია, შექსპირის ტექსტიდან გამომდინარეობს, მაგრამ შექსპირის ტექსტიდან სხვაც ბევრი რამ იყურება, თუნდაც ირონია, სარკაზმი და დიდი იუმორი, რაც ასე სრულყოფილს ხდის შექსპირის ლექსს. ქართულ ვარიანტში ლექსი დამტკბარი და მოშაქრულია, თუმც მართლაც ტკბილხმოვანი, მაგრამ შინაარსობრივად ზოგჯერ შეცვლილი.

თ. ჩაჩავას რომ შექსპირის პოეტიკის კარგად გარკვეული საკითხის შესწავლა შეძლებოდა, თავად ამოიკითხავდა ამას სათანადო ლიტერატურაში. იქნებ წაიკითხა კიდეც, მაგრამ ისევე ვერ გაიგო, როგორც წაიკითხა და ვერ გაიგო შექსპირი ინგლისურ ენაზე. რომ ვერ გაიგო, ამიტომაც არც მოეწონა. ისე, საზოგადოდ, შექსპირს ვინც იგებს, ნამდვილად შეუდარებლად მაღალ შეფასებას აძლევს!

ახლა კი შექსპიროლოგიისა და ლექსიკოგრაფიის საწინააღმდეგო მისეულ პროპაგანდაზე: „მას (რ. თაბუკაშვილს — **ი. მ.**) არც ჭირდებოდა შექსპირის პიროვნების შესწავლა — შექსპირის სამყარო მისი სამყარო იყო. ეს მის ბრწყინვალე თარგმანებში გამოვლინდა და გამოვლინდა არა იმიტომ, რომ მოხერხებულად ხმარობდა ლექსიკონებს.“ („ლს“, №17, გვ. 14, სვ. 2).

ვინ უამბო ჩაჩავას, რომ რ. თაბუკაშვილს შექსპირის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლა არ დასჭირდა, ხოლო ლექსიკონებს გაურბოდა, ან მოუხერხებლად ხმარობდა? რატომ ეშინია ლექსიკონების თ. ჩაჩავას, რომელიც აცხადებს: „და ვაი, ასეთ ჭეშმარიტ შემოქმედს, როდესაც მის ნამოღვაწარს, მიკროსკოპითა და ლექსიკონებით შეიარაღებული კრიტიკოსი ჩახედავს?“ (იქვე). ჩაჩავას აზრით, უმეცარია ის, ვინც ლექსიკონს მიმართავს, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, ვინც ლექსიკონს ადგენს. ისე, კაცმა რომ ჰკითხოს, ლექსიკონებს ვისთვის ადგენენ ან სულხან-საბამ რისთვის იღვაწაო, საინტერესოა, რას გვიპასუხებს?

პირადად ჩაჩავას ვერც იმას შევასმენთ, თუ რას შეისწავლის მეცნიერების ისეთი დარგი, როგორიცაა სემასიოლოგია, და რომ აქ კვლევის ერთ-ერთი მეთოდი სემური ანალიზია, ანუ სიტყვის მნიშვნელობის დაშლა უმცირეს ნაწილაკებად (სემებად). ამ საკითხებზე არ ღირს აქ საუბარი, რადგან ეს მხოლოდ სპეციალისტთა მსჯელობის თემაა და მას საკმაოდ ბევრი მცოდნე და ღირსეული მიმდევარი ჰყავს ქართულ ენათმეცნიერებაში.

საერთოდ მეცნიერებისადმი დამოკიდებულებას საქართველოს რუ-




სეთში ჩაჩავა ასე გამოხატავს: „ჩვენში ხომ ყოველი მოსაზრება, მეცნიერული თუ არამეცნიერული დასავლეთიდან 30-40 წლის დაგვიანებით შემოდიოდა მუდამ. ამიტომ ხშირად ჩვენში იწყებდნენ ისეთი მოსაზრებების განდიდებას, რომელმაც დასავლეთში უკვე კარგა ხანია ჭირი მოსჭამა... თუ კი რუსეთი 40 წლით ჩამორჩება, საქართველო ხომ 100 წლით მაინც უნდა ჩამორჩებოდეს დასავლეთს.“ („ლს“, №19, 2005, გვ. 14, სვ. 1).

რომელი დიდი ქართველი მეცნიერი ეგულება საუკუნით ჩამორჩენილი დასავლურ მეცნიერებას? მაგალითად, თარგმანის თეორია, როგორც მეცნიერების დარგი, XX საუკუნის 50-იან წლებში განვითარდა ევროპასა და ამერიკაში. საგულისხმოა, რომ გივი გაჩეჩილაძის პირველი მონოგრაფია თარგმანის თეორიაში სწორედ 50-იანი წლების ბოლოს დაისტამბა თბილისში და დღესაც ამ თეორიის საძირკველშია. ის, რომ ჩაჩავა არც ევროპის და არც საქართველოს არც ერთი დარგის მეცნიერი არ არის, ეს კარგად ვიცით, მაგრამ საინტერესოა, ვის გულისხმობს სიტყვაში „ჩვენში“, როდესაც მეცნიერების მდგომარეობას განსაზღვრავს? თუ წლების რაოდენობით ვიმსჯელებთ აბზაცის თავსა და ბოლოში, გამოდის, რომ რუსეთს. წამოცდა და რუსეთზე თქვა „ჩვენშიო“? იქნებ რუსეთში გატარებული ახალგაზრდობა გაახსენდა? მაგრამ, როგორც მისი ბოლოდროინდელი წერილები მოწმობს, ჩაჩავა განსაკუთრებით ებრძვის რუსული წარმოშობის ლიტერატორებსა და მეცნიერებს. რევოლუციამდელია თუ შემდგომი, მათ ყველა შემთხვევაში საბჭოთა მოვლენად მიიჩნევს. როგორც ჩანს, იმ მოდას აჰყვა, რომელიც რუსული პოლიტიკის პარალელურად რუსულ კულტურასაც უღრენს. ნუ დაავიწყდება მავანსა და მავანს, რომ საქართველოში თვით 1832 წლის შეთქმულების მრავალი მონაწილე რუსი დეკაბრისტი პოეტების იდეებით იყო ინსპირირებული. რაც შეეხება ჩაჩავას, მან მას შემდეგ შეაფარა ევროპას თავი, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

რად გაურბის დამოუკიდებელ საქართველოს? საქართველოს გათავისუფლებისათვის მას ნამდვილად არ უბრძოლია. თუ ევროპა ასე ენატრებოდა, რატომ არ წავიდა ემიგრაციაში მაშინ, როდესაც საბჭოთა რეჟიმი მძვინვარებდა? გმირობა არ ეყო, თუ გამბედაობა? თამაზ ჩაჩავამ ევროპას თხუთმეტიოდე წლის წინათ მიაშურა. ხომ არ გგონიათ, იქ ვინმეს მისი ინტელექტი და პროფესიული გამოცდილება დასჭირდა? ნეტავ, რას ფიქრობენ მშრომელი ევროპელები კაცზე, რომელიც იქ უსაქმურობის ჭაობშია ჩაფლული და სხვისი შემწეობით ცხოვრობს, ისიც არცთუ ცუდად, როგორც თავად ტრაბახობს? „კენტერბერიული მოთხრობების“ ავტორს, დიდ ინგლისელ პოეტს ჯეფრი ჩოსერს, შეძლებული მეუღლე ჰყავდა, მაგრამ სარჩოს საბაჟოზე მუშაობითაც შოულობდა 1374-86 წლებში. რაღა ისეთი კლიენტისთვის დაილია სამსახური საზღვარზე თუ საზღვრებს შიგნით, როგორიც თ. ჩაჩავაა?

„კლიენტს“ მას მხოლოდ ჩემი შეხედულების გამო არ ვუწოდებ. ამას ადასტურებს „უცხო ენათა ლექსიკონი“: „კლიენტი — ძველ რომში არასრულუფლებიანი მოქალაქე, რომელიც უფლებრივად დამოკიდებული იყო თავის მფარველზე, „პატრონზე“ (თბ., 1989, გვ. 233).

საინტერესოა, რატომ აირჩია საკუთარი საღამოს ასპარეზად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი? მას ხომ იქ არც უსწავლია და არც უმუშავია. მის პროფესურას, მით უმეტეს, შემოქმედებითს, ის აგდებულად მოიხსენიებს: „ხელოვნებას ვერ ჰქმნიან ფილოსოფოსნი და, რა თქმა უნდა, მით უმეტეს, არც ლექსიკონებით გარშემოწყობილი პროფესორები. ხელოვნება უფრო მეტად მძვინვარე ცეცხლში გადავარდნის უნარია; ხელოვნება ზღვაში შეცურვაა კომპასისა და მეგზურის გარეშე, როცა მხოლოდ გუმანი წინამძღოლობს.“ („ლს“, №17, 2005, გვ. 14, სვ. 1).

იმედია, ხედავს მკითხველი, რა უმეცრების ცეცხლში გადაეშვა ჩვენი თამაზ ჩაჩავა და რა უიმედოდ შეცურა ზღვაში კომპასისა და მეგზურის გარეშე იმ გუმანის იმედით, რომელიც არცა აქვს და არც იცის რას ნიშნავს. „გუმანი“ სპარსული სიტყვაა და „აზრს, ფიქრს, ვარაუდსა და ეჭვს“ ნიშნავს. განათლებულსა და განსწავლულ კაცს აზრი, ფიქრი თუ ეჭვი საკადრისი აქვს, უგუნურსა და უმეცარს — შესაბამისი.

და მაინც, საკითხავია, რატომ უარყოფს ჩაჩავა მეცნიერებას? როგორც ჩანს, მხოლოდ იმიტომ, რომ არ იცის და ვერ იგებს, ისევე, როგორც არ იცის ინგლისური ენა და ვერ იგებს შექსპირს. აი, შექსპირის ქართული თარგმანი კი მეტნაკლებად გაიგო და მოეწონა.

შექსპირის ქართული თარგმანის მოწონებასთან კავშირში მახსენდება გორში გატარებული ჩემი ბავშვობა და იქ გახმაურებული ამბავი: ერთხანს გორის მილიციის უფროსი გახლდათ ვინმე შალვა ვანიშვილი. ამ კაცს, მართალია, ინგლისურის არაფერი გაეგებოდა, მაგრამ ძალიან უყვარდა ზოგადი განათლებით თავის მოწონება. მასაც წაუკითხავს შექსპირის სონეტების ქართული თარგმანი (შესაძლოა, გ. გაჩეჩილაძის ვარიანტი, ვიდრე რ. თაბუკაშვილის გამოქვეყნდებოდა), მოსწონებია და გადაუწყვეტია საკუთარი თავის წარმოჩენა შექსპირის საშუალებით (თითქმის ისე, როგორც ეს თ. ჩაჩავას სურდა). ასე და ამგვარად, დილით პატაკზე მისულ უბნის რწმუნებულებს შექსპირის სონეტებს უკითხავდა და სთხოვდა, ზეპირად წარმოეთქვათ თითო-თითოდ. თუ ვერ წაიკითხავდნენ, დასჯიდა.

**ინესა მერაბიშვილი,**
**თსუ პროფესორი.**

**(დასასრული იქნება)**

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ისევ სამცხე-ჯავახეთის პრობლემის შესახებ

(პირველი გვერდიდან)

ამ დღეებში ერევანში ყოფნისას, საქართველოს პარლამენტის „სომეხმა დეპუტატებმა“, თავის მხრივ, ხაზი გაუსვეს ამ პრობლემის სოციალურ-ეკონომიკურ დომინანტს. „ყველა შეხლა-შემოხლა, რომელიც ხდება საქართველოს სხვადასხვა რაიონში, მათ შორის, სომხებით დასახლებულ ადგილებშიც, მხოლოდ და მხოლოდ საყოფაცხოვრებო ხასიათისაა და არ არის ეროვნებათშორისი შუღლის შედეგი“, – განაცხადა ვან ბაიბურთმა. „ასეთი შეტაკებები სომხეთშიც ხდება, და ამის მოქცევა არ შეიძლება ეროვნებათშორისი დაძაბულობის კალაპოტში, – აღნიშნა თავის მხრივ ჰამლეტ მოვსესიანმა. – უკვე მუშავდება მხარის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სპეციალური პროგრამა, უახლოეს მომავალში კი სომხეთის და საქართველოს პრემიერ-მინისტრები ერთმანეთს შეხვდებიან ახალქალაქში“. შეიძლება გავიხსენოთ უამრავი სხვა კომენტარიც, რომლებიც ასევე განმარტავენ რეგიონში შექმნილ სიტუაციას მხოლოდ და მხოლოდ სოციალურ-საყოფაცხოვრებო კონტექსტით.

უცნაური სიტუაცია იქმნება სომხებით დასახლებულ საქართველოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში. და აქ უცნაურია ის, რომ სომხეთის ხელისუფლება სადღეისოდ მისთვის მიწოდებულ „ვირტუალურ რეალობას“ იღებს, როგორც რაღაც ჭეშმარიტს. სულ ცოტა ხნის წინ, თბილისში ყოფნისას, სომხეთის პარლამენტის სპიკერმა არტურ ბაღდასარიანმა საქართველოს ხელისუფლება დაარწმუნა იმაში, რომ სომხეთის საზოგადოებას აღელვებს მხოლოდ საქართველოში მცხოვრებ თანამემამულეთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

არის კაზიმიანი, „გოლოს არმენიი“ (ერევანი).

ყველამ, ვინც კი ყოფილა საქართველოს სომხებით დასახლებულ რაიონებში, ჩინებულად იცის, რომ ამჟამად ქვეყანაში ხორციელდება სომხური კულტურული ფენის სრული მოსპობისთვის გამიზნული პოლიტიკა. და სამცხე-ჯავახეთში სომხების არცთუ ისე შესაშური ეკონომიკური მდგომარეობის აშკარა ფაქტის მიუხედავად, მათი სოციალური უზრუნველყოფის საკითხის პრობლემატურობა გაცილებით ნაკლებად მწვავეა, კულტურისა და განათლების სფეროში არსებულ პრობლემებთან შედარებით. და თუ უკუვაგდებთ „ვირტუალურ რეალობას“, ყოველთვის შეიძლება გავიხსენოთ, რომ რეგიონის სომეხი მოსახლეობის მიერ გამოთქმულ პრობლემათა რიგში, სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის მოთხოვნები, როგორც წესი, ბოლო ადგილზე დგას ხოლმე. ასეთი გარემოება მოწმობს, რომ რეგიონის სომეხი მოსახლეობისთვის გაცილებით უფრო პრიორიტეტულია სომხთა გენოციდის აღიარებასთან, სომხური ეკლესიების შენარჩუნებასთან, ეროვნული სკოლების სტაბილურ ფუნქციონირებასთან და მათი უშიშროების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები (სხვათა შორის, რუსეთის ბაზების საკითხს ყოველთვის სვამდნენ სწორედ ამ რაკურსით და არა ეკონომიკური ასპექტით). „კულტურული ავტონომია“, რომლის იდეას ასე მტკივნეულად აღიქვამს ოფიციალური თბილისი, არსებითად არის ამ ტერიტორიაზე სომხური კულტურული ფენის შენარჩუნების გარანტია.

მაინც, როგორ აპირებს სომხეთის რესპუბლიკის პარლამენტის სპიკერი სოციალურ-ეკონომიკურ კონტექსტში განიხილოს სომხური ეკლესიების მიზანმიმართული ნგრევის ან მათი ქართულ ტაძრებად გადაკეთების პროცესი? როგორ განმარტავს იგი იმ ფაქტს, რომ ახალციხესა და ახალქალაქში მოქმედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესხეთის და ჯავახეთის ფილიალებში მხოლოდ ქართველ სტუდენტებს ეძლევათ უფასო კურსებზე სწავლის შესაძლებლობა მაშინ, როცა ადგილობრივი სომეხი სტუდენტობა იძულებულია გადაიხადოს სწავლის ფული? რა კავშირი აქვს სომხების ეკონომიკურ მდგომარეობასთან ახალციხის ნომერ მესამე სკოლის შტურმს და ყოველივე იმას, რაც ეხება განათლების სფეროს? მაგალითები ძალზე ბევრია და მათ მხოლოდ მცირე ნაწილს აქვს უშუალო კავშირი ეკონომიკასთან.

ოფიციალური ერევანი დღეს ვალდებულია გაარკვიოს თავისი პოზიცია საზოგადოების წინაშე. თუ მას დიდად არ ადარდებს სომხური კულტურული თემის ბედი, მაშინ დაუფარავად უნდა თქვას ეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საჭიროა ყველას გასაგონად ატეხოს განგაში უკვე არაოფიციალურმა ერევანმა.

◉ ეს საინტერესოა

# ჩინელი გოლიათი

**54 წლის ჩინელი სი შუნი მოხვდება გინესის რეკორდების წიგნში თავისი სიმაღლის გამო – 2 მეტრი და 36,1 სანტიმეტრი.**

ახალი რეკორდსმენი, რომლის დედის სიმაღლე მხოლოდ 160 სანტიმეტრია, ბავშვობისას არ გამოირჩეოდა თანატოლებისგან. მაგრამ, როცა სი შუნს შეუსრულდა 16 წელი, მან სწრაფად დაიწყო სიმაღლეში ზრდა და ახლა გაუსწრო კიდეც ყოფილ რეკორდსმენს, ტუნისელ რადჰუან ჩარბიბს, რომელსაც ამ მაჩვენებლის მიხედვით პირველობა ეპყრა ხელთ 1999 წლის შემდეგ – 236 სანტიმეტრი.

სანამ ოფიციალურად დადასტურდებოდა რეკორდი, გინესის წიგნის წარმომადგენლებმა ექვსჯერ გაზომეს სი შუნის სიმაღლე ქალაქ ჩიფენის საავადმყოფოში.

ამავე დროს ცნობილია, რომ უკრაინაში ცხოვრობს ადამიანი, რომელსაც, როგორც ზოგიერთი მიიჩნევს, ეკუთვნის სიმაღლის აბსოლუტური რეკორდი.

ლეონიდ სტადნიკის სიმაღლე ერთი წლის წინ 253 სანტიმეტრს შეადგენდა, რაც გინესის წიგნის რეკორდსმენის ჩარბიბის მაჩვენებელზე 17 სანტიმეტრით მეტია.

**სპეციალისტის კომენტარი:**

– ადამიანის სიმაღლეზე „პასუხს აგებს“ ზრდის ჰორმონი, – თქვა ექიმმა-ენდოკრინოლოგმა ნატალია როზანოვამ. – სიყრმის წლებში ორგანიზმი მას აქტიურად გამოიმუშავებს და მოზარდიც სწრაფად იზრდება სიმაღლეში. შემდეგ კი თანდათანობით ნელდება ამ ჰორმონის გამომუშავება. მაგრამ ყოფილა დარღვევებიც, როცა მოულოდნელად ძლიერდებოდა ზრდის ჰორმონის გამომუშავების ფუნქცია ან ადამიანს უჩნდებოდა სიმსივნე. სწორედ ეს ახდენს გავლენას, ასე ვთქვათ, „დაუგეგმავ ზრდაზე“. ასეთ დარღვევებთან დაკავშირებული ყველაზე გავრცელებული დაავადებაა აკრომეგალია. იგი უვითარდება ზრდასრულ ადამიანებს და იწვევს სხეულის ხრტილოვანი ნაწილების ზრდას: ცხვირი, ყურები, ტერფები, შეიძლება შეიცვალოს სახის ნაკვთებიც. თუ სიმსივნე დიდია, ავადმყოფს სჭირდება ოპერაციის გაკეთება, ხოლო თუ მცირე ზომისაა, იგი საფრთხეს არ უქმნის ადამიანის სიცოცხლეს.



ის, რომ სი შუნის დედა არ არის ტანმაღალი ქალი, სულაც არაა გასაკვირი. როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს გოლიათი ბავშვები ხშირად უჩნდებათ დაბალი ტანის მშობლებს. და საერთოდ, დედამიწაზე „ჯუჯების“ რიცხვი უფრო მეტია, ვიდრე „გოლიათების“.

МОСКОВСКИЙ КОМСОМОЛЕЦ


## შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგური“

აცხადებს კონკურსს მის ბალანსზე რიცხული ავტომანქანების რეალიზების შესახებ

**ინფორმაცია საკონკურსო ობიექტის შესახებ:**

– მესაკუთრე – შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგური“, მისამართი – ქ.ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №52.

სარეალიზაციო ქონება და ღირებულება:

| №№ | ავტომანქანის დასახელება (მოდელი) | გამოშვების წელი | სახ. ნომერი | ღირებულება (ლარი) | მდგომარეობა | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| 1 | გაზ-2410 | 1990 | AAV-200 | 650 | საჭიროებს კაპ. რემონტს | |
| 2 | მიკროავტობუსი "ფორდ ტრანზიტი" | 1995 | LAB-301 | 3850 | საჭიროებს კაპ. რემონტს | [illegible] |
| 3 | ზილ [illegible] | 1989 | LAB-139 | 9758,09 | [illegible] | [illegible] |
| 4 | [illegible] 130/59 | 1989 | LAL-477 | 1207,52 | საჭიროებს კაპ. რემონტს | [illegible] |
| 5 | [illegible] | 1991 | UUU-413 | 6700 | ნორმალური | |
| 6 | [illegible] 730 | 1992 | QQQ-002 | 5808,4 | ნორმალური | |
| 7 | გაზ 29095 | 1994 | LAB-888 | 1106,21 | საჭიროებს კაპ. რემონტს | |
| 8 | ზილ 130 | 1984 | LAB-264 | 1278 | საჭიროებს მიმდინარე რემონტს | |
| 9 | გაზ 3102 | 1991 | LAB-459 | 3863,21 | საჭიროებს კაპ. რემონტს | |
| 10 | მიკროავტობუსი "[illegible]" | 1995 | NDN-887 | 9856 | საჭიროებს კაპ. რემონტს | [illegible] |

**საკონკურსო პირობები:**

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველთა განცხადებების მიღება წარმოებს პუბლიკაციიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში 10 საათიდან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.ფოთი, დ.აღმაშენებლი №52 (ნავსადგურის სამმართველო).

საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

1. განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე;
2. კონკურსში მონაწილის პირადობის დამადასტურებელი ან ნოტარიუსის მიერ დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.
3. კონკურსში მონაწილე პირის მიერ წარმოდგენილი წინადადებები მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება კონკურსანტის მიერ.
4. იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტებს.

– კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საკონკურსო პირობების სრულად დაკმაყოფილება და სარეალიზაციო საქონლის მაქსიმალური ფასის გადახდა.

შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგური“



## განცხადება

**იყიდება ქუთაისის ასათიანის ქ. №98-ში განთავსებული მიწის ნაკვეთი 5 ჰექტარამდე და ძირითადი საშუალებები მინის ბოთლების ჩამოსხმელი ტექნოლოგიური ხაზი თავისი სახარში მოწყობილობით 2 ცალი: 1.-IS-10 – შვეიცარიული წარმოების 2.-R-7 ბელგიური წარმოების. ყოფილი სს „ქუთაისის მინის ტარის ქარხნის“ ტერიტორია.**

**საკონტაქტო ტელეფონები:**

(231) 2-40-05 (ფაქსი) (231) 2-30-31, 893 21-14-77.


◉ ფეხბურთი

# ვიზები ჩქარა...

**უკვე გაუწყეთ, რომ თბილისის „დინამომ“ ჩემპიონთა ლიგის I საკვალიფიკაციო რაუნდის I მატჩი ტალინში „ლევადიასთან“ 0:1 წააგო. როგორც ესტონეთიდან დაბრუნებული ჩვენი კოლეგებისგან შევიტყვეთ, შეხვედრის ბედი ჩრდილოირლანდიელი მსაჯის კორტნის მიერ სტურუას კარში დანიშნული ერთობ საეჭვო პენალტს გადაუწყვეტია, თუმცა არანაკლებ საგანგაშოდ ის ფაქტი გვესახება, რომ ამ წყვილში ფავორიტად შერაცხულმა ჩვენმა თანამემამულეებმა მთელი თამაშის განმავლობაში ვერ მოიპოვეს უპირატესობა მინდვრის ცენტრში და სულ ორიოდე ხიფათი შეუქმნეს მეტოქეს. ამის ერთ-ერთი მიზეზი, ალბათ, ტრავმირებული ნერგაძის არყოფნა იყო, მაგრამ გაცილებით გასათვალისწინებელ გარემოებად ბალტიისპირეთში გუნდის გამგზავრების წინ ატეხილი აჟიოტაჟი მიგვაჩნია, როცა მოსკოვში ესტონეთის საკონსულომ ვიზების გაცემაზე კარგა გვარიანად ანერვიულა ქართული დელეგაციის წევრები. მართალია, საქმეში სამთავრობო სტრუქტურების ჩარევით საბოლოოდ ყველაფერი მოგვარდა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, დიპლომატიურ ბატალიებს უკვალოდ არ ჩაუვლია. იმედი ვიქონიოთ, 19 ივლისს თბილისში დანიშნულ საპასუხო მატჩში მაინც საქართველოს ჩემპიონი ისეთ შედეგს „გამოაცხობს“, რომელიც შემდეგ ეტაპზე გაიყვანს.**

იმავე დღეს ქართველთა მონაწილეობით გამართული დანარჩენი შეხვედრები ასე დასრულდა: „ნეფთჩი“ (აბრამიძე, ადამია) – „ჰაფნარი“ 2:0, „შლიემა“ – „შერიფი“ (თარხნიშვილი) 1:4, „დინამო“ (მინსკი) – „ანორთოსისი“ (ქეცბაია, ქინქლაძე, წიტაიშვილი) 1:1, „რაბოტნიჩკი“ – „სკონტო“ (ელიავა, კორღალიძე, მენთეშაშვილი, ჩალაძე) 6:0.

**გია პლატონიშვილი**

◉ კალათბურთი

# მეორე წაგება



**გუშინ ბულგარეთის საკურორტო ქალაქ ვარნაში დასრულდა ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის („ბ“ ჯგუფი) საკვალიფიკაციო ტურნირი.**

სტარტზე მოპოვებული სამი გამარჯვების შემდეგ საქართველოს ნაკრებმა ზედიზედ მეორე მატჩი პოლონელ თანატოლებთან დათმო – 66:93, თუმცა მეოთხედფინალში მაინც გავიდა. დამარცხებულთაგან ყველაზე შედეგიანად ტატო ვაშაკიძემ ითამაშა – 16 ქულა.

ნუგზარ კანდელაკის გუნდის მორიგი მეტოქის ვინაობა დღეს გაირკვევა.

**საკუთარი ინფორმაცია.**

◉ ძიუდო

# ფხა მოუსინჯეს მეტოქეებს

**სექტემბერში ეგვიპტე ძიუდოისტთა მსოფლიო ჩემპონატს უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებისთვის მონდომებით ემზადებიან ქართველი ფალავნებიც.** ისინი კარგა ხანია, წვრთნას ბაკურიანში გადიან. ნაკრების რამდენიმე წევრმა ამირან ტოტიკაშვილის ხელმძღვანელობით თურქეთის საერთაშორისო ტურნირზე იასპარეზა. საგულისხმოა, რომ სტამბოლში 22 ქვეყნის წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი. 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში ქართული ფინალი გაიმართა. გიორგი გუგავამ ირაკლი ცირეკიძეს სძლია; გიორგი ყიზილაშვილმა (მძიმე წონა) და გრიგოლ შინჯიკაშვილმა (81 კგ) ვერცხლის მედლები მოიპოვეს, ოლიმპიური ჩემპიონი ზურაბ ზვიადაური (90 კგ) და ლაშა გუჯეჯიანი (მძიმე წონა) მესამე ადგილებს დასჯერდნენ. შეჯიბრებაში ნესტორ ხერგიანს, დავით მარგოშვილს და დავით ქევხიშვილს არ უასპარეზიათ.

**გიორგი გაგუა**

◉ თაოზა

# „ბერმუხა“ უძლიერესია

**დამთავრდა 1990 წელს დაბადებულ ფეხბურთელთა გუნდების საქალაქო ღია ჩემპიონატი, რომელშიც თბილისის მოზარდთა და ბავშვთა სპეციალიზებული სკოლების გარდა, საქართველოს რამდენიმე რეგიონის გუნდიც მონაწილეობდა.**

ორწრიანი ასპარეზობა ჩინებულად წარმართა თბილისის „ბერმუხას“ გუნდმა, რომელმაც მეოთხედფინალში ორი მატჩის ჯამში (2:0, 4:2) დაამარცხა თბილისის „იმედი“. ნახევარფინალში მათი მეტოქე საგარეჯოს „გარეჯის“ ჭაბუკთა გუნდი იყო. თბილისელებმა ორჯერ ერთნაირი ანგარიშით (3:0, 3:0) მოუგეს მეტოქეს და ფინალურ მატჩში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს. აქ „ბერმუხამ“ მეტოქე – თენგიზ სულაქველიძის სახელობის აკადემიის გუნდი დიდი ანგარიშით (4:1) დაამარცხა თანატოლები და ოქროს მედლები მოიპოვა. საინტერესოა, რომ ამ გუნდმა წლევანდელ სპორტულ სეზონში კიდევ ორ ტურნირში მიიღო მონაწილეობა და გაიმარჯვა.

საუკეთესო მცველისა და თავდამსხმელის პრიზები შესაბამისად სულაქველიძის სახელობის აკადემიის ფეხბურთელებმა დათო ყულიაშვილმა და კოტე ბროლაძემ მოიპოვეს, ტურნირის საუკეთესო ნახევარმცველის პრიზი გადაეცა ლაშა მაჭავარიანს, ბომბარდირის ჯილდო 27 გატანილი ბურთით მიიღო გიორგი ნადირაძემ, ხოლო ასპარეზობის საუკეთესო მოთამაშედ ჟიურიმ მირიან დვალიშვილი (ყველა „ბერმუხა“) აღიარა.

**შალვა ჩიხლაძე.**

**სურათზე: გამარჯვებული „ბერმუხა“.**

**რობერტ ბაგოიანის ფოტო.**



◉ ჩემპიონი

# „ლელოს“ ტოვებს და „მონპელიეში“ მიდის



**ამას წინათ ქუთაისში, საქართველოსა და ჩეხეთის მორაგბეთა ეროვნული ნაკრები გუნდების მატჩში, ერთ-ერთი საუკეთესო იყო მამუკა გორგოძე, რომელმაც სამი ლელო გაუტანა სტუმრებს.**

იგი 21 წლისაა (1984 წლის 14 ივლისს დაიბადა). ბავშვობიდანვე გაბედულსა და მოქნილს განსაკუთრებით სპორტი იტაცებდა. ფეხბურთში მეკარეობაზე ოცნებობდა. დადიოდა ცურვაზე, წყალბურთსა და კალათბურთზე. ბოლოს, ცნობილი მორაგბის გია ლაბაძის რჩევით, მშობლებმა „ლელოში“ ლევან მაისაშვილთან მიიყვანეს. პირველსავე ვარჯიშზე იგრძნო, რომ ოვალური ბურთი მისი მუდმივი თანამგზავრი გახდებოდა. ერთი წლის შემდეგ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში მიიწვიეს. მალე ამ გუნდისა და „ლელოს“ კაპიტანი გახდა. 17 წლისამ ეროვნულ ნაკრებშიც ითამაშა.

– ოთხი წლის განმავლობაში თოთხმეტჯერ დავიცავი ჩვენი ქვეყნის სპორტული ღირსება და 7 ლელო გავიტანე, – მითხრა მამუკამ.

**– ყველაზე დიდი სიხარული როდის განიცადე?**

– შარშან 22 დეკემბერს, როცა „ლელომ“ ფინალურ მატჩში „აკადემიას“ აჯობა და საქართველოს ჩემპიონი გახდა. ჩემზე ბედნიერი არავინ მეგონა. ამ გამარჯვებისთვის გუნდი ფსიქოლოგიურადაც მზად იყო. ლელოელები ხომ ბავშვობიდანვე ერთად მოვდივართ. წარმატება, ცხადია, ამანაც განაპირობა.

მეორედ ასეთივე განცდა დამეუფლა, როცა ქუთაისში ევროპის ერთა თასის გათამაშებაზე ჩეხეთის ნაკრებს ვძლიეთ, თანაც 65 ქულის უპირატესობით. ეტყობა, ძალიან მოვინდომეთ. ძალა და შემართება იმანაც შეგვმატა, რომ ამ ორთაბრძოლას საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ესწრებოდნენ.

**– როგორ ფიქრობთ, გაისად ერთა თასის მოპოვებას შეძლებთ?**

– აუცილებლად. თასსაც დავისაკუთრებთ და მსოფლიო პირველობის ფინალურ ეტაპზეც ვიასპარეზებთ.

**– ახალი სეზონიდან საფრანგეთის „მონპელიეში“ განაგრძობ სპორტულ კარიერას. „ლელოს“ რომ ტოვებ, გული არ გწყდება?**

– „ლელო“ ჩემი უსაყვარლესი გუნდია და ასეთად დარჩება ყოველთვის... სამუდამოდ ხომ არ მივდივარ უცხოეთში. საფრანგეთის უმაღლესი დივიზიონის გუნდ „მონპელიესთან“ მხოლოდ ორწლიანი კონტრაქტი გავაფორმე. ხელშეკრულების მიხედვით, უკეთეს კლუბში გადასვლის შანსი თუ მომეცემა, „მონპელიე“ ხელს არ შემიშლის. „კასტრი“ და „ტელნიც“ მიწვევდნენ, მაგრამ „მონპელიე“ ვარჩიე, რადგან იქ ჩვენი ორი მორაგბე თამაშობს – მამუკა მაგრაქველიძე და სოსო ნიკოლაენკო. იმედი მაქვს, რომ ახალ გუნდში თამაში სპორტული ოსტატობის დახვეწაში დამეხმარება.



**ესაუბრა ლექსო ცინცაძე,**

**სურათებზე: ჩემპიონობის სიხარული; უტევს მამუკა გორგოძე.**

◉ ადამიანები და რობოტები

# გაიმართება მსოფლიო ჩემპიონატი?

**სწავლულები ფიქრობენ, რომ უკვე 2050 წელს (ღმერთმა იქამდე გვაცოცხლოს!), შესაძლოა, გაიმართოს ჩვენს პლანეტაზე პირველი საფეხბურთო მატჩი ადამიანებსა და რობოტებს შორის.**



ასეთი პროგნოზის საფუძველს იძლევა იაპონიის ქალაქ ოსაკაში დაწყებული მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში რობოტებს შორის – Robo Cup-2005.

ამ უჩვეულო მსოფლიო პირველობაში მონაწილეობს 31 ქვეყნის 333 გუნდი. „სპორტსმენები“ გაბარიტისა და ფორმის მიხედვით დაყოფილნი არიან ხუთ კატეგორიად. განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია პირველი ჯგუფი, სადაც მცირე გაბარიტიანი მანქანების „ხუთკაციანი“ გუნდები თამაშობენ. რობოტების მიმართ განსაკუთრებული მოთხოვნები არ არის, გარდა იმისა, რომ თითოეულის სიგანე არ უნდა აღემატებოდეს 18, ხოლო სიმაღლე – 16 სანტიმეტრს, სწორედ ამიტომ ამ ჯგუფს „ახალგაზრდულს“ უწოდებენ.

ფეხბურთს, კლასიკური გაგებით, ითამაშებენ „მოდულიატორების ლიგაში“, სადაც „მოთამაშეებს“ შეცვლიან კომპიუტერული პროგრამები. მატჩი კი მხოლოდ 5 წუთს გაგრძელდება.

ამავე დროს ოსაკაში მიმდინარეობს საერთაშორისო კონფერენცია 35 ქვეყნის 1600 მეცნიერისა და ინჟინრის მონაწილეობით. ისინი განიხილავენ მოწინავე ტექნოლოგიების განვითარებისა და დანერგვის გზებს.

**ვალიკო სიმონიშვილი**

◉ სპორტულ ორბიტაზე

## საბერძნეთი ეპატიჟება



**ფეხბურთში 2004 წლის ევროპის ჩემპიონატზე პორტუგალიაში სენსაციურად გამარჯვებული საბერძნეთი თავისთან ეპატიჟება „ბებერი ევროპის“ 2012 წლის ჩემპიონატს.**

ქვეყნის სპორტის მინისტრის მოადგილემ იორგოს ორფანოსმა დაასახელა ის 8 სტადიონი, რომელიც შეიძლება გამოიყენონ კონტინენტის პირველობისთვის.

პირველ რიგში, ლაპარაკია ათენის 60-ათასიან ოლიმპიურ სტადიონზე, ითვალისწინებენ, აგრეთვე ათენის კარაისკაკისის სტადიონის, კრეტაზე, ფესალიის ოლქსა და პელეპონესის ნახევარკუნძულზე, აგრეთვე ქალაქებში იანინსა და ლარისში არსებულ მოედნების გააშენებული და მოწყობილია. თუმცა აპირებენ კიდევ 115 მილიონი ევროს ღირებულების სამუშაოების შესრულებას.

უეფა საბერძნეთის წინადადებას ამ თვეში განიხილავს, საბოლოო გადაწყვეტილებას ევრო-20012-ის გამართვის ქვეყანაზე 2006 წლის დეკემბერში მიიღებენ.

საბერძნეთის კანდიდატურის სასარგებლოდ მრავალი ფაქტორი არსებობს – ჯერ ერთი, 2004 წლის ოლიმპიური თამაშების წარმატებით მასპინძლობა, აგრეთვე საბერძნეთის ნაკრების ევროპის ჩემპიონობა.

## ვის უნდა მილიონი?



**იცით, რამდენს მიიღებს ჩოგბურთში ამერიკის ღია ჩემპიონატზე გამარჯვებული? მილიონ ასი ათას დოლარს! თანაც სხვა ტურნირებისგან, თუნდაც უიმბლდონისაგან განსხვავებით, აქ ჩემპიონი ქალიც და კაციც ერთნაირი თანხით დაჯილდოვდებიან. წყვილთა პაექრობაში გამარჯვებულთა გასამრჯელო კი 400 ათასი დოლარი იქნება.**

US Open 2005-ის საერთო საპრიზო ფონდი კი 17,7 მილიონი დოლარია.

## რონალდოს ახალი სატრფო?

**დიდი ხანი როდი გავიდა, რაც თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთი ვარსკვლავი, ბრაზილიელი რონალდო თავის თითქმის უკვე ცოლს დანიელა ჩიკარელის გაშორდა და უკვე გამოჩნდა მისი ახალი გულის სწორი – 21 წლის მოდელი რაისა ოლივეირე. ამჟამად ფეხბურთელი შვებულებას სამშობლოში ატარებს, და ბოლო დღეებში ის არაერთხელ ნახეს 178-სანტიმეტრიანი სიმაღლის ქალიშვილთან. ამასთან რონალდო არ აცდენს მოდების ჩვენებას, სადაც რაისაც მონაწილეობს.**

თავად ფეხბურთელი კომენტარს არ უკეთებს მოდელთან მის კავშირზე გავრცელებულ ხმებს, თავად მოდელი კი ასე ხსნის რონალდოსთან თავის კავშირს: „ჩვენ მხოლოდ მეგობრები ვართ. რონალდო ძალზე საინტერესო ადამიანია და მე მსიამოვნებს მასთან ყოფნა. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ჩვენ შეყვარებულები ვართ“. თუმცა ამის დაჯერება ძნელია.



## ალბომი

### ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



პროფესორი სიმონ ყაუხჩიშვილი ესაუბრება კლასიკური ფილოლოგიის განყოფილების სტუდენტებს.
გასული საუკუნის 70-იანი წლები.

ფოტო სიმონ ყაუხჩიშვილის არქივიდან.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა.
ტელ: 99-66-10.

## გიხაროდეთ!

### ცხრამეტი ოჯახის სიხარული

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.



ბუშინწინ სამშობიარო სახლ „ჰერას“ (მდებარეობს ჭავჭავაძის პროსპექტზე) დამფუძნებელმა ასლან გელოვანმა გვაცნობა:

— თუ ივნისში ჩვენთან სულ 35 ბავშვი დაიბადა, ივლისის ორ კვირაში უკვე 19 ჩვილი მოევლინა ქვეყანას. რამდენიმეს კვლავ ველოდებით.

## ცოტაც გავიღიმოთ...



— თუ დეკანი თავის სიტყვებს უკან არ წაიღებს, ინსტიტუტიდან წავალ, — ეუბნება ერთი სტუდენტი მეორეს.

— რა გითხრა ისეთი?

— ჩემმა თვალებმა არ დაგინახოს ამ შენობაშიო.

* * *

ხელქვეითებიც ადამიანები არიან და არც მათ სურთ ფიქრი.

* * *

— თქვენი ძაღლი რაღაც ძალიან გაბრაზებული მიყურებს, — ეუბნება შეშფოთებული სტუმარი დიასახლისს.

— ნუ მიაქცევთ ყურადღებას. იგი ასე უყურებს ყველას, ვინც მისი თეფშიდან ჭამს.

* * *

ოსტატი ქარხანაში ახალბედას ასწავლის:

— ხედავ ბერკეტს?

— დიახ.

— დილის რვა საათზე მას ჩართავ და საღამოს ექვს საათზე გამორთავ. გაიგე?

— ვერა!

— გიმეორებ, ხედავ ბერკეტს? დილის რვა საათზე მას ჩართავ და საღამოს ექვს საათზე გამორთავ. გაიგე?

— ვერა!

ოსტატმა მესამედაც რომ გაუმეორა იგივე, ახალბედამ ხმას აუწია:

— ჯიგარო, შენ რა, დებილი ხარ? უკვე მესამედ გეუბნები, ვერ გავიგე-მეთქი!

* * *

თუ ტყეში გზა აგებნათ და საშინლადაც დაიღალეთ, მოძებნეთ დათვი, ესროლეთ ქვა და თქვენი დაღლილობა წამში გაქრება.

* * *

სამედიცინო ინსტიტუტში გამოცდა მიმდინარეობს.

— და ბოლო კითხვა: ადამიანის რომელი ორგანო მატულობს ოთხჯერ? — ეკითხება პროფესორი სტუდენტ გოგოს.

— ჰი-ჰი-ჰი-ჰი!

— ჰი-ჰი-ჰი-ჰი კი არა, ლვიძლი!

* * *

— ეჰ, ჩემ დროს გოგოებს ჯერ კიდევ შეეძლოთ გაწითლება, — ეუბნება ბაბუა შვილიშვილ გოგოს.

— წარმოდგენილი მაქვს, რასაც მათ ეუბნებოდი!

## ფოტოსურათები მოგვითხრობენ

# მზე ჩადის, მზე ხვალ ამოვა...

## 14 ივლისი ნოდარ დუმბაძის დაბადების დღეა

**გულრიფში... ზედ ზღვის პირას ჰქონდა სამოთახიანი ფინური სახლი ნოდარს, ხის ბოძებზე დადგმული, ქვემოთ პატარა სამზარეულოთი. მწვანე ბალახით მოჩითული მომცრო ეზო, ეზოში ონკანი და უბრალო შხაპი.**

**აგარაკი დაბალი ხის ღობით იყო შემორაგული. ათიოდე ნაბიჯს გადადგამდით ჭიშკრიდან და... ზღვა.**

**ახლო-მახლო სახლობდნენ კარლო კალაძე, კონსტანტინ სიმონოვი, მერაბ ბერძენიშვილი, ზურა წერეთელი... (ნეტავ, ახლა ვინ ცხოვრობს იმ სახლებში?).**

**რამდენჯერმე ვიყავი გულრიფშში ნოდარის აგარაკზე. ეს სურათები კი 1970 წლის სექტემბერშია გადაღებული.**

**ტელეფონით შემომეხმიანა: „გურამია, ჩამოი, მარტო ვარო“.**

**ჩავისვი მანქანაში ჩემი უმცროსი ვაჟი დათო — ნოდარის ნათლული, და გავქანდით აფხაზეთში.**

...დასვენება, მხოლოდ დასვენება, არავითარი სხვა საქმე, — შევთანხმდით თავიდანვე.

ასეც იყო. აგარაკიდან რამდენჯერმე გავედით მაღლა მთებში, აფხაზეთის სვანეთში, სათევზაოდ. ეს იყო ზღაპრული, ღვთაებრივი გართობა-დასვენება.

განსაკუთრებით ნოდარისთვის. ის ხომ ფანტასტურად ეტრფოდა თევზაობას.

როგორ ელოლიავებოდა და უხაროდა ყოველი დაჭერილი ჭიჭყინაც კი.

გამოშიგვნა, გაფხეკა, გარეცხვა, შეწვა მისი სტიქია იყო. ამ საქმეს არავის დაუთმობდა და შესანიშნავადაც გამოსდიოდა.

თუ შორს ვერ გადიოდა, იქვე სახლის წინ ზღვაში ჩამდგარი ისროდა ანკესს, თავს ირთობდა! ერთ-ერთი ასეთი მომენტია სწორედ აღბეჭდილი ფოტოზე.

...ერთხელ ეზოდან გამოვედი. ნოდარი ღობესთან მიდგმულ გრძელ ხის სკამზე იჯდა. საღამოვდებოდა.



— მოდი აქანა, ძამა! საოცრება უნდა განახო!

გვერდით მივუჯექი. ხელი გადამხვია, ზღვაში ჩამავალი მზისკენ გამახედა.

— უყურე ახლა შენ, რა ფორმებს მიიღებს მზე. ხო ჰგავს ახლა ქოთანს, ხო ჰგავს სოკოს, ფიალას, — მიყვებოდა, თან თვალს არ აშორებდა დაისს.

...რამდენიმე წლის შემდეგ, 1974 წელს, საოცარი მოთხრობა დაწერა: „მზე“. კიდევ ერთხელ წავიკითხე მოთხრობა და იქ ამოვიკითხე ყველაფერი, რასაც იმ საღამოს მიამბობდა:

„მზე უცებ წითელ, გამომწვარ ქოთანს დაემსგავსა, მერე დამხობილ ჭერს, სოკოს, ნემსის ყუნწს, მერე თავის თავში გაძვრა და კურდღელად იქცა, მერე — მგლად და ის კურდღელი გადასანსლა, მერე სპილოდ გადაიქცა, მერე — ლომად, მერე — ვეფხვად, მერე — კატად, მერე — თასად, მერე ჩაიდნად, მერე — ფიალად, მერე — საყურედ, მერე — ყელსაბამად, მერე — სამეფო გვირგვინად და ბოლოს კვლავ მზედ იქცა.

...ვინც ჩამავალი მზის მწვანე ნათელს დაინახავს, ბედნიერი იქნებაო, ასე ამბობენ — უთხრა დიდმა ადამიანმა პატარა ადამიანს და თავზე ხელი დაადო.

იმ დღეს, იმ ბავშვის გარდა, მზის მწვანე შუქი თითქმის არავის დაუნახავს“.

ამ მოთხრობას ეპიგრაფად აქვს წამძღვარებული:

„ვუძღვნი ჩემი მეგობრის გულდა კალაძის ხსოვნას. მან პირველმა დამანახა ზღვაში ჩამავალი მზის ქიმზე მწვანე შუქი“.

...იმ ზაფხულს გულდა კალაძეც ისვენებდა გულრიფშში.



ნოდარ დუმბაძე თავის ნათლულ დათოსთან ერთად.

**გურამ გომართელი**

**ავტორის ფოტო**

## ხსოვნა

### მზია თოდუა



გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული პედაგოგი **მზია იპოლიტეს ასული თოდუა.**

მზია იპოლიტეს ასული თოდუა დაიბადა 1941 წლის 5 მარტს, სამტრედიის რაიონის სოფელ ნაფარაულში. 1965 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სპეციალობით „ქართული ენა და ლიტერატურა“.

ქალბატონმა მზია თოდუამ მთელი თავისი სიცოცხლე მიუძღვნა ახალგაზრდა თაობის აღზრდას, მათ შორის რკინიგზელების განათლების საქმეს.

ქალბატონმა მზიამ შრომითი მოღვაწეობა დაიწყო 1965 წელს თბილისის 36-ე პროფტექნიკურ სასწავლებელში, სადაც წლების მანძილზე მუშაობდა მასწავლებლად, დირექტორის მოადგილედ, ფილიალის გამგედ.

1992 წლიდან მზია თოდუა ემსახურებოდა ახალგაზრდა რკინიგზელთა პროფესიული მომზადების საქმეს. 1992-94 წლებში მუშაობდა თბილისის ტრანსპორტის უმაღლეს პროფესიულ კოლეჯში მეთოდისტად, 1994-97 წლებში სასწავლო ნაწილის გამგედ, 1997-2001 წლებში რკინიგზის სასწავლო ცენტრის წამყვან სპეციალისტად, 2001 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე — საბაზო კოლეჯის დირექტორად.

ქალბატონი მზია უაღრესად ერუდირებული, კვალიფიციური, პროფესიონალი პიროვნება იყო, რომელიც გამოირჩეოდა განსაკუთრებული შრომისმოყვარეობით, აღსაზრდელებს და კოლეგებს შორის სარგებლობდა დიდი პატივისცემით და სიყვარულით.

ქალბატონი მზიას ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი კოლეგების, აღზრდილების და მეგობრების გულში.

**თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის უმაღლესი პროფესიული კოლეჯის პედაგოგიური კოლექტივი**

---

თოდუების ოჯახი და ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მზევინარ (მზია) თოდუა

პანაშვიდი 13, 14 VII, 17 სთ-ზე, გლდანის V მ/რ. კორ. 18, I სად. დაკრძალვა 16 VII, 14 სთ-ზე. ქ. სამტრედია, კეცხოველის №214.

---



მეუღლე მთვარიდა ყიფიანი, შვილი რატი, რძლები ნატო მაყაშვილი, მანანა იმესაშვილი, შვილიშვილები გიორგი, ალექსანდრე, ბიძაშვილები თამარ, ნანა ამილახვრები, სიდედრი ტატიანა ალავიძე, მძახლები ზიზი, ირაკლი მაყაშვილები, ცოლისდა ცავრინა ყიფიანი, სიძე მურად რუხაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ჯამბულ გიორგის ძე ამილახვარი

პანაშვიდი 14, 15 VII, 17 სთ-ზე, გამოსვენება 16 VII 15 სთ-ზე. მისამართი: თბილისი, სიმონ ჩიქოვანის (ხილიანის) ქ. №6 ა, I სადარბაზო (ტელევიზიასთან).

---

მეუღლე ბელა, შვილი გიორგი ბურიახინები, და მარინა, სიძე ნოდარი, დისწულები მამუკა, დათო კახუაშვილები, ცოლისდა ლია, ქვისლი დათო შვილებით, კოტე, გურამ ლომთათიძეები, ბიძაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მიხეილ (მიშა) ბურიახინი

პანაშვიდი 14, 15 VII, 17 სთ-ზე, გამოსვენება 16 VII, 13 სთ-ზე, ქ. მცხეთა, მამულაშვილის ქ. 5.

---

შვილი მერი, და ზიზო, რძალი ელიკო, შვილიშვილები ლიანა, სოლიკო, თამაზ პავლიაშვილები, დავითი, ვანო, ნანა, ნიკო, შვილთაშვილები ნატო, ლევანი, გიორგი, პავლე, ნანა, ნიკა, პავლუშა, დავითი, შვილთაშვილის შვილები ლიზი, ელენე, სიძეები სანდრო, სულხან როსტიაშვილი, თამაზ სახიაშვილი, რძლები ქეთევანი, ნონა, რუსუდანი, ქუქუნა ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ანა სანდროს ასული მჭედლიშვილი-პავლიაშვილი

პანაშვიდი 15, 16 VII, 17 სთ-ზე, გამოსვენება 17 VII 15 სთ-ზე. სოფელ კაკაბეთში (საგარეჯოს რაიონი).

---

ჟანა და ოთარ ხუფენიები თანაუგრძნობენ ლიანა, სოლიკო და თამაზ პავლიაშვილებს ბებიის

ანა მჭედლიშვილი-პავლიაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

შპს „იბერიას“, შპს „გეო-ტეკისა“ და სნსკ „სამშენებლო კომპანიის“ თანამშრომლები თანაუგრძნობენ კობა კობახიძეს სიმამრის

გიგა სხირტლაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

## გვწერენ

### მადლობა ყურადღებისა და თანადგომისთვის

**ძვირფასო რედაქცია, თქვენი გაზეთის მუდმივი მკითხველი ვარ და დიდ პატივს ვცემ. სამამულო ომის ინვალიდი გახლავართ.** არ შემიძლია, არ აღვნიშნო ის ყურადღება, რომელსაც იჩენენ ჩემს მიმართ ომის ვეტერანთა დეპარტამენტის, დიდუბე-ჩუღურეთის როგორც ვეტერანთა საბჭოს, ისე ამავე რაიონის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების და თბილისის საპასპორტო სისტემის დიდუბის განყოფილებაში მომუშავე მუშაკები.

გთხოვთ, მომცეთ საშუალება, რომ თქვენი გაზეთით მადლობა გადავუხადო მარიამ ტოტიკაშვილს, დარეჯან კახიშვილს, ირაკლი ათანელიშვილს, იზაბელა სულაძეს, მადონა სილაგაძეს, ვანო ქუშაშვილს, ვერა ფსუტურს, თამარა რაზმაძეს და ვლადიმერ სიჭინავას.

**შალვა ბენაშვილი,**
**სამამულო ომის მონაწილე,**
**ორდენების და მედლების კავალერი**


# ისარგებლეთ ცხელი ხაზით!

საპატრულო სამსახური — 022;
გენერალური პროკურატურა — 99-74-10;
შინაგან საქმეთა სამინისტრო — 99-53-50;
საგარეო საქმეთა სამინისტრო — 28-47-47;
ფინანსთა სამინისტრო — 22-17-80; 22-09-24;
იუსტიციის სამინისტრო — 75-82-21;
ჯანდაცვის სამინისტრო — 94-34-98;
ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო — 38-47-98;
სოფლის მეურნეობის სამინისტრო — 98-57-81;
ეკონომიკური განვითარების სამინისტრო — 98-23-58; 50-69-00;
შსს სანებართვო განყოფილება — 98-57-01;
კონტროლის პალატის გენერალური ინსპექცია — 95-30-81; 96-71-78;
თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექცია — 23-56-73;
საქართველოს სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია — 39-52-47;
თბილისის სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია — 37-78-70;
შხამიანი ქვეწარმავლების გაუვნებელყოფის სამსახური — 22-61-48; 22-33-53;
ერთიანი საპენსიო ფონდი — 69-65-93; 69-65-94.
კატასტროფების ცენტრი, გადაუდებელი და სასწრაფო დახმარება, რეანიმობილის მომსახურება — 24 საათი; პაციენტის გადაყვანა რეგიონული სტაციონარებიდან თბილისის კლინიკებში — 51-77-37.


## თაობა

# მთავარი თემა — „ჩემი საქართველო“

**ბავშვთა საერთაშორისო ფონდ „ვუნდერკინდის“ და საქართველოს მოსწავლეთა გაზეთ „ნერგის“ თაოსნობით მოსწავლეთა თხზულებებისა და ნახატების კონკურსი გაიმართა თემაზე: „ჩემი საქართველო“. კონკურსის თემატიკა ჩვენი ქვეყნის წარსულს, აწმყოსა და მომავალს უკავშირდება. წარმოდგენილი იყო 1500 ნამუშევარი. მასში მონაწილეობდნენ აბაშის, ახმეტის, ადიგენის, ხობის, ამბროლაურის, თელავის, ონის, დმანისის, წალენჯიხის, ნინოწმინდის, ზუგდიდის, ფოთის და სხვა რაიონებისა და ქალაქების მოსწავლეები. კონკურსმა ამ თემით საქართველოში მცხოვრები სხვა ეროვნების ბავშვების დაინტერესებაც გამოიწვია.**

გაზეთ „ნერგის“ სპეციალურ ნომერში დაბეჭდილია პრემირებული და სპეციალურ პრიზზე წარდგენილი თხზულებები, რომელთა ილუსტრაციები ამ კონკურსში გამარჯვებულ ნორჩ მხატვრებს და სამხატვრო სტუდია „ფავორიტის“ წევრებს ეკუთვნით. დაბეჭდილია ნახატებში გამარჯვებულთა 35 მოსწავლისა და ასევე თხზულებებში გამარჯვებული 35 ავტორის გვარები, რომლებმაც პირველი, მე-2, მე-3 პრემიები და სპეციალური პრიზები დაიმსახურეს.

კონკურსის კოორდინატორები იყვნენ ლიტერატორი გიორგი ლობჟანიძე, მხატვარი რუსუდან ფეტვიაშვილი და ბავშვთა საერთაშორისო ფონდ „ვუნდერკინდის“ გამგეობის




წევრები. „ნერგის“ სპეციალური ნომერი ბავშვთა საერთაშორისო ფონდმა „ვუნდერკინდმა“ დააფინანსა. კონკურსში გამარჯვებულთა ნამუშევრები ცალკე წიგნად გამოიცემა და ფავორიტ მოსწავლეთა დაჯილდოება ახალი სასწავლო წლის დასაწყისში გაიმართება.

**ნათელა ფაილოძე**

## ლარის კურსი

### 14 ივლისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3.2161 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1.8200 ლარი |
| ევრო | 1 | 2.2180 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0637 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1000 | 0.3873 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0.4155 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3.6327 ლარი. |

## ამინდი დღეს

| 14 ივლისი | ☼ | ☾ |
|---|---|---|
| თბილისი | 32° | 20° |
| ბათუმი | 32° | 21° |
| სოხუმი | 29° | 19° |
| ქუთაისი | 32° | 20° |
| თელავი | 30° | 19° |

## დღის კალენდარი 14 ივლისისთვის

☼ ამოდის 04.36, ჩადის 19.34
☾ ამოდის 12.10, ჩადის 23.24

**წლის 195-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 170 დღე.**

### საეკლესიო კალენდარი

**ხსენება წმიდა ნერსე მთავარეპისკოპოსისა. წმიდა და საკვირველმოქმედთა უვერცხლოთა კოზმა და დამიანესი — რომსა შიდა წამებულთა (284); წმიდა მოწამე პოტიტე ყრმისა (I), ღირსი პეტრე პატრიკყოფილისა (854).**

### დაიბადნენ:

**1602 — ჯულიო მაზარინი,** საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი, კარდინალი. გარდაიცვალა 1661 წელს.

**1743 — გავრილ დერჟავინი,** რუსი პოეტი. გარდაიცვალა 1816 წელს.

**1861 — ვაჟა-ფშაველა (ლუკა რაზიკაშვილი),** დიდი ქართველი მწერალი. გარდაიცვალა 1915 წელს.

**1888 — ქაქუცა ჩოლოყაშვილი,** ეროვნული გმირი, 1924 წლის აჯანყების ერთ-ერთი მეთაური. გარდაიცვალა 1930 წელს.

**1896 — დავით წერეთელი,** ქართველი ფერმწერი. გარდაიცვალა 1980 წელს.

**1903 — ირვინგ სტოუნი,** ამერიკელი მწერალი. გარდაიცვალა 1989 წელს.

**1913 — ჯერალდ ფორდი,** აშშ-ს 38-ე პრეზიდენტი. გარდაიცვალა 1974 წელს.

**1918 — ინგმარ ბერგმანი,** შვედი კინორეჟისორი.

**1919 — ლინო ვენტურა,** ფრანგი კინომსახიობი. გარდაიცვალა 1987 წელს.

**1928 — ნოდარ დუმბაძე,** გამოჩენილი ქართველი მწერალი. გარდაიცვალა 1984 წელს.

**1942 — ხავიერ სოლანა,** ნატოს ყოფილი გენერალური მდივანი.

### გარდაიცვალნენ:

**1927 — ოგუსტენ ჟან ფრენელი,** ფრანგი ფიზიკოსი, ტალღური ოპტიკის შემქმნელი. დაიბადა 1788 წელს.

**1910 — მარიუს პეტიპა,** ცნობილი ქორეოგრაფი. დაიბადა 1818 წელს.

**1968 — კონსტანტინ პაუსტოვსკი,** რუსი მწერალი. დაიბადა 1892 წელს.

**1976 — ნიკოლაი ეკი (ივაკინი),** პირველი საბჭოთა ხმოვანი ფილმების რეჟისორი. დაიბადა 1902 წელს.

**2002 — იუსუფ კარში,** ცნობილი ფოტოგრაფ-პორტრეტისტი, თავისი დროის ყველაზე გამოჩენილი ადამიანების ფოტოსურათების ავტორი. დაიბადა 1909 წელს.

### მოვლენები:

**1099 წელი** — პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის მონაწილეებმა დაიპყრეს იერუსალიმი და ამოხოცეს ყველა მუსლიმი და ებრაელი.

**1789 წელი** — საფრანგეთის ეროვნული დღესასწაული — ტირანიის სიმბოლოს — ბასტილიის ციხე-სიმაგრის აღების დღე. დაიწყო საფრანგეთის დიდი რევოლუცია.

**1941 წელი** — საბჭოთა ჯარებმა დნეპრის ნაპირას, ორშასთან, პირველად გამოიყენეს სარაკეტო დანადგარი „კატიუშა“.

### ღირსსახსოვარი დღეები:

**საფრანგეთი — ბასტილიის აღების დღე.**

მედიანიუსი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები
გამომცემელი — შპს „ახალი საუკუნე“
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ვილენ მარდალეიშვილი.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.